

ეკონომიკა და ბიზნესი ECONOMICS AND BUSINESS



ტომი XV VOLUME

№4, 2023

ISSN 1987 – 5789
ESSN 2587 – 5426
doi 10. 56079



ეკონომიკა და ბიზნესი **ECONOMICS and BUSINESS**

4

ტომი XV Volume

2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან - კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2
თსუ-ს მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317
ტელ. +995 32 2 25 04 84

მთ.რედაქტორი: ტელ - 599794949, მოადგილე - ტელ: 599103816,
პ/მდ. - ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Address: Tbilisi University str. #2. Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724.
Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,

Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280
www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიროვნებები: **იუზი ანანიაშვილი**, **გივი ბელიანაშვილი**, **თეიმურაზ ბეჩიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **ივანე გვერდსიანი**, **ივანე გოგობია** (ხელექტრონის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იხაკი კოვზანაძე**, **მუხთაზ მალაქაძე**, **ივანე მამუკაშვილი** (მთავარი ხელექტრონი), **დავით ნახშიანი**, **ნუგზახ პაიჭაძე**, **ივანე საბაძი**, **ივანე სიჭინავა**, **მიხიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლალანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ივანე ხაჩიანი**, **იოსებ ხელაშვილი**; პიროვნებები: **ხამაზ აბესაძე** – პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **ანზორ აბაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ აჩივანი** – ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თუქია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მეხაბ კაკულია** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მუხამან კვაჩავა** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოლუაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შადვა მაჭავაძიანი** – ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **დავით სეზინაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ლონგი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩხეიძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

მიხეილ ადგმანი – ჩხიტილი კახილინას უნივერსიტეტის პიროვნები (აშშ); **ივანე ბაქრაძე** – კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა); **გიორგი ბეჩიძე** – სამხრეთ ფლორიდას კოლეჯის თავისუფალი მეწარმეობის ცენტრის უფროსი მკვლევარი (აშშ); **ჯორჯი დე დუკა** – მილანის უნივერსიტეტის პიროვნები (იტალია); **ვლადიმერ ვენგი** – ბეჩინის ტექნიკური უნივერსიტეტის პიროვნები (გერმანია); **იოსებ მ. კინგი** – ოსტონის უნივერსიტეტის პიროვნები (ნორვეგია); **ივანე ლუკინენკო** – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის პიროვნები (უკრაინა); **იხაკი მანგაძე** – სიდნეის სამეცნიერო-საბიზნესის თანამშრომელი, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დირექტორი (დიდი ბრიტანეთი); **გიორგი ნ. მენჯიუ** – ჰაიფაის უნივერსიტეტის პიროვნები (აშშ); **იან მინაღვი** – ვაშინგტონის უნივერსიტეტის პიროვნები (პოლონეთი); **დავით ნილი** – ილინოისის უნივერსიტეტის ემიგრაციის-პიროვნები (აშშ); **ამუნან ფეხვინი** – გენოვის ადამის უნივერსიტეტის პიროვნები (საფრანგეთი); **ივანე ბაბუაძე** – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პიროვნები (აშშ); **იოსებ პაპაძე** – გაჩევის უნივერსიტეტის პიროვნები (ესტონეთი).

EDITORIAL BOARD

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors: **Ananiashvili Iuri, Bedianashvili Givi, Beridze Teimuraz, Gaganidze George, Gelashvili Simon, Gvelesiani Revaz, Gogokhia Revaz** (Deputy Redactor), **Kharaishvili Eter, Khelashvili Ioseb, Kovzanadze Irakli, Maghradze Murtaz, Mekvabishvili Elguja** (Editor-in-Chief), **Narmania Davit, Paichadze Nugzar, Sabauri Levan, Shengelia Temur, Sichinava Demur, Todua Nugzar, Tukhashvili Mirian, Zubiashvili Tamaz** (Executive Secretary); Professors: **Abesadze Ramaz** – Paata Gugushvili Economic Institute, **Abralava Anzor** - Georgian Technical University, **Archvadze Ioseb** - Kutaisi University, **Chikhladze Nikoloz** - Akaki Tsereteli State University, **Glonti Vladimer** - Batumi Shota Rustaveli State University, **Jibuti Mikheil** – Georgian National Academy of Sciences Academician, **Kakulia Merab** - Georgian Institute of Public Affairs (GIPA), **Kvaratskhelia Murman** - Sukhumi State University, **Koguashvili Paata** - Georgian Academy of Agricultural Sciences Academician, **Machavariani Shalva** - European University, **Vladimer Papava** - Georgian National Academy of Sciences Academician, **Sekhniashvili Dali** - Georgian Technical University, **Silagadze Avtandil** - Georgian National Academy of Sciences Academician, **Turkia George** - Georgian Institute of Public Affairs (GIPA).

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Altman Michael A. – Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University, professor (USA); **Bazhenova Olena** - Professor of Economic Cybernetics Department, Taras Shevchenko Kyiv National University (Ukraine); **Brady Gordon** – Senior Research Fellow at the Center of Free Enterprise at Southern Florida College (USA); **De Luca Giuseppe** – Professor of Milan University (Italy); **Ferguène Ameziane** – Professor of Economics at Grenoble Alps University (France); **Chaco Elizabeth** - Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA); **Haldma Toomas** – Professor of Tartu University (Estonia); **King Roswitha M.** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College, professor (Norway); **Lukianenko Dmytro** – Rector of Vadym Hetman Kyiv National Economic University, Professor (Ukraine); **Managadze Irakli** - Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J. Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK); **Mankiw Gregory N.** – Professor of Harvard University (USA); **Mikhalek Jan** – Professor of Warsaw University, (Poland); **Neal Larry** - Emeritus Professor of Illinois University (USA); **Weng Wolfgang** – Professor of Berlin Technical University (Germany).

სარჩევი

ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

დემუხ სიჭინავა, მუხთაზ მალხაძე - ბლოკჩეინტექნოლოგია, კრიპტოვალუტა და ციფრული ვალუტა: არსებული მდგომარეობა და ძირითადი გამოწვევები..... 7

მაჩინე ნაცვადაძე - ქვევითი ეკონომიკა, ექსპერიმენტული ინსტიტუციური ეკონომიკა და ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა - სამი დისციპლინის ურთიერთკავშირის გააზრება 31

ვეგუჯა მექვაბიშვილი - პროფესორ გიორგი პაპავას თეორიული მემკვიდრეობა და ეკონომიკური მეცნიერების ზოგიერთი აქტუალური მეთოდოლოგიური პრობლემა..... 47

თინათინ დომსაძე - კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში..... 62

მიკროეკონომიკა ო მაკროეკონომიკა ო ეკონომეტრიკა

მაჩინა ცაბატაძე - ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგია პოსტპანდემიურ პერიოდში 75

თენგიზ ვეხუაძა - ჯანდაცვის დანახარჯები საქართველოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები 101

ნესტან გაფხინდაშვილი - გარემოს დაცვის შედეგების ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა: თეორიული ჩარჩო და პრაქტიკული გამოყენება.. 124

ბიზნესი ო მენეჯმენტი ო მარკეტინგი ო ტურიზმი

ნუგზახ თოდუა, ჩაჩიგა ჯაში, ნია თოდუა - სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობის გავლენა ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე 145

ნანა კაციტაძე, ელისაბედ ბაღიაშვილი, მაჩიამ ქუთათელაძე - სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საერთაშორისო და საქართველოს ბაზარზე 173

ნათია ბახბაქაძე - Covid 19 პანდემიის გავლენა ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტზე 197

მევი სუხმანიძე - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კომპანიებისთვის და თანამედროვე ტენდენციები..... 213

ჩვენი იუბილარები

პიოფესოხი ანზოხ აბხადავა - 65229

CONTENTS

ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

Demur Sichinava, Murtaz Magradze - Blockchain Technology, Cryptocurrency and Digital Currency: Current Situation and Key Challenges	7
Marine Natsvaladze - Behavioral Economics, Experimental Institutional Economics and New Institutional Economics: Understanding the Intersection of Three Disciplines	31
Elguja Mekvabishvili – Theoretical Heritage of Professor Giorgi Papava and Actual Problems of Economic Science.....	47
Tinatini Lomsadze - Cluster Development Economic Policy in Nordic Countries.....	62

MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

Marina Tabatadze - Strategy of State Support of the Economy in the Post-Crisis Period	75
Tengiz Verulava - Healthcare Expenditures in Georgia and Recommendations of the World Health Organization	101
Nestani Gaprindashvili - The Importance of Economic Analysis of Environmental Impacts: Theoretical Framework and Practical Policy Implications.....	124

BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

Nugzar Todua, Charita Jashi, Nia Todua - The Impact of Social Media Marketing Activities on Purchase Intentions of Healthcare Consumers	145
Nana Katsitadze, Elisabed Baliashvili, Mariam Qutateladze - The trends of the Hotel Industry Development in International and Georgian Markets	173
Natia Barbakadze - The Impact of the Covid 19 Pandemic on Tourism and Hospitality Management.....	197
Megi Surmanidze - Importance of Social Responsibilities of Business for Companies and Modern Trends	213

ANNIVERSARIES

Professor Anzor Abzalava - 65	229
--	-----

ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა
ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

**ბლოკჩეინტექნოლოგია, კრიპტოვალუტა და ციფრული
ვალუტა: არსებული მდგომარეობა და ძირითადი
გამონვევები**

დემურ სიტჩინავა

პროფესორი
ივ. ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
demuri.sitchinava@tsu.ge

მურთაზ მაღრაძე

პროფესორი, ემეჩიგუსი
ივ. ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Murtaz.maghradze@tsu.ge

თანამედროვე ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაში, დღეისათვის ახსებულ ფუნდამენტურ ეკონომიკურ სისტემებზე განიხილავთ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე დამაჯერებელი ცვლილება მომხდარი ფინანსების სფეროში. ამის მკაფიო მაგალითია ციფრული ვალუტების დიფუზიის სწრაფი ზრდა, ხამაც მსოფლიო საზოგადოების ყუ-
ხადლება მიიპყრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში განხილულია ბლოკჩეინტექნო-
ლოგიის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები. კუხის სტაბილურობის მი-
ხედვით, დახასიათებულია სამი ძირითადი ციფრული ვალუტა: ახასტაბილური
კრიპტოვალუტა (ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვ.), სტაბილური კრიპტოვალუტა,
ანუ სტეიბლკოინი და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა. მოცემულია სა-
ხელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და კონტროლირებადი ცენტრალური ბანკის
ციფრული ვალუტის ფუნქციონირების სპეციფიკა. ნაჩვენებია ციფრული ვა-
ლუტის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები. მოყვანილია მსოფლიოს
სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტების მაგალი-
თები. დასმულია საკითხი, თუ როგორი იქნება ცენტრალური ბანკის ციფრული
ვალუტის თანაახსებობა ახსებულ საბანკო სისტემასთან. განხილულია ციფ-
რული ვალუტის შექმნასა და დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.
შედახებულია ციფრული ვალუტისა და ფიატური ფულის შექმნასა და დანერ-
გვასთან დაკავშირებული საჩუქები. გაკეთებულია ციფრული ვალუტის მომავა-
ლის პროგნოზი და წარმოდგენილია რეკომენდაციები და დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინტექნოლოგია, კრიპტოვალუტა, სტეიბ-
ლკოინი, ფიატური ფული, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, ქაითური და-
ნი.

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაში, დღეისათვის არსებული ფუნდამენტური ეკონომიკური სისტემები განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე დამაჯერებელი ცვლილებაა მომხდარი ფინანსების სფეროში, რომლის მკაფიო მაგალითია ციფრული ვალუტების რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, რამაც მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ციფრული ვალუტები ეფუძნება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც ორიენტირებულია ეროვნული ეკონომიკის მართვის სტაბილურობასა და პროგრესზე და ამით, ფაქტობრივად, წამოადგენს ასევე ტრადიციული ფიატური ფულისთვის თანამედროვე ალტერნატივასაც. ქართული ციფრული ლარის გამოჩენა ახალი საუკუნის ამ ფინანსური ცვლილებების ეტაპის დასტურია. რამდენადაც ცნობილია, საქართველო ამ ინოვაციების წინა პლანზე გამოდის. ამიტომ, მნიშვნელოვანია სათანადოდ იყოს გაგებული და გაცნობიერებული ასეთი წამოწყების დინამიკა, სარგებელი და გამოწვევები. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2017 წელს საქართველო მესამე ადგილზე იყო მსოფლიოში კრიპტოვალუტის მოპოვების მხრივ, ჩინეთისა და აშშ-ის შემდეგ (გლდანის Bitfury სავარაუდოდ, 16,7 მლრდ ლარის ბიტკოინებს ფლობს, 2017).

წინამდებარე სტატიის მიზანია ციფრული ვალუტების სამყაროს სიღრმისეული შესწავლა და მასთან ასოცირებული ხარჯების შედარება ტრადიციული ფიატური ფულის ხარჯებთან, სადაც მთავარი კოორდინატორი იქნება ქართული ლარი.

ციფრული ვალუტის შემოღების მთავარი ამოცანაა: ტრანზაქციების დააჩქარება და სიიაფე, შუამავლების ჩამოცილება, გამჭვირვალობა, მოსახლეობის ფინანსური უსაფრთხოების დაცვა და სხვ.

კვლევის ფარგლებში განხილულია მსოფლიოში არსებული ციფრული ვალუტების საპილოტე პროექტები და მათი დანერგვის არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია მასთან დაკავშირებული დანახარჯები და მისი მომავალი და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

ციფრული ვალუტა

ციფრული, ანუ ელექტრონული ფორმით ფულის მიმოქცევა არაა ახალი მოვლენა მსოფლიოში (სიჭინავა დ., მალხაძე მ., 2018). ქვეყნის მასშტაბით უნადოდ ანგარიშსწორების ავტომატიზებული სისტემების შექმნის თეორიული კვლევები დაიწყო XX საუკუნის 70-ანი წლებიდან (Букия Г. Б., Сичинава Д. Ш. и др., 1976).

ციფრული ვალუტა არის ნებისმიერი ვალუტა, რომელიც არსებობს და მიმოიქცევა მხოლოდ ელექტრონული ფორმით. ის არ არსებობს კომპიუტერული ქსელის გარეშე (Цифровая валюта: Будущее ваших денег, 2023). დღეისათვის ციფრული ვალუტის უმეტესობა, იმავდროულად კრიპტოვალუტაცაა. **კრიპტოვალუტა** არის ციფრული ვალუტა, რომელიც დაფუძნებულია ბლოკჩეინტექნოლოგიაზე (ბლოკჩეინი, ინგლ. Block-chain - ბლოკების ჯაჭვი - მუდმივად მზარდი ჩანაწერების სია, სახელწოდებით - „ბლოკები“, რაც დაცულია კრიპტოგრაფიულად (ბერძ. kryptós - საიდუმლო, დამალული), რომლის საფუძველზეც სატოში ნაკამოტომ 2008 წელს შექმნა პირველი კრიპტოვალუტა ბიტკოინი.

თვით ბლოკჩეინის შექმნის ისტორია იწყება 1982 წლიდან. ამერიკელმა კრიპტოგრაფმა დევიდ ჩაუმმა თავის დისერტაციაში პირველად წარმოადგინა ბლოკჩეინის მსგავსი პროტოკოლი (Чем известен Дэвид Чаум в мире криптовалют, 2022), რომელიც შემდგომ განავითარეს პროგრამისტმა სტიუარტ ჰაბერტმა და ფიზიკოსმა სკოტ შტორნეტმა. მათ გამოიგონეს დეცენტრალიზებული განაწილებული რეესტრი (История блокчейна: как технология блокчейн меняет мир? 2022).

ელექტრონული ფულის მიმოქცევის პროცესის მუდმივი განვითარების კლასიკური მაგალითია ფულად-საკრედიტო სისტემაში მისი ისეთი სახეობის გამოჩენა, როგორიცაა კრიპტოვალუტა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიპტოვალუტის უმეტესობა აგებულია ბლოკჩეინტექნოლოგიის საფუძველზე. ის მომავლის ტექნოლოგიაა და შექმნილია ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვის, ტრანზაქციების დაქარების და შუამავალი რგოლების (ბანკები, ნოტარიუსები, სხვადასხვა საგადამხდელო სისტემა და ა. შ.) ჩამოსაცილებლად. დღეისათვის ის ფუნქციონირებს დეცენტრალიზებულად. მასში ინფორმაცია ინახება ბლოკების სახით და უზრუნველყოფილია მისი დაცვის მაღალი დონე. ტრანზაქციების განხორციელებისას მონაცემები ხვდება ერთდროულად კრიპტოვალუტის ქსელში ჩართულ ყველა კომპიუტერში და ხდება მათი კოპირება. ტრანზაქცია ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მაშინ, როცა მას დაამოწმებს ქსელში ჩართული ყველა მომხმარებელი. დამოწმება გულისხმობს ბლოკჩეინში ტრანზაქციის დამატების შემდეგ შექმნილი ბლოკების რაოდენობას. როგორც წესი, ბიტკოინ ტრანზაქციები დაცულად ჩაითვლება მინიმუმ ექვსზე მეტი დამოწმების შემდეგ. ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა უარი ითქვას შუამავლებზე და გამორიცხავს რომელიმე ბლოკიდან ინფორმაციის მოპარვის ან შეცვლის შესაძლებლობას, რადგან ამისთვის საჭიროა კრიპტოვალუტის ქსელში ჩართული

ყველა კომპიუტერის გატეხვა. ეს კი პრაქტიკულად შეუძლებელია და მიუღწეველიც, ვინაიდან სისტემა ავტომატურად ავლენს მონაცემების გაყალბების ან მოპარვის მცდელობას ბლოკჩეინტექნოლოგიაში ინფორმაციის კრიპტოგრაფიული დაშიფრვისა და ჰეშირების (ჰეში - არის მათემატიკური ალგორითმი, რომელიც ნებისმიერი მოცულობის მონაცემთა მასივს გარდაქმნის ასოებისა და ციფრებისაგან შემდგარ ფიქსირებული სიგრძის სტრიქონად) ალგორითმების გამოყენებით (Sichinava, 2019).

ბლოკჩეინის სისტემა ერთდროულად გახსნილიცაა და ანონიმურიც. ტრანზაქციის განხორციელებისთვის მომხმარებელს ენიჭება სპეციალური პერსონალური კოდი, რომლითაც მას შეუძლია სისტემაში შესვლა და მისი გამოყენება.

ბლოკჩეინის სისტემა ღიაა ასევე იმ თვალსაზრისით, რომ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია დააკვირდეს სისტემის განვითარებას და გაეცნოს გარიგებების არქივს. მომხმარებლის ინფორმაცია დაცულია არასანქცირებული შეღწევისაგან. ბლოკჩეინის მეშვეობით ტრანზაქციების განხორციელებისას არ ხდება საკომისიო გადასახადის გადახდა. მისი ოდენობა სხვა შემთხვევებში საკმაოდ დიდია (Sichinava, 2019).

ცნობილია, რომ ბლოკჩეინტექნოლოგიას საფუძვლად უდევს განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია - **DLT (Distributed ledger technology)**. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინი არის განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია, ყველა განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია არ არის ბლოკჩეინი. განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია, ცენტრალური უფლებამოსილების გარეშე, ერთდროულად მრავალ მხარეს აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა მუდმივად სინქრონიზებულ და განახლებულ ციფრულ სისტემაზე. ამ ტექნოლოგიას ეფუძნება ყველა სახის კრიპტოვალუტა, რაც უზრუნველყოფს მათ გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებას.

ციფრული ვალუტები. კურსის სტაბილურობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი სახის ციფრული ვალუტა: არასტაბილური კრიპტოვალუტა (ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვ.), სტაბილური კრიპტოვალუტა ანუ სტეიბლკოინი და ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა.

არასტაბილური კრიპტოვალუტა არის ციფრული ვალუტა, რომელიც არაა უზრუნველყოფილი რაიმე სახის ნატურალური სიმდიდრით. რის გამოც მისი კურსი მუდმივად მერყეობს. დღეისათვის მისი მართვა არ ხდება მსოფლიოს რომელიმე ერთი ცენტრალური ორგანოს ან კერძო სტრუქტურის მიერ და, ამდენად, ის ფუნქციონირებს დეცენტრალიზებულად.

გავრცელებული ვერსიის მიხედვით, კრიპტოვალუტა ბიტკოინის შემქმნელია სატოში ნაკამოტო (<https://cryptodnes.bg/ka/koy-e-satoshi>)

nakamoto/), რომელმაც 2008 წლის მიწურულს საჯაროდ განაცხადა საკუთარი გამოგონების შესახებ.

ბიტკოინის აღმოცენების შემდეგ, კრიპტოვალუტის ბაზარზე მრავალი ალტკოინი (ალტკოინი არის ბიტკოინის გარდა ყველა სხვა კრიპტოვალუტა) გამოჩნდა. 2023 წელს ყველაზე პოპულარული ალტკოინებია: ეთერიუმი, ეოსი, ლაიტკოინი, სტელარი და მონერო. 2022 წლის ოქტომბრისთვის მსოფლიოში შექმნილი იყო 13000-მდე კრიპტოვალუტა (Сколько всего существует криптовалют? 2022), რომელთა მიზანი იყო ბიტკოინისთვის კონკურენციის განწევა ან მისგან განსხვავებული ფუნქციების შესრულება.

როგორც ცნობილია, ბიტკოინის ფასი არასტაბილურია, რაზედაც მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა: 2010 წელს მისი ფასი იყო - \$ 0,39; 2017 წლის აგვისტოში - \$ 3000; 2017 წლის სექტემბერში - \$5000; 2017 წლის ბოლოს - \$20 000; 2021 წლის ბოლოს კი - \$62 000-ზე მეტი; დღეისათვის -15.11.2023, ბიტკოინის ფასი არის - \$ 36,149.54.

ბიტკოინის ფასის ცვლილებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: მოთხოვნა-მიწოდება, ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გაკეთებული დადებითი ან უარყოფითი შეფასებები, ინფრასტრუქტურა, ცნობილი ადამიანების განცხადებები, სახელმწიფოების დამოკიდებულება კრიპტოვალუტის მიმართ.

ციფრული ვალუტის არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად ზოგიერთმა ქვეყანამ შემოიღო კრიპტოვალუტა - **სტეიბლკოინი**.

სტეიბლკოინი არის ფიქსირებული, ანუ მდგრადი კურსის მქონე ციფრული ვალუტა. კრიპტოინდუსტრიაში მეტად გავრცელებული სტეიბლკოინები მიბმულია დოლარის ფასთან. ასეთი სტეიბლკოინია - Tether (USDT). 1 USDT ტოლია 1 დოლარის და გააჩნია მინიმალური გადახრა დოლარის ფასიდან. არსებობს ისეთი სტეიბლკოინი, რომელიც მიბმულია ევროსთან. მაგალითად, Stasis Euro (EURS). აგრეთვე არის ისეთი სტეიბლკოინები, რომლებიც მიბმულია ოქროსთან. კერძოდ - PAX Gold (PAXG) და Tether Gold (XAUT) (Что такое стейблкоины? 2022).

2023 წელს საგადასახდელო სისტემამ PayPal-მა (აშშ) გამოუშვა საკუთარი სტეიბლკოინი PYUSD, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა გადახდის, ასევე ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გზავნილების განხორციელება. ის გაშვებულია ეთერიუმის ქსელში ERK-20-ის ფორმატით. მისი ემიტენტია Paxos (PayPal запустил свой стейблкоин, 2020).

იაპონიაში სტეიბლკოინის გამოშვება გათვალისწინებულია 2024 წლიდან. ბირჟა ბაინანსის იაპონიის ქვეგანყოფილება ბანკ MUTB-სთან თანამშრომლობით გამოუშვებს დოლართან მიბმულ სამი სახის სტეიბ-

ლკონის. ტაკოში ჩინოს - ბაინანსის იაპონიის ქვეგანყოფილების გენერალური მენეჯერის აზრით, სტეიბლკონები საჭიროა ფინანსური ეკოსისტემის შემდგომი გაფართოებისათვის. მისი აზრით, სტეიბლკონების დახმარებით საერთაშორისო ტრანზაქციები უფრო სწრაფი და ხელმისაწვდომი გახდება (Binance запустит стейблкоины в Японии в 2024 году, 2023).

საფრანგეთის ბანკ Societe Generale Forge-მა (SGF) 2023 წლის 20 აპრილს Ethereum-ის საფუძველზე გამოუშვა ევროსთან მიბმული სტეიბლკონი EURCoin Vertible (EURCV), რომელმაც განიცადა მკაცრი კრიტიკა იმის გამო, რომ ამით შეიზღუდა ერთრანგიანი ტრანზაქციები, არის მეტისმეტად ცენტრალიზებული, გააჩნია „ცუდი კოდინ და ხელმისაწვდომია მხოლოდ კვალიფიცირებული ინსტიტუციური კლიენტებისთვის (Сообщество раскритиковало выпущенный французским банком цифровой евро, 2023).

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (ცბცვ). ეს იგივე კრიპტოვალუტაა.

როგორც ცნობილია, ფიატური ფული არსებობს ბანკნოტების ან მონეტების სახით, ხოლო ციფრული ვალუტა მხოლოდ ციფრული ფორმით. თავისი არსით, ციფრული ვალუტა არის ჩანაწერი, რომელიც ინახება ელექტრონულად. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა მხარდაჭერილია სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის მიერ და წარმოადგენს ფიატური ფულის ანალოგს (Цифровая валюта центральных банков: где используют и тестируют, 2023), განსხვავებით კრიპტოვალუტებისგან, როგორცაა: ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვ., რომლებიც ფუნქციონირებენ დეცენტრალიზებულად და არ არიან მიბმული რომელიმე სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოსთან.

კრიპტოვალუტები საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას. მასთან დაკავშირებული საქმიანობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და, შესაბამისად, ვირტუალური ვალუტა არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს (ეროვნული ბანკის გაფრთხილება, 2017). ამის საპირისპიროდ, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ციფრული ვალუტა, რომელიც ზოგჯერ მოიხსენიება როგორც ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა, არის არსებული ეროვნული ვალუტის ციფრული ფორმა და რეგულირდება ცენტრალური ბანკის მიერ (Что такое CBDC и полезно ли вводить цифровую валюту в Украине во время войны, 2022). მას აქვს იგივე იურიდიული სტატუსი, როგორც ფიზიკურ ბანკნოტებსა და მონეტებს. ცბცვ შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: საცალო ცბცვ, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის და სა-

ბითუმო ცბცვ, რომელიც განკუთვნილია ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

დღეისათვის მსოფლიოს 87 ქვეყანა მუშაობს ცბცვ-ზე. მათ შორისაა საქართველოც (DGEL - რა არის ციფრული ვალუტა, რომელზეც ეროვნული ბანკი მუშაობს? 2023).

ფულის ადრეულმა ვერსიებმა გზა გაუხსნა დღევანდელ დახვეწილ ციფრულ ვალუტას, როგორცაა ბიტკოინი. 2008 წელს ბიტკოინის ჩაშვებამ მიმოქცევაში გარდამტეხი როლი შეასრულა აღნიშნულ სფეროში. ამგვარმა დეცენტრალიზებულმა კრიპტოვალუტამ გამოიწვია გლობალური ინტერესი ბლოკჩეინის ტექნოლოგიისა და დეცენტრალიზებული სისტემების პოტენციალის მიმართ. ამიტომ მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ მალევე გააცნობიერა კრიპტოვალუტების გამოყენების პოტენციური სარგებელი და დაიწყო მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ციფრული ვალუტების შემუშავება. მიუხედავად ციფრულ ვალუტებს შორის რიგი განსხვავებისა, მათი უმეტესობის ძირითადი ფუნდამენტური პრინციპები ერთნაირია.

ციფრული ვალუტის ფუნქციონირების სპეციფიკა

ციფრული ვალუტების ფუნქციონირების სპეციფიკა რთულია, ის ეფუძნება ეკონომიკას, კომპიუტერულ ტექნოლოგიასა და კრიპტოგრაფიას.

ციფრული ვალუტების გამოყენებისას მნიშვნელოვანია ციფრული საფულებების გახსნა და ტრანზაქციების განხორციელება. ციფრული ვალუტების შესანახად და სამართავად მომხმარებლები იყენებენ ციფრულ საფულებებს. ეს შეიძლება იყოს აპარატურა, ან პროგრამული უზრუნველყოფა. როდესაც მომხმარებელს სურს ციფრული ვალუტის გაგზავნა, ის ტრანზაქციისთვის იყენებს თავის ციფრულ საფულეს. ეს ტრანზაქცია შემდეგ გადაეცემა ქსელს და ელოდება დამოწმებას. დამოწმების შემდეგ ტრანზაქცია ემატება რეესტრში არსებულ მონაცემებს და ციფრული ვალუტა გადადის ერთი მომხმარებლის საფულედან მეორის საფულეში. ტრანზაქციების დასაცავად და ახალი ერთეულების შექმნის გასაკონტროლებლად ციფრული ვალუტები იყენებენ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს.

ციფრულ საფულეებს გააჩნია ორი გასაღები: საჯარო, ანუ ღია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის და პირადი ანუ დახურული, საიდუმლო, რომელიც ცნობილია მხოლოდ მისი მფლობელისთვის. უაღრესად მნიშვნელოვანია პირადი გასაღების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რადგან მისი დაკარგვა ნიშნავს საფულეში არსებული ციფრული ვალუტის დაკარგვას.

ციფრული ვალუტის დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები

ციფრულ ვალუტებს, ტრადიციულ ფიატნურ ვალუტებთან შედარებით, გააჩნიათ როგორც უნიკალური უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები. ციფრულ ვალუტებს, განსაკუთრებით ბლოკჩეინ ტექნოლოგიის მხარდაჭერით, შეუძლიათ შუამავლების გარეშე, ხელი შეუწყონ უფრო სწრაფ ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციებს, შეამცირონ გადარიცხვის დრო დღეებიდან წამებამდე. შუამავლების საჭიროების აღმოფხვრა ან შემცირება ასევე იწვევს ტრანზაქციის საკომისიო გადასახადის შემცირებას, რაც განსაკუთრებით მომგებიანი შეიძლება გახდეს საერთაშორისო ფულადი გზავნილების დროს.

ციფრული საფულეს ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა, რითაც ციფრულ ვალუტებს შეუძლია მიაწოდოს ფინანსური სერვისები მოსახლეობის უზარმაზარ სეგმენტებს, რომლებსაც არა აქვთ ბანკებთან ახლო ფიზიკური ურთიერთობა ან საკმარისი მომსახურება. როგორც ევროკავშირის ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინტელექტის მრჩეველი ლევან ბოძაშვილი აღნიშნავს, საქართველოში ციფრული ვალუტის გამოშვება მოსახლეობას სხვადასხვა გადასახადის გადახდისას ყოველწლიურად დააზოგვინებს 600-700 მლნ ლარს. აღარ იქნება საჭირო შუამავალი ბანკები და სხვა საგადასახადო სისტემები. მომხმარებელი ციფრული ლარით პირდაპირ გადაუხდის გადასახადს ელექტრონენერჯის მომწოდებელ კომპანიებს, ბანკის გარეშე (ციფრული ლარი - რას მოგვითანს ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა, 2021).

ციფრულ ვალუტას შეუძლია ასევე აღმოფხვას საერთაშორისო ანგარიშსწორებაში არსებული ისეთი ნაკლოვანებები როგორცაა: სიძვირე, შენელებული ტრანზაქციები, შეზღუდული წვდომა, გაუმჭირვალობა და სხვ. საერთაშორისო გადარიცხვების დრო შემცირდება სტანდარტული 3-5 დღიდან 2-10 წამამდე (Нестеров, 2023). ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა უზრუნველყოფს ფინანსურ სერვისებთან თანაბარ წვდომას.

ცბცვ-ს შემოღებით ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შეუძლია განახორციელოს ფულის მასის რეგულირების უფრო ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკა და კონტროლი, რაც საბოლოოდ ნიშნავს ბანკის მხრიდან ეკონომიკაში პირდაპირ და სწრაფ ჩარევას. ციფრული ვალუტების შემოღებისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის მაღალი დონის უზრუნველყოფა. სწორედ ამისთვის იქნა შემოღებულ სტეიბლკოინები.

ცბცვ-ის დანერგვას შესაძლოა თან ახლდეს ტექნოლოგიური ბარიერები. ამ მხრივ პირველ რიგში საჭიროა ფართო საზოგადოების მიერ ციფრული ვალუტის გამოყენების ელემენტარული ცოდნა, მისდამი ნდობის

გამოცხადება და მხარდაჭერა. განსაკუთრებით მოსახლეობის ხანდაზმულ და ტექნიკურად ნაკლებად გაცნობიერებულ ნაწილს ესაჭიროება ცბცვ-ის თავისებურებებისა და გამოყენების შესახებ ახსნა-განმარტება, ტრენინგების ორგანიზება.

ბანკის მიერ ციფრული ვალუტის გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონფიდენციალურობის დაცვას, ვინაიდან მთავრობას შეუძლია ციფრულ ვალუტაზე ზედამხედველობის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინის ტრანზაქციები გამჭვირვალეა, მასზე დაკვირვება შესაძლებელია ინდივიდების დონემდე. ეს იწვევს პირადი ფინანსური კონფიდენციალურობის დარღვევასა და, შესაბამისად, საზოგადოების შეშფოტებასაც, განსაკუთრებით ბანკის ციფრული ვალუტის გამოყენებასთან დაკავშირებით, სადაც მთავრობას შეუძლია მასზე ზედამხედველობა.

საქართველოს ციფრული ვალუტების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება ჩამორჩება მისი დანერგვის სწრაფ განვითარებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური სამართლებრივი და ტექნოლოგიური დაცვის პრობლემები. ციფრული ვალუტების ფართოდ გამოყენება აუცილებლად გამოიწვევს არსებული ფინანსური ინსტიტუტებისა და სისტემების ცვლილებებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური განვითარების გარკვეული რყევები.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტები

ციფრული ვალუტის დანერგვის გაფართოების კვალობაზე, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანამ წამოიწყო საკუთარი მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ციფრული ვალუტის შემუშავების პროექტები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი უნიკალური მიზნები, სტრატეგიები და გამოწვევები.

დღეისათვის მსოფლიოში სამი ქვეყნის - ნიგერია, იამაიკა და ბაჰამის კუნძულები - ბანკებმა მიმოქცევაში უკვე ჩაუშვა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტები. შემდეგი ოთხი ქვეყნის - ჩინეთი, ინდოეთი, განა და ურუგვაი - ბანკები იმყოფებიან ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის პილოტირების სტადიაზე. ამ მიმართულებით ყველაზე წინაა ჩინეთი, სადაც უკვე გახსნილია დაახლოებით 120 მლნ ელექტრონული საფულე. მათში ტრანზაქციების მოცულობამ კი შეადგინა 1.8 ტრლნ ციფრული იუანი (Названы страны, запустившие цифровые валюты ЦБ, 2023).

ჩინეთმა გამოუშვა 2 მლრდ ერთეული „ციფრული იუანი“ და 100-100 ათასი ცალი დაურიგა შანხაის მოსახლეობას. (ციფრული ლარი - რას მოგ-

ვითანს ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა, 2021). ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩინეთის დიდ ქალაქებში მსგავსი საპილოტე პროექტების განხორციელებას.

ჩინეთის მსგავსად, Riksbank-ის მიერ შვედეთში წარმატებით მიმდინარეობს შვედური ელექტრონული კრონის, ანუ „eKrona“-ს ციფრული ვერსიების შემუშავება, რომლის მიზანია ნაღდი ფულის გამოყენების შემცირება და მისი მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ციფრული ალტერნატივის უზრუნველყოფა. პროექტი ჯერ კიდევ საპილოტე ფაზაშია, იკვლევს ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებსა და სრულმასშტაბიანი განხორციელების შედეგებს (Швеция запускает свою цифровую валюту, чтобы конкурировать с биткоином, 2021).

ბაჰამის კუნძულებმა გამოუშვა ქვიშის დოლარი (Sand Dollar), რითაც ის გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მობილური აპლიკაციის საშუალებით ოფიციალურად შემოიღო ციფრული ვალუტა.

ქვიშის დოლარით შესაძლებელია ტრანზაქციების განხორციელება ინტერნეტის გარეშეც (Глава НБГ рассказал о переходе к цифровому лари на форуме euromoney, 2022), თუმცა, როგორც იუწყებიან, ქვეყანაში ქვიშის დალარის დანერგვაში წარმოიშვა პრობლემები მას შემდეგ, რაც 2022 წლის ნოემბერში ბირჟა FTX-მა საკუთარი თავი გამოაცხადა გაკოტრებულად. ბირჟა დაფუძნებული იყო ბაჰამის კუნძულებზე (Цифровая валюта Sand Dollar борется за свою значимость после падения FTX, 2023).

ევროპის ცენტრალური ბანკი აქტიურად იკვლევს ციფრული ევროს პოტენციალს. მიმდინარეობს ფართო კვლევა და საჯარო კონსულტაციები, რათა შეფასდეს ციფრული ვალუტის გამოყენების მიზანშეწონილობა და საზოგადოების ინტერესი მის მიმართ.

ევროპის ცენტრალური ბანკის მიზანია ევროს შენარჩუნება ციფრული ეპოქისთვისაც. ამით მას სურს შეთავაზოს ადამიანებს გადახდის უსაფრთხო მეთოდი და შეინარჩუნოს ფულადი სუვერენიტეტი კერძო ციფრულ ვალუტებზე. ციფრული ევროს გამოშვების დაწყებას ევროპის ცენტრალური ბანკი გეგმავს 2024 წლისთვის. ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის შემოღება გამორიცხავს შუამავლის საჭიროებას. თუმცა, იმასაც არ გამორიცხავენ, რომ მის შემოღებას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული რისკი. კერძოდ, მსოფლიოს საფინანსო ბაზარზე არასტაბილურობის ფონზე ევროპის კომერციულ ბანკებში შეიძლება შემცირდეს აქტივები (В ЕЦБ оценили последствия введения цифрового евро, 2022).

გარდა ზემოთ აღნიშნული ქვეყნებისა, სადაც წარმატებით მიმდინარეობს ცენტრალური ბანკების ციფრულ ვალუტაზე გადასვლის სამუშაო-

ებები, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეყანა, რომელიც სწავლობს და იკვლევს ქვეყანაში ციფრული ვალუტის შესაძლო გამოყენების, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის ფიატურ ფულთან დამოკიდებულებისა და ფინანსური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების საკითხებს. ასეთია, მაგალითად, იაპონია, რომლის ცენტრალურმა ბანკმა წარმატებით გაიარა თავისი ციფრული ვალუტის - იენის POC (Proof of Capasitiy) კონცეფციის ექსპერიმენტის მეორე ფაზა და გადავიდა პილოტირების ფაზაზე. აღნიშნული ექსპერიმენტის პროცესი მიმდინარეობდა 2022 წლის აპრილიდან 2023 წლის მარტის ჩათვლით (Япония запускает пилотный проект цифровой иены – подробности, 2023).

სამხრეთ კორეამ დაიწყო ტექნოლოგიის მომწოდებლების მოძიება ცენტრალური ბანკის ციფრული ვონის შესაქმნელად. საპილოტე პროგრამის რეალიზება დაგეგმილი იყო 2021 წლის აგვისტო-დეკემბრის ფარგლებში და უკვე გაიარა ტესტირების ეტაპები (Южная Корея приступает к разработке цифровой валюты, 2021).

ქვეყნის ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გამოყენების მთავარი ტექნოლოგიური გამოწვევაა ისეთი საიმედო სისტემების შემუშავება, რასაც შეეძლება დააკმაყოფილოს მისადმი მოთხოვნები ეროვნული მასშტაბით.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახალი ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის, საგადასახდო სისტემის ეფექტიანობის გაზრდისა და ფინანსური ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლიდან აქტიურად იკვლევს ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის მახასიათებლებს, მათ შორის, ციფრული ლარის შესაძლებლობებს, სისტემურ მოწყობასა და ბაზარზე მისი გამოყენების გზებს (ეროვნული ბანკი ციფრული ლარის პროექტის შემდეგ ეტაპზე გადადის, 2023). ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2021 წლის 30 აპრილს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ციფრული ლარის პროექტის პირველი ეტაპის დაწყების შესახებ განაცხადა და დაინტერესებული ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიები თანამშრომლობისთვის მოიწვია. პროექტის პირველი ეტაპის დამთავრების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2023 წლის 15 თებერვალი (ეროვნული ბანკი ციფრული ლარის პროექტის შემდეგ ეტაპზე გადადის, 2023).

გრძელვადიანი კვლევისა და სათანადო განხილვების შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა ისეთი კომპანიებისგან შემდგარი სია, რომელთაც პლატფორმის რეალურ გარემოში ტესტირების შესაბამისი გა-

მოცდილება და საკმარისი ტექნოლოგიური პოტენციალი გააჩნიათ. ესენია: AUGENTIC GmbH, Bitt Inc, Broxus Holdings Ltd, Currency Network Ltd, DCM Corp Limited, eCurrency Mint Inc, FARI Solutions Ltd, Ripple Labs, Inc, Sovereign Wallet Co., Ltd.

ეროვნული ბანკი განიხილავს ციფრული ლარის პროექტის ყველა იმ განსხვავებულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, რომელსაც ზემოხსენებული კომპანიები შესთავაზებენ. შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ ეროვნული ბანკი გამოავლენს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილ, ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე პარტნიორ ორგანიზაციას, რომელთანაც ერთად შექმნის საპილოტე გარემოს (ეროვნული ბანკი ციფრული ლარის საპილოტე პროექტის გასაშვებად ემზადება, 2023). მსგავსი ძალისხმევის შედეგად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წამყვანი საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ის კიდევ ერთი - ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის ინიციატივის - „CBDC Initiative“ ჯილდო მიიღო (საქართველოს ეროვნული ბანკი CENTRAL BANKING-მა ციფრული ვალუტის ინიციატივის კატეგორიაში გამარჯვებულად დაასახელა, 2023).

ციფრული ვალუტის შექმნასა და დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები

სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ციფრული ვალუტის შექმნა მრავალმხრივი გამოწვევაა. იგი სცილდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სფეროებს და მოიცავს მარეგულირებელ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს.

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გამოშვების ძირითადი ტექნოლოგია შეიძლება იყოს ბლოკჩეინი ან განაწილებული რეესტრის სხვა ფორმა. არჩევანის გაკეთება მათ შორის ხშირად დამოკიდებულია ტრანზაქციის სასურველ სიჩქარეზე, უსაფრთხოების დონესა და დეცენტრალიზაციის ხარისხზე.

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის მოხერხებულობა, უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა და ციფრული საფულეს შექმნა, გადამწყვეტია საზოგადოების მიერ მისი აღიარებისა და ცნობადობისთვის.

ციფრული ვალუტის შემოღებას სჭირდება მკაფიო სამართლებრივი განმარტება და პასუხის გაცემა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ციფრული ვალუტისა და ნაღდი ფულის ტოლფასობა, მის მიერ პროცენტის გამომუშავება, მისი მფლობელის უფლებები, მოვალეობები და სხვ.

არსებობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტები: AML (Anti Money Laundering - ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტი) და KYC (know your customer - იცნობდე შენს მომხმარებელს) (AML и KYC: о сложных понятиях простыми словами, 2022. **KYC** (know your customer - იცნობდე შენს მომხმარებელს) არის საბანკო და საფინანსო რეგულირების ტერმინი საფინანსო ინსტიტუტებისა და ბუკმეკერული კომპანიებისთვის.

ციფრული ვალუტის გამოყენებისას მომხმარებელთა უსაფრთხოების რეგულაციებმა უნდა დაიცვას ისინი თაღლითობის, სისტემის გაუმართაობისა და ციფრულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა რისკებისაგან.

ცენტრალური ბანკების მოვალეობაა განიხილონ ციფრული ვალუტის ზემოქმედება დაკრედიტების განაკვეთებზე, ინფლაციასა და მთლიან ეკონომიკურ ზრდაზე.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ როგორი იქნება ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის თანაარსებობა, არსებულ საბანკო სისტემასთან: ჩაანაცვლებს, შეავსებს, თუ იმუშავებს ის არსებული ფინანსური სტრუქტურების პარალელურად.

ციფრულ ვალუტაზე გადასვლისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს საზოგადოების დამოკიდებულება მისდამი. საწყის ეტაპზე ამ მიმართულებით, საზოგადოების ცნობადობის ამაღლების მიზნით, აუცილებელი იქნება სასწავლო დაწესებულებებთან ან მუნიციპალიტეტებთან ციფრული ვალუტის გამოყენების, უპირატესობებისა და უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრების შექმნა.

სახელმწიფოში ცენტრალური ბანკის მიერ ციფრული ვალუტის სრულმასშტაბიან დანერგვამდე, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირს, რათა გათვალისწინებულ იქნეს რეალურ ცხოვრებაში არსებული პრობლემები და საზოგადოების გამოხმაურებები. ციფრული ვალუტის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ტრანზაქციული მონაცემებისა და მომხმარებლების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, მათი დაცვა ჰაკერების კიბერშეტევებისაგან და სხვ.

დაბოლოს, ციფრული ვალუტის გამოყენებისას საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებისა ან ფულის გადარიცხვისათვის აუცილებელია ფულის გაცვლითი კურსის, საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო რეგულაციებისა, ფინანსურ სისტემებთან თანამშრომლობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინება.

ციფრული ფულისა და ფიატური ფულის შექმნასა და დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები

ციფრული ვალუტის შემოღება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს არსებულ ფინანსურ სისტემაზე, ვინაიდან ამით, ასევე არსებითად იცვლება მთლიანად ქვეყნის ფინანსური ლანდშაფტი.

ციფრული ვალუტის, კერძოდ, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის, შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან.

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის პროექტის დაწყებამდე, სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი სავარაუდო ეკონომიკური და სოციალური შედეგების წინასწარი შეფასება. ამისათვის საჭიროა საპილოტე პროგრამების მიერ ციფრული ვალუტის შემოწმება კონტროლირებად გარემოში, რაც საშუალებას იძლევა გაირკვეს საზოგადოების რეაქცია მის მიმართ მანამ, სანამ ის დაინერგება საერთოდ ქვეყნის მასშტაბით. საპილოტე პროგრამებმა შეიძლება მოითხოვოს მათი ინფრასტრუქტურის, ადამიანისეული რესურსებისა და საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა.

ციფრული ვალუტის დანერგვა მოითხოვს ისეთი ხარჯების გაღებას, როგორცაა: ბლოკჩეინის ან სხვა რომელიმე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიური სისტემის აგება, კონსენსუსის მექანიზმების ინტეგრირება, სისტემის მასშტაბურობა და სხვ. გარკვეული ინვესტიციების ჩადება იქნება საჭირო ციფრული საფულეს ინტერფეისისა და უსაფრთხოების მახასიათებლების შესამუშავებლად. აუცილებელი იქნება უსაფრთხოების ძლიერი სისტემების შექმნა, რაც მოითხოვს დაცვის სისტემების რეგულარულ განახლებას, დაუცველობის ხარისხის შეფასებას, პოტენციური საფრთხეებისგან დაცვის ზომების გატარებას და სხვ., რაც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. აგრეთვე, საჭირო იქნება ხარჯების გაწევა საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის, სარეკლამო მასალების, ტრენინგ-სესიებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიების ორგანიზებისთვის. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ახალი სისტემისთვის მხარდაჭერას და მის აღიარებას. დანახარჯების გაწევა აგრეთვე საჭირო იქნება არსებულ ფინანსურ სისტემებთან ინტეგრირებისთვის. სისტემის დანერგვასა და გამოყენებას დასჭირდება აგრეთვე ისეთი საოპერაციო ხარჯების გაწევა, როგორცაა: ადამიანისეული რესურსების, ელექტროენერჯის, მომხმარებლის მხარდაჭერისა და სერვერის ხარჯები, რიგი გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვ.

ფიატური ფულის გამოყენება მოითხოვს დანახარჯებს მის დასაბეჭდად (მოსაჭრელად) და მასალების, შრომისა და უსაფრთხოების უზრუნ-

ველსაყოფად. აღნიშნული ხარჯების გარდა, ფიატური ვალუტის გამოყენება დაკავშირებულია ბანკნოტების ცვეთასთან, გაყალბების პრევენციასთან და დაზიანებული, გაცვეთილი, დაკარგული ბანკნოტებისა და მონეტების შეცვლასთან. ციფრული ვალუტის დაზიანება პრაქტიკულად ნულოვანია, რადგან ის ელექტრონულია.

ფიატური ფულის გამოყენება საჭიროებს ფიზიკური ვალუტის ტრანსპორტირებისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე ბანკომატების მოვლასთან და ბანკის ფილიალების მუშაობასთან და სხვ. დაკავშირებული ხარჯების განვას.

ციფრული ვალუტის შემთხვევაში, ტრანზაქციებზე განული ხარჯების საკომისიო გადასახადი ან მინიმალურია, ან საერთოდ არ გაიღება. გაიწევა მხოლოდ ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ციფრული ვალუტის სხვა ფორმებად გადაქცევასთან. ფიატური ფულის შემთხვევაში ხარჯების გაღება აუცილებელია საკომისიო გადასახადის სახით საბანკო ტრანზაქციებზე, განსაკუთრებით საერთაშორისო გადარიცხვებზე. გასათვალისწინებელია ასევე საკრედიტო-სადებეტო ბარათით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯები, დამუშავების საკომისიო გადასახადის ჩათვლით.

გარკვეული ხარჯების განვება საჭირო როგორც ციფრული ვალუტის, ასევე ფიატური ფულის შესანახად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ციფრული ვალუტის შემთხვევაში ეს ხარჯები დაკავშირებულია ჰაკერებისაგან და მონაცემთა გაჟონვისა და არავტორიზებული წვდომისგან დაცვასთან. შენახვის ხარჯები მინიმალურია და ჩვეულებრივ ასოცირდება განაწილებული რეესტრის ან ბლოკჩეინის უსაფრთხოებასთან. ფიატური ვალუტის შემთხვევაში კი დიდია ნაღდი ფულის, მათ შორის ბანკის სარდაფებისა და კერძო სეიფების უსაფრთხოოდ დაცვის ღირებულება. ამას ემატება აგრეთვე დაზღვევის ხარჯები, რაც დაკავშირებულია პოტენციურ ქურდობასთან, დაზიანებასთან და სხვ.

ციფრული ვალუტის შემთხვევაში მონეტარული პოლიტიკის განსახორციელებლად პირდაპირი მონიტორინგისა და რეალურ დროში კორექტირების გზით ხდება ხარჯების პოტენციური დაზოგვა, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად მოხდეს რეაგირება ეკონომიკური პირობების ცვლილებაზე. ფიატური ვალუტის შემთხვევაში კი საჭიროა ღია ბაზრის ოპერაციებთან, სავალუტო ინტერვენციებთან და სხვა ტრადიციულ ფულად ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ხარჯების გაღება.

ციფრულ ვალუტას გააჩნია განუსაზღვრელი გამოყენების ვადა. ამიტომ მისი გამოყენების შემთხვევაში ხარჯები ძირითადად დაკავშირებული

ლია ტექნოლოგიისა და სისტემის განახლებასთან. ფიატნურ ვალუტას კი აქვს სიცოცხლის შებლუდული ხანგრძლიობა და, შესაბამისად, მოითხოვს ჩანაცვლების (მაგ., ქალაქის კუპონური და მონეტები შეიძლება გაცვდეს, დაზიანდეს, დაიკარგოს და ა.შ.) ხარჯების გაღებას.

ციფრული ვალუტის მომავალი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ციფრული ვალუტების დანერგვის სწრაფი ზრდა და განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გლობალური ფინანსური ლანდშაფტის შეცვლაში. სავარაუდოდ, ქვეყნის მასშტაბით საპილოტე ფაზების დამთავრების შემდეგ, ბევრი ქვეყანა გადავა ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტებზე, რაც გაზრდის მის საჯარო ხელმისაწვდომობას და გამოყენებას. შემოთავაზებულ სისტემებში ტრანზაქციისთვის პერსპექტივაში უფრო და უფრო მეტი მსხვილი და მცირე ბიზნესი დაიწყებს ციფრული ვალუტებით ანგარიშსწორებას. ციფრული ვალუტის შემოღება გაზრდის ფულად ურთიერთობათა უსაფრთხოების დონეს. მოსალოდნელია უფრო სწრაფი ტრანზაქციების, უფრო ენერგოეფექტიანი კონსენსუსის მექანიზმებისა და უკეთესი მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღება. ციფრული ვალუტის მიწოდებაზე მეტი კონტროლის განხორციელების შედეგად, ცენტრალურ ბანკებს შეეძლებათ გაატარონ პირდაპირი და ადაპტური მონეტარული პოლიტიკა. ტრადიციული საბანკო დაწესებულებები უდავოდ დაინახავენ ცვლილებებს მათ ოპერაციულ პარადიგმაში, იქნებიან რა ორიენტირებული ციფრულ სერვისებზე, ინტეგრაციასა და შემოსავლის ახალ მოდელებზე. რაც უფრო მეტი ქვეყანა გადავა ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტაზე, მით უფრო მეტად შემცირდება ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციების დრო და დანახარჯები. გლობალური ფინანსური სტრუქტურების პოტენციალისა და სხვადასხვა ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების თავსებადობის გაცნობიერება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ფულად ურთიერთობათა განვითარებას, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ციფრულ ვალუტებზე საერთო სტანდარტების დანერგვასა და სხვ.

ფინანსური ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილად ციფრული ვალუტების გადაქცევის კვალდაკვალ, სავარაუდოდ, გაძლიერდება ზომები მომხმარებელთა უფლებებისა და აქტივების დასაცავად. ინტერნეტის სწრაფი გავრცელება მსოფლიოს ამჟამად ბანკებთან ნაკლებად დაკავშირებული მოსახლეობის დიდ ნაწილს მისცემს ფინანსურ სერვისებთან წვდომის შესაძლებლობას. ამიტომ აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს საგანმანათლებლო პროგრამებში ციფრული ვალუტების, კიბერუსაფრთხო-

ებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერების პროცესზე, რათა უფრო სრულყოფილად განვითარდეს კაცობრიობის ურთიერთთანამშრომლობის უნარი, როგორც ცივილიზაციის მნიშვნელოვანი უპირატესობა და მონაპოვარი გლობალურ ეკონომიკაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

- თავდაპირველად ციფრული ვალუტის დანერგვა მოითხოვს ვალუტის გამოყენების დანებისა და მიმდინარე ტექნოლოგიური ხარჯების განვას, რასაც შეუძლია უზრუნველყოს მათი ეფექტიანობის ამადლება გრძელვადიან პერსპექტივაში, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორცაა დისტრიბუცია და ტრანზაქციის საფასური. ფიატურ ფულს, მისი ფიზიკური ბუნებიდან და განაწილების ტრადიციული მეთოდებიდან გამომდინარე, გააჩნია საყოველთაოდ ცნობილი და ტრადიციულად ფესვადგმული ხარჯები.

- დღეისათვის კრიპტოვალუტები საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას. მასთან დაკავშირებული საქმიანობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და, შესაბამისად, ვირტუალური ვალუტა არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს. მაგრამ, ცენტრალური ბანკის ციფრულ ვალუტაზე გადასვლის შემდეგ, გარდა ცენტრალური ბანკისა, ციფრული ვალუტის გამოშვება ფიზიკური პირის ან ჯგუფის მიერ კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მისი გაყალბების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

- ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოების მიერ ციფრული ფულისადმი ნდობისა და აღიარებისთვის, სასწავლო დაწესებულებებთან და მუნიციპალიტეტებთან უნდა შეიქმნას სახელმწიფოს ციფრული ვალუტის დანერგვისა და გამოყენების შემსწავლელი ცენტრები და ჩატარდეს ტრენინგები.

- სახელმწიფომ მაქსიმალურად გამარტივებული ფორმებით და ფართო მასშტაბით უნდა აამაღლოს ციფრული ვალუტის მიმართ მოსახლეობის დაინტერესება, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მათ მიერ ციფრული ვალუტის შექენის პროცესს.

- ქვეყანაში არსებულმა ბანკებმა, რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ უნდა განახორციელონ მოქალაქეების პირად ანგარიშებზე არსებული ფიატური ფულის შეცვლა შესაბამისი რაოდენობის ციფრული ვალუტით.

- ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის სწრაფად და მასშტაბურად დანერგვის მიზნით, შემუშავებულ უნდა იქნეს შესაბამისი სამარ-

თლებლივი ბაზა, რათა პრობლემები არ შეექმნას ქვეყნის საფინანსო სისტემას.

- ცენტალური ბანკის ციფრული ვალუტის რეალურ ცხოვრებაში დანერგვის დასაჩქარებლად, ცენტრალურმა ბანკმა საპილოტე გარემოში მყოფ მოსახლეობას სანცის ეტაპზე უსასყიდლოდ უნდა დაურიგოს ციფრული ვალუტა, რათა ადამიანებმა აწარმოონ გადახდები სახელმწიფოს ციფრული ფულით.

- პერსპექტივაში შესაძლებელია და აუცილებელიც ერთიან კრიპტოვალუტაზე გადასვლა მსოფლიო მასშტაბით. ასეთი ვალუტის ფუნქცია შესაძლოა შეასრულოს დღეისათვის მიმოქცევაში არსებულმა რომელიმე კრიპტოვალუტამ, ან კიდევ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნას ახალი კრიპტოვალუტა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

ლიტერატურა:

- გლდანის Bitfury, სავარაუდოდ, 16,7 მილიარდი ლარის ბიტკოინებს ფლობს (2017). <https://bit.ly/2tvTKWw>.
- სიჭინავა დ. მაღრაძე მ. (2018). ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამდღვრები და პრობლემები. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №6. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/339902>.
- Букия Г. Б. Сичинава Д. Ш. Лекиашвили Х. В. Шарашидзе Б. А. Шенгелия Л. В. (1976). Общегосударственные автоматизированные системы безналичного расчета. Сообщение АН ГССР, том 83, №3.
- Цифровая валюта: Будущее ваших денег (2022). <https://bitly.ws/32NPB>.
- Чем известен Дэвид Чаум в мире криптовалют (2022). <https://bitly.ws/32NQe>.
- История блокчейна: как технология блокчейн меняет мир? (2022). <https://bitly.ws/32Pgp>.
- Sichinava D. Cryptocurrency (2019). – A Future Medium of Exchange. *Economics and Business*, <http://www..eb.tsu.ge>.
- Сколько всего существует криптовалют? (2022). <https://bitly.ws/WamS>.
- Что такое стейблкоины? (2022). <https://bitly.ws/32Ph8>.
- PayPal запустил свой стейблкоин (2020). <https://habr.com/ru/news/753374/>.
- Binance запустит стейблкоины в Японии в 2024 году (2023). <https://bitly.ws/32PhK>.
- Сообщество раскритиковало выпущенный французским банком цифровой евро (2023). <https://bitly.ws/32Piu>.
- Цифровая валюта центральных банков: где используют и тестируют (2023). <https://tass.ru/info/17624617>.
- ეროვნული ბანკის გაფრთხილება (2017). <https://bitly.ws/WyVB>.

- Что такое CBDC и полезно ли вводить цифровую валюту в Украине во время войны (2022). <https://bitly.ws/32Py2>.
- DGEL - რა არის ციფრული ვალუტა, რომელზეც ეროვნული ბანკი მუშაობს? (2023). <https://bitly.ws/32PmB>.
- ციფრული ლარი - რას მოგვითანს ეროვნული ბანკის კრიპტოვალუტა (2021). <https://bitly.ws/32Pro>.
- Нестеров И. О. (2023). цифровые валюты центральных банков: инновационный инструмент для более эффективных внутренних и международных расчетов <https://bitly.ws/WzAf>.
- Названы страны, запустившие цифровые валюты ЦБ (2023). <https://bitly.ws/32PtU>.
- Швеция запускает свою цифровую валюту, чтобы конкурировать с биткоином (2021). <https://bitly.ws/XBw7>.
- Глава НБГ рассказал о переходе к цифровому лари на форуме euromoney (2022). <https://spress.ge/50313/>.
- Цифровая валюта Sand Dollar борется за свою значимость после падения FTX (2023). <https://bitly.ws/32PtU>.
- В ЕЦБ оценили последствия введения цифрового евро (2022). <https://bitly.ws/32Pvp>.
- Япония запускает пилотный проект цифровой иены – подробности (2023). <https://bitly.ws/Wby6>.
- Южная Корея приступает к разработке цифровой валюты (2021). <https://bitly.ws/32Pxxg>.
- ეროვნული ბანკი ციფრული ლარის პროექტის შემდეგ ეტაპზე გადადის (2023). <https://businessformula.ge/News/12394>.
- ეროვნული ბანკი ციფრული ლარის საპილოტე პროექტის გასაშვებად ემზადება, 28 სექტემბერი (2023). <https://bitly.ws/XmL3>.
- საქართველოს ეროვნული ბანკი CENTRAL BANKING-მა ციფრული ვალუტის ინიციატივის კატეგორიაში გამარჯვებულად დაასახელა (2023). <https://bitly.ws/Xmj7>.
- AML и KYC: О сложных понятиях простыми словами (2022). <https://bitly.ws/32Pxo>.

References:

- Gldanis Bitfury, savaraudod, 16,7 miliardi laris bitkoinebs flobs (2017). Gldani's Bitfury is Believed to own 16.7 billion GEL of Bitcoins] <https://bit.ly/2tvTKWw> (Last seen 2023, November.) In Georgian.
- Sichinava D. Maghradze M. (2018). Eleqtronul fulze gadasvlis wanamdzgvrebi da problemebi. [Preconditions and Problems of Trasition to Electronic Money. Jour. Globalization & Business, №6, 2018] <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/339902> (Last seen 2023, November.) In Georgian.

- Bukiya G. B., Sichinava D., Sh. Lekishvili H.V., Sharashidze B.A., Shengeliya L.V. (1976). Obshegosudarstvennyye avtomatizirovannye sistemy beznalichnogo rascheta. [Nationwide Automated Non-Cash Payment Systems. Press Report of the Academy of Sciences of the GSSR, 1976, volume 83, No. 3.] In Russian
- Cifrovaya valyuta: Budushee vashih deneg (2022). [Digital Currency: The Future of Your Money.] In Russian URL: <https://bitly.ws/32NPB> (Last seen 2023, November).
- Chem izvesten Devid Chaum v mire kriptovalyut (2022). [What is David Chaum Famous for in the World of Cryptocurrencies.] in Russian URL: <https://bitly.ws/32NQe> (Last seen 2023, November).
ექსპერიმენტული ეკონომიკა გუდისხმობს კონტოლიჩებადი ექსპერიმენტების ჩატაჩებას ეკონომიკური თეოჩიებისა და პიპოთეზების შესამოწმებდად. ამ ექსპერიმენტებში მკვლევაჩები ქმნიან კონტოლიჩებად გეჩემოს, სადაც სუბიექტები (ხოგოხც წესი, ინდივიდები ან ჯგუფები) იღებენ ეკონომიკური გადაწყვეტილებებს, ჩაც იძლევა კონკეჩტუდ პიჩობებში დაკვიჩვებების და ანადიზის საშუალებას. ექსპერიმენტული ეკონომიკა ხედს უწყობს ეკონომიკური თეოჩიების შემოწმებას კონტოლიჩებადი და განმეოჩებადი გზით.

ინსტიტუციური ეკონომიკა შეისწავლის ინსტიტუტების როლს (ფორმალური და ანაფორმალური წესები, ნორმები და ორგანიზაციები) ეკონომიკური ქცევისა და შედეგების ფორმირებაში. იგი იკვლევს, თუ როგორ ზემოქმედებენ ინსტიტუტები ეკონომიკური ტრანზაქციებზე, საკუთრების უფლებებზე, კონტრაქტებსა და მთლიანად ბაზრის ფუნქციონირებაზე.

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა (New Institutional Economics - NIE) ახის პეხსპექტიური ეკონომიკური მიმართულება, რომელიც ცდილობს გააფართოვოს ეკონომიკა იმ ინსტიტუტებზე (ანუ სოციალური და სამართლებრივი ნორმებსა და წესებზე) ფოკუსირებით, რაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური საქმიანობას, ასევე გააანალიზოს საკითხები, რომლებიც დახრია აღინდელი ინსტიტუციური ეკონომიკისა და ნეოკლასიკური ეკონომიკის მიღმა. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა ახის ძლიერი ინსტიტუტები ჰეაღუი სამყაროს ფუნდამენტის გასაგებად. ეს იკვლევს პასუხებს ფუნდამენტური კითხვებზე ეკონომიკის ორგანიზაციის, ზილისა და განვითარების შესახებ, მაგალითად, რატომ ახის ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი და ზოგი ღარიბი? რატომ ახის ორგანიზებული აქტივობა ფრჩხილებს, ბაზრების ან სხვა ადგილობრივი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების სახით? როდის ხდება საერთო ჰესუსების ზედმეტად ექსპლუატაცია? (Ménard C., Shirley, M., 2022).

კულტურული ნორმები ფუნდამენტური ფაქტორია როგორც ინსტიტუციური, ასევე ქცევითი ეკონომიკაში. ისინი გავლენას ახდენენ იმ წესებსა და ჰეგულაციებზე, რომლებიც მართავენ ეკონომიკური საქმიანობას, აყალიბებენ ინდივიდუალური ქცევას და გადაწყვეტილების მიღებას. ამ კულტურული ნორმების გავება გადაწყვეტილება ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების შემქმნელებისთვის ეფექტიანი პოლიტიკისა და ინტეგრაციების შემუშავებისთვის სხვადასხვა ეკონომიკური კონტექსტით.

ქცევითი და ინსტიტუციური ეკონომიკა სწრაფად განვითარებადი სფეროებია, რომლებიც გვთავაზობენ ღრმა ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს და როგორ აყალიბებენ ინსტიტუტები ჩვენს ეკონომიკური ქცევას. ექსპერიმენტული მეთოდმა გადაწყვეტილების მიღების იტამაშა ორივე დისციპლინაში, რაც მკვლევარებს საშუალებას აძლევს შეაგროვონ მონაცემები და გააუმჯობესონ ეკონომიკური ქცევის გავება. ამ სფეროების შესწავლით მოსალოდნელია კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება ადამიანთა ქცევისა და ეკონომიკური ინსტიტუტების შიხის კომპლექსური ურთიერთკავშირით.

საკვანძო სიტყვები: ქცევითი ეკონომიკა, ინსტიტუციური ეკონომიკა, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა, ექსპერიმენტული ეკონომიკა.

პროფესორ გიორგი პაპავას თეორიული მემკვიდრეობა და ეკონომიკური მეცნიერების ზოგიერთი აქტუალური მეთოდოლოგიური პრობლემა¹

ედგუჯა მექვაბიშვილი

პროფესორი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

elguja.mekvabishvili@tsu.ge

ნაშრომში განხილულია ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის, პროფესორ გიორგი პაპავას წვლილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, მის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის - „პეჩიოდანტი-გენეტიკური, პოლიფონიური და მოხფოდოლოგიური, ეკონომიკური აბოვანების წესის“ სახით. გაანალიზებულია ამ მეთოდოლოგიის შემადგენელი ელემენტები: სისტემურ-გენეტიკური კავშირები, პეჩიოდანტი, ეკონომიკის მოხფოდოლოგია და ეკონომიკური პოლიფონია. აღნიშნულია, რომ მეცნიერმა ორიგინალური მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შექმნილი სამი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა: შემოგვთავაზა თეორიული ეკონომიკის ევრისტიკული პოტენციალის სიღრმისეული დასაბუთება, ხოლო აჩვენა მისი წამყვანი როლი ეკონომიკური მეცნიერებათა სისტემაში; საფუძვლიანად გააჩინა თანამედროვე „ეკონომიკის“ ფუნდამენტური ნაკლოვანებები და ჩამოაყალიბა „ტრადიციული“ საბაზო ეკონომიკის შეხედულებები ეკონომიკურ ტრანსფორმაციების პირობებში და მიმართულებები.

სტატიაში წარმოდგენილია მეცნიერის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის უნივერსალური ხასიათი, რომლის გამოყენებაც თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი, როგორც მიკრო ასევე მაკროეკონომიკური ხასიათის კვლევებში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პრაქტიკები, პეჩიოდანტი, ეკონომიკის მოხფოდოლოგია, ეკონომიკური პოლიფონია, სისტემურ-გენეტიკური მიდგომა, მეთოდოლოგიები, საბაზო ეკონომიკა, შეხედულებები ეკონომიკა, ეკონომიკის ხეგლეობა, ინდიკატორები დაგეგმვა.

შესავალი

ეკონომიკური მეცნიერება დღეს ბევრი რთული და გადაუწყვეტელი პრობლემის „ტყვეობაშია“ მოქცეული, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი

¹ სტატიას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ პროფ. გ.პაპავას დაბადებიდან 100 წლის-თავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. თსუ, 2023, 7-8 ოქტომბერი

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილ „ეკონომიკსის“ სახელმძღვანელოებშიც აისახა. ეს კი, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სწავლების პროცესზე.

ეკონომიკური მეცნიერებების სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი თეორიული ეკონომიკა, რომელიც ამჟამად პარადიგმულ კრიზისს განიცდის, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ეკონომიკური მეცნიერებების მთელ სისტემაზე. ამიტომ, მისი ახალი, შექმნილი რეალობისადმი ადეკვატური მეთოდოლოგიის შექმნა პრინციპულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.

პროფესორი გიორგი პაპავა თვალსაჩინო ქართველი თეორიტიკოსი ეკონომისტი, რომელმაც შექმნა ეკონომიკური კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგია და მასზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების რამდენიმე ფუნდამენტური მიმართულება. მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს ასევე აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც.

სტატია ეძღვნება გ. პაპავას მიერ შექმნილი ახალი მეთოდოლოგიის - „პერიოდანტულ-გენეტიკური, პოლიფონიური და მორფოლოგიური, ეკონომიკური აზროვნების წესის“ განხილვას. პირველ ნაწილში დახასიათებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის მთავარი პოსტულატები (ჩვენი ტერმინით - „მეთოდოლოგიზმები“) და პარადიგმები, მეორეში კი მათზე დაყრდნობით გადმოცემულია თანამედროვე ეკონომიკის ფუნდამენტური ნაკლოვანების კრიტიკა. დასკვნით ნაწილში კი - დასაბუთებულია მეცნიერის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის უნივერსალური ხასიათი.

პროფ. გიორგი პაპავას მეთოდოლოგიზმები და პარადიგმები

თეორიული ეკონომიკის შესწავლის საგანთან დაკავშირებით მეცნიერი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას:

- **პიხვედი მეთოდოლოგიზმი** - თეორიული ეკონომიკა არის ეკონომიკური რეალობის კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერება. ეკონომიკური რეალობა არის საგანი, მოვლენა, პროცესი, ოპერაცია, რომელიც არსებობს ან ხდება სინამდვილეში (Папавა Г., 2009).

- **მეოხე მეთოდოლოგიზმი** ეხება ეკონომიკისა და ბიზნესის ურთიერთმიმართებას. ეკონომიკის განვითარება მიზანია, ამიტომ პირველადია ბიზნესთან მიმართებით. ბიზნესი არის მიზნის რეალიზების საშუალება (პაპავა გ., 2012). ამასთანავე, ეკონომიკა მიზანია და არა თვითმიზანი. თვითმიზანი ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. მისი მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეკონომიკა ეფექტიანია, ხოლო ეფექტიანი ეკონომიკა ნიშნავს სოციალურად ჯანსაღ ეკონომიკას.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერი იყენებს ცნებას „სოციალურად ჯანსაღი ეფექტიანობა“, რაც საკითხისადმი ორიგინალური მიდგომაა: ეკონომიკის ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებული დიქტომიის ნაცვლად, იგი გვთავაზობს მათ სიმბიოზს, რაც სინერგიული ეფექტის შემცველია.

• **მესამე მეთოდოლოგიზმი.** ეკონომიკა თვითორგანიზებადი სისტემაა, რომელიც ობიექტური ეკონომიკური კანონებით იმართება, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს „ეკონომიკურ პროცესებში ადამიანის მიერ მორგანიზებული ფუნქციის შესრულებას“, რასაც იგი „ეკონომიკის მორფოლოგიას“¹ უწოდებს და ამ უკანასასკნელს განასხვავებს „ბუნების ქმნილების თვითორგანიზებადი მორფოლოგიისგან“².

• **მეოთხე მეთოდოლოგიზმი.** ეკონომიკის მორფოლოგია „საბაზრო ეკონომიკის ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტით განხილვის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საბაზრო ეკონომიკა ქვეყანაში დემოკრატიული წყობის ნიადაგის შექმნის და პლუტოკრატიის, ანუ თანამდებობის გამოყენებით, პირად გამდიდრებაზე ორიენტირებული მცირე ჯგუფის მიერ სახელმწიფო მართვის პრაქტიკის გამომრიცხავ პირობად იქცევა“ (პაპავა გ., 2012).

• **მეხუთე მეთოდოლოგიზმი.** საბაზრო ეკონომიკის სისტემა წარმოადგენს დადებითი და უარყოფითი თვისებების ერთობლიობას. ეკონომიკური მეცნიერების მთავარი ამოცანაა „ეკონომიკის მორფოლოგიის“ გამოყენებით „საბაზრო ეკონომიკის უარყოფითი თვისებების მინიმიზაცია და დადებითი თვისებების დამკვიდრება“ (პაპავა გ., 2012). შესაბამისად, იგი გვთავაზობს ამ პრობლემის გადაჭრის ორ გზას: პირველი - საბაზრო ეკონომიკის სოციალიზაცია და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის გამოყენებით, შერეულ ეკონომიკურ სისტემად მისი ტრანსფორმირება. უნდა აღინიშნოს, რომ მეტ-ნაკლები სიმწვავეით ეს პრობლემა დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დგას. მეორე სახის ნაკლოვანებებს პროფ. გ.პაპავა არასისტემურ „მინარევებს“ უწოდებს, მის განმარტებას იგი არ გვთავაზობს, მაგრამ ანალიზის ლოგიკიდან გამომდინარე შეიძლება ვი-

1 სიტყვა „მორფოლოგია“ ბერძნული წარმოშობისაა და ფართო გაგებით არის მოძღვრება ფორმების შესახებ. მიჩნეულია, რომ ყველა ფორმა ერთი შინაარსის სახეცვლილებაა და ერთიანობა გამოიხატება ფორმების მრავალფეროვნებაში. მეცნიერი ამ კატეგორიას ეკონომიკასთან მიმართებით იყენებს.

2 „თვითორგანიზებადი მორფოლოგია“ და „ეკონომიკის მორფოლოგია“ შორის კავშირი არსებობს, რასაც გააჩნია ფილოსოფიური ასპექტი: „ბუნება თავად ქმნის ადამიანს, რომელიც თავისი ქცევით აყალიბებს და ცვლის ეკონომიკის მორფოლოგიურ აღნაგობას“ (პაპავა გ., 2012).

ვარაუდოთ, რომ აქ იგულისხმება პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის „სხეულზე მინებებული“ წინა - ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისთვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც „მიმიკრიით“ ცდილობენ საკუთარი არსებობის შენარჩუნებას და გახანგრძლივებას (პაპავა ვ., 2010).

- **მექვსე მეთოდოლოგიაში.** ორივე ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა ძლიერი ეკონომიკური თეორია, რომელიც შეძლებს „ამა თუ იმ პერიოდში რეალური ეკონომიკური სინამდვილის სწორ შეფასებას“. მისი არარსებობა კი „ბადებს შენიღბულ ეკონომიკურ რისკებს მოცემული ეკონომიკური სუბიექტის პრაქტიკაში“ (Папавა Г., 2009).

- **მეშვიდე მეთოდოლოგიაში.** თანამედროვე „ეკონომიკსს“, მეცნიერის აზრით, არ შეუძლია არც ერთი ამ ამოცანის გადაჭრა იმ მიზეზით, რომ, პირველი, ის არ განიხილავს პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის პრობლემებს და მეორე, მას ახასიათებს იმანენტური ხარვეზები, რის შესახებაც სტატიის მეორე ნაწილში გვექნება მსჯელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფ. გ. პაპავას მთავარი მიზანია პრინციპულად განსხვავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობილი ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება, რომლის ნაწილია, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკის მორფოლოგია და პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომა. მათი ერთიანობა შესაძლებელს ხდის შემეცნების სისტემურ აღქმას.

- **მეჩვე მეთოდოლოგიაში.** პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის აუცილებლობას პრაქტიკის მოთხოვნილებაც განაპირობებს: ეკონომიკური პოლიტიკა და მისგან გამომდინარე მმართველური გადაწყვეტილებები, დროის ყოველ მოცემულ პერიოდში, უნდა ემყარებოდეს წარსულში დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერის მეთოდოლოგიაში დრო განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი *ჩესუხსი* და ამავე დროს - *ჩესუხსწახმომქნედი ფაქტოხი*.

- **მეცხხე მეთოდოლოგიაში.** დრო, მეცნიერის თეორიულ კონსტრუქციაში, რამდენიმე თვალსაზრისითაა განხილული. ფილოსოფიურად - დრო მატერიის არსებობის ფორმაა სივრცესთან ერთად. ასტრონომიული დრო მონაკვეთებად, ანუ პერიოდებად იყოფა. „პერიოდანტი“, მეცნიერის აზრით, „დროის ეკონომიკური უკუგებაა“, ანუ იგი აფიქსირებს დროის ყოველ მოცემულ მონაკვეთში (დროის პერიოდში) განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგს. მაშასადამე, მეტი შედეგი არის ეკონომიკური პერიოდანტის უკუგების მეტი სიდიდე, ანუ, ჩვენი აზრით, პერიოდანტი შეიძლება განხილული იქნეს ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმად.

• **მეათე მეთოდოლოგიზმი.** პროფ. გ.პაპავას მეთოდოლოგიაში დროის პერიოდები უბრალოდ კი არ ცვლიან ერთმანეთს, არამედ გენეტიკურ ურთიერთკავშირში არიან მათში განხორციელებული თუ მიმდინარე პროცესების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, თეორიული ეკონომიკა ლოგიკური მიდგომის გამოყენებით, კანონებისა და კატეგორიების სისტემაში ასახავს ისტორიულ პროცესებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომა ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობას გულისხმობს.

• **მეთექვსმეტე მეთოდოლოგიზმი.** „ეკონომიკური პოლიფონია“ ახალი მეთოდოლოგიის ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია. მეცნიერის მიერ ის განმარტებულია, როგორც დამოუკიდებელი, კონკურენციაში მყოფი და ამავე დროს „მოთანამშრომლე ეკონომიკური სუბიექტების“ ჰარმონიული „მრავალხმიანობა“ („პოლიფონია“).

• **მეთოხმეტე მეთოდოლოგიზმი.** მრავალხმიანობის მიღწევა, როგორც წესი, დირიჟორის აუცილებლობას გულისხმობს. „დირიჟორი“ ამ შემთხვევაში სახელმწიფოა, „დირიჟორის ჯოხი“ ინდიკატური დაგეგმვაა. სახელმწიფოს „დირიჟორის ჯოხზე“ „ეკონომიკური სუბიექტები იმის მსგავსად რეაგირებენ, როგორც ორკესტრის მუსიკოსები - დირიჟორის ჯოხის მოძრაობაზე“ (Папавა Г., 2009).

• **მეცამეტე მეთოდოლოგიზმი.** ინდიკატური დაგეგმვა ქმნის მაკროეკონომიკურ გარემოს და ინტერესების მართვით, ყოველგვარი დირექტიული ჩარევისა და იძულების გარეშე, უზრუნველყოფს მუდმივობის სუბიექტების „შეკვრას“. ანუ „პოლიფონიას“ (წყარო იგივე). ამგვარად ეხმარება სახელმწიფოს „ხილული ხელი“ ბაზრის „უხილავ ხელს“ და შედეგად „ძლიერდება მოცემული ქვეყნის ფინანსური ენერჯია. ხალხის („დემოსის“) და სახელმწიფოს ინტერესები, საბოლოო ანგარიშით, ერთმანეთს“. ის ქვეყანა, რომელიც წარმატებით გაივლის „ნორმალიზებული“, „პოლიფონიური“ საბაზრო ეკონომიკის შექმნის გზას, მანათობელი შუქურა და ნამდვილი მისაბაძი მაგალითი იქნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის (Папавა Г., 2009).

ასეთია პროფ. გ.პაპავას მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპები (მეთოდოლოგიზმები). აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შესაძლებელია რამდენიმე ფუნდამენტური თეორიული დებულების (პარადიგმის) ჩამოყალიბება.

• **პაჩადიგმა პიხვედი.** ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა მოახერხოს საბაზრო ეკონომიკის შერეულ ეკონომიკაში ტრანსფორმაციის მიმართულებების და გზების განსაზღვრა. შერეული ეკონომიკა არის „მაღალე-

ფექტიანი, მორფოლოგიურად თავსებადი, სოციალურად ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა“, რომელშიაც თანაარსებობს და კონკურირებს საკუთრების სხვადასხვა ტიპი და ეკონომიკურ სუბიექტთა ინტერესი, რომლის ცენტრში დგას ადამიანის, როგორც მწარმოებლის და მომხმარებლის თავისუფლება, ბატონობს ადამიანის თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობების რეალობა. ყველა ადამიანი, რომელიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ამას საჭიროებს, სოციალურად დაცულია“ (Папавა Г., 2009).

მეცნიერის ეს მოსაზრება პირდაპირაა მიმართული „თავისუფალი ბაზრის“ ლიბერალური და ლიბერტარიანული დოქტრინების წინააღმდეგ და უნისონშია ცნობილი სოციოლოგის კ. პოლანის მოსაზრებასთან: „ამ წიგნის(იგულისხმება მისი წიგნი - „დიდი ტრანსფორმაცია - ჩვენი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისები“, ე.მ.) მთავარი თეზისი ის გახლავთ, რომ თვითრეგულირებადი ბაზრის იდეა ცალსახად უტოპია იყო“ (პოლანი კ. 2021).

სწორედ თავისუფალი ბაზრის დოქტრინა მოგვევლინა პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოში „ველური კაპიტალიზმის“ დამკვიდრების იდეოლოგიურ საფუძვლად, რასაც პროფ. გ.პაპავა მკაცრად აკრიტიკებს და ალტერნატივას გვთავაზობს საბაზრო ეკონომიკის გენეტიკური მანკიერებებისაგან თავისუფალი შერეული ეკონომიკის სახით.

• **პაპავა გ.მ.** რომელიმე ერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის მეორე ქვეყანაში მექანიკურად გადატანა დაუშვებელია, ვინაიდან სხვა ეკონომიკურ ნიადაგზე შედეგები ხშირ შემთხვევაში შეიძლება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდეს და „ზოგადად ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის გამოცდილების ბრმა და მექანიკური გაზიარება სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში იწვევს პარალოგიზმებს სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებისას.“³ (Папавა Г., 2009).

• **პაპავა გ.მ.** ეკონომიკური გარდაქმნები უნდა მიმდინარეობდეს თანდათან, ევოლუციური გზით, მაგრამ თანმიმდევრულად. როგორც ჩანს, პროფ. გ.პაპავა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გრადუალისტური გზის მომხრეა. იგი პირდაპირ არ მსჯელობს ამის შესახებ, მაგრამ „შოკური თერაპია“ მისთვის მიუღებელი იყო, რასაც ადასტურებს მისი შემდეგი პარადიგმა.

3 მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დ. როდრიკი: „ეკონომიკის საზოგადოებრივი მეცნიერებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსალური, ყველა ეპოქისა და გარემოებისადმი მოდელის შექმნის მცდელობა უნაყოფო საქმიანობაა. მოდელი, ისევე როგორც თეორია, ვალიდურია მხოლოდ მოცემულ კონტექსტში“ (Родрик Д. 2017).

პაჩაღიგმა მეოთხე- პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ეკონომიკური რეალობის შეცნობის საფუძველზე და „დაუშვებელია ეკონომიკისთვის პოლიტიკური ნების თავზე მოხვევა ნებისმიერი დიქტატის გზით“ (Папавა Г., 2009).

• **პაჩაღიგმა მეხუთე.** საბაზრო ეკონომიკის „ნორმალიზება“, ანუ მისი გარკვეულ სოციალურ ჩარჩოში მოქცევა არის ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის წინააღმდეგობის წარმოქმნის პრევენცია და ეკონომიკური პროგრესის განხორციელების პირობა, არსებული ეკონომიკური სისტემისთვის სოციალური ზიანის მიყენების გარეშე (Папавა Г., 2009).

განხილული მეთოდოლოგიებისა და პარადიგმების ერთობლიობა, ჩვენი აზრით, ნათლად წარმოაჩენს პროფ. გ.პაპავას მიერ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის სიახლეს და უნივერსალურ ხასიათს, აჩვენებს თანამედროვე თეორიულ კვლევებში მისი გამოყენების შესაძლებლობას და პერსპექტივას.

თანამედროვე ეკონომიკის პრობლემები პროფ. გ. პაპავას ახალი მეთოდოლოგიის კუთხით

იდღეს ეკონომისტთა დიდი ნაწილი თანხმდება მოსაზრებაში, რომ „ეკონომიკისი“, როგორც მეცნიერება და შესაბამისად, როგორც სასწავლო დიციპლინა, კრიზისში იმყოფება (პაპავა ვ. 2018, რეინერტი ე. 2019, მექვაბიშვილი ე. 2018 და სხვ.). თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ძირითადად კი - გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე, ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება არსებობდა.⁴

ბუნებრივია, რომ აღნიშნული გარემოება არ დარჩენილა პროფ. გ. პაპავას ყურადღების მიღმა. ფორმისა და შინაარსის დიალექტიკაზე დაყრდნობით იგი მიიჩნევს, რომ თეორიული ეკონომიკური კვლევა შინაარსზე, ხოლო ემპირიული ანალიზი - ფორმებზე უნდა იყოს კონცენტრირებული. სწორედ ამ გზითაა მიღწევადი ეკონომიკური რეალობის მეცნიერული შემეცნება (Папавა Г., 2009). სამწუხაროდ, თანამედროვე ეკონომიკისში ამგვარი მიდგომა მთლიანად იგნორირებულია და მასში ემპირიზმი მძლავრობს ანუ ფორმების ანალიზს ეთმობა მთელი ყურადღება და არა

4 მაგალითად, ნობელიანტ ეკონომისტი რ.ლუკასი წერდა: „დეპრესიის თავიდან აცილების საკვანძო ამოცანა გადაწყვეტილია ყველა შესაძლო შემთხვევისათვის“ (Lucas R. 2003). ფედ-ის ყოფილი თავმჯდომარე ბ. ბერნანკე სიტყვებით: „თანამედროვე თეორია და პოლიტიკა დღის წესრიგიდან ხსნის საქმიანი ციკლის პრობლემებს“ (Bernanke B. 2008) და სხვ.

შინაარსისას. ფორმალიზმი, რომელიც ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი, განაპირობებს ამ მეცნიერების საკუთარ თავში ჩაკეტვას ანუ პროფ. გ. პაპავას სიტყვებით, მის „აუტიზმით დაავადებას“⁵, „კონკრეტული სამოქმედო არეალიდან იზოლირებულ აზროვნებას“ (პაპავა გ. 2012). მაშასადამე, ეკონომიკის ნებაყოფლობით ამბობს უარს ფუნდამენტურობაზე, იმ დროს, როცა ეკონომიკურ პოლიტიკასა და „საბაზრო ტექნოლოგიას“ სწორედრომ თეორიული ეკონომიკური მეცნიერება სჭირდება.

ეკონომიკის ალნიშნულ მეთოდოლოგიურ ხარვეზს თავისი ფილოსოფიური და ზოგადი თეორიულ-ეკონომიკური მიზეზი გააჩნია. პირველი ის არის, რომ პოზიტივიზმის ფილოსოფიას ეფუძნება. ეს უკანასკნელი არამართო უარყოფს რეალობის შეცნობის შესაძლებლობას, არამედ საერთოდ მის არსებობას და ამით ის უარყოფს „მიზეზი-შედეგის“ მიმართების კვლევის შესაძლებლობას. რეალურ სინამდვილეში „სისტემა არის მისი შემადგენელი ელემენტების დეტერმინირებული გენეტიკური ჯაჭვი“ (პაპავა გ. 2012), რაც განსაზღვრავს „თვისებრივი შეცნობის მეთოდოლოგიის“ აუცილებლობას. ეს არაერთხელ ხაზგასმითაა მითითებული პროფ. გ.პაპავას ნაშრომებში.

ეკონომიკის მეორე ფუნდამენტური ხარვეზი, როგორც აღვნიშნეთ, თეორიულ-ეკონომიკური შინაარსისაა: იგი თანმიმდევრულად მიჰყვება ვალრასის წონასწორობის თეორიას და პარეტოს ოპტიმუმის პრინციპს. ეს განაპირობებს ეკონომიკაში რაოდენობრივი ანალიზის პრევალირებას თვისებრივ ანალიზზე. მეცნიერი საფუძვლიანად აკრიტიკებს ასეთ მიდგომას და აღნიშნავს: „ისინი, ვინც ეკონომიკური რეალობის მხოლოდ რაოდენობრივ ასპექტს აქცევენ ყურადღებას და არ ან ვერ წვდებიან ეკონომიკურ არსში, ეკონომიკურ აზროვნებაში უშვებენ პარალოგიზმებს“ (Panava G., 2012). მისი აზრით, პრინციპულად აუცილებელია, რომ ეკონომიკური რეალობის შეცნობა თვისებრივი ანალიზით დაიწყო, რომლის გარეშეც რაოდენობრივი ანალიზი აზრს კარგავს: „მახასიათებელი თვისება (ნიშანი) თავისთავად მოკლებულია რაოდენობას... თვისებრიობის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს მისი მატარებლები ანუ რაოდენობა“ (წყარო იგივე). მაშასადამე, კვლევის სწორი მეთოდოლოგია გულისხმობს ეკონომიკური რეალობის ანალიზის დაწყებას თვისებრიობიდან და რაოდენობრივი ანალიზით გაგრძელებას.

5 აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ფრანგმა სტუდენტებმა ხუმრობის თემად აქციეს და „პოსტპოზიტივიზმი ეკონომიკის“ მოძრაობა ჩამოაყალიბეს. ისინი მოითხოვდნენ, რომ უნივერსიტეტებში იდეოლოგიზირებული „ეკონომიკის“ პლურალისტური ეკონომიკური აზროვნებით შეცვლილიყო (რეინერტი, 2019).

ეკონომიკის კიდევ ერთი ხარვეზი, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური ნაკლოვანებიდან, მისი გადაჭარბებული მათემატიზაციაა, რომლის კრიტიკულ ანალიზს მეცნიერი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს: „მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში ხშირად იფარგლება რაოდენობრივი ანალიზით, კმაყოფილდება სტატისტიკური მონაცემებით და არ ითვალისწინებს რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლით განპირობებულ სიღრმისეულ თვისებრივ ძვრებს“ (Panava G., 2009). და შემდეგ: „ვფიქრობთ შესაძლებელია ქიმიის, ფიზიკის და ა.შ. მათემატიზაცია, მაგრამ ეკონომიკური აზროვნების მათემატიზაცია დაუშვებელია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკას საქმე აქვს ადამიანებთან, რომლებიც რეაგირებენ არა მათემატიკურ მონაცემებზე, არამედ ხარისხობრივ ეკონომიკურ შედეგებზე. ეს უკანასკნელი ექვემდებარება ხარისხობრივ (თვისებრივ) ანალიზს და არა მათემატიკურ წესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ნორმატიულ ანუ ზედაპირულ დისკრიპციულ იმიტაციურ მოდელირებას, რომლებიც ახდენენ ეკონომიკური რეალობის თვისებების იგნორირებას“ (წყარო იგივე).

ჩვენი აზრით, მოცემული კრიტიკის სისწორეს ადასტურებს მისი სრული თანხვედრა მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერის პოზიციასთან. ასე, მაგალითად: აკად. ვლ. პაპავა აღნიშნავს, რომ ეკონომიკური სინამდვილის კვლევის „მხოლოდ მათემატიკით შემოფარგვლა ავინროებს სინამდვილის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ასახვის შესაძლებლობას“ (პაპავა ვლ. 2018). თანამედროვე ეკონომიკის საფუძვლიან კრიტიკას გვთავაზობს პროფ. პ. ლეიაშვილი: „მთელი XX საუკუნე აღბეჭდილი იყო მათემატიკური მეთოდების დომინირებით ეკონომიკურ მეცნიერებაში. ისიც ცხადი ხდება, რომ, თუმცა ეკონომიკურ თეორიაში ბევრი საინტერესო რამ იქნა აღმოჩენილი მათემატიკის მეშვეობით (და ალბათ, კიდევ იქნება), მაგრამ, არსებითად, ამ ეტაპზე ამ მიმართულებამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები, შეიმჩნევა „ადგილზე ტკეპნა“ და ვერ ხერხდება გარღვევა თეორიაში, რისი აუცილებლობაც დიდი ხანია მომნიჭდა“ (ლეიაშვილი პ., 2002). მისივე აზრით, „ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება ვერ უზრუნველყოფს „წმინდა“ თეორიისაგან დამოუკიდებლად ქეშმარიტებასთან მიახლოებას და რეალობის სწორ ასახვას“ (წყარო იგივე). ცნობილი ნორვეგიელი ეკონომისტი ე. რეინერტი ასევე მკაცრად აკრიტიკებს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების გადაჭარბებულ მათემატიზაციას და წერს: „თანამედროვე „ეკონომიკისი“ ავადაა ... ეკონომისტებმა ეს საგანი გადააქციეს ერთგვარ სოციალურ მათემატიკად (ხაზგასმა ჩვე-ნია - ე.მ.), სადაც ანალიტიკური სიზუსტე ყველაფერია, ხოლო ემპირიული

რელევანტურობა - არაფერი. თუკი საკითხს ფორმალური მოდელირების კუთხით ვერ განიხილავ, მაშინ მისი ინტელექტუალურ ქვესკნელში გადამისამართება მოგიწევს“(რეინერტი, 2019). დ. როდრიკის აზრით, „ზედმეტი ფორმალიზაცია - მათემატიკა მათემატიკის გულისთვის - ეკონომიკაში ძალიან ხშირად გვხვდება“ და „მათემატიკა ეკონომიკურ მეცნიერებას, მართალია, სიზუსტეს ანიჭებს, მაგრამ, საუბედუროდ, იმავე დროს ის მას უსიცოცხლო წარმონაქმნად აქცევს“ (Подрик Д., 2017). აღნიშნულიდან გამომდინარე, „მოდელები (იგულისხმება ეკონომეტრიკული მოდელები - ე.მ.) ეკონომიკის ძალაცაა და მისი „აქილევსის ქუსლიც“ (წყარო იგივე). შვედი ეკონომისტი პ. სიოდერბაუმი წერს: „ხშირ შემთხვევაში რაოდენობა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ მცდარია ის იდეა, რომ ანალიზი ოდენ მათემატიკური წარმოდგენებით შეიზღუდოს, ხოლო განსჯისა და გაგების სხვა გზებს მეორეხარისხოვანი ან პერიფერიული როლი მიენიჭოს“(Söderbaum P., 2021).

ეკონომიკური მეცნიერების „მათემატიზაციის“ კრიტიკასთან ერთად, პროფ. გ. პაპავა არ უარყოფს ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. პირიქით, იგი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი ეკონომიკური მეცნიერების „მკაცრი ლოგიკური სიმწყობრე“ და ზუსტ მეცნიერებებთან მისი დაახლოვება. მაშასადამე, აქ მსჯელობა მხოლოდ იმაზეა, რომ მათემატიკა არ გამოდგება, რაიმე თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძვლად და ეკონომიკურ კვლევაში მან მხოლოდ ინსტრუმენტალური ფუნქცია უნდა შეასრულოს.

დასკვნა

თვალსაჩინო ქართველმა ეკონომისტ-თეორეტიკოსმა, პროფესორმა გიორგი პაპავამ შექმნა მეცნიერული კვლევის ორიგინალური მეთოდოლოგია - „პერიოდანტულ-გენეტიკური, პოლიფონიური და მორფოლოგიური, ეკონომიკური აზროვნების წესი“, რომელიც ეკონომიკური რეალობის შეცნობის, ანუ ეკონომიკის ფუნქციონირების სისტემური კანონზომიერებების შესწავლის („ანალიტიკური აღქმის“) ქმედუნარიანი ინსტრუმენტია.

აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით:

1. მან საფუძვლიანად დაასაბუთა თეორიული ეკონომიკის ევრისტიკული პოტენციალი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე;

2. არგუმენტირებულად გააკრიტიკა თანამედროვე „ეკონომიკისი“, აჩვენა რა მისი სისტემური ხარვეზები და ზოგადფილოსოფიური პრობლე-

მის - ფორმა-შინაარსის ურთიერთკავშირის ეკონომიკურ მეცნიერება-სთან მისადაგებით, ჩამოაყალიბა მათი დაძლევის მიმართულებები;

3. შეიმუშავა საბაზრო ეკონომიკის შერეულ ეკონომიკად ტრანსფორმირების თეორიული პოსტულატები და დასახა მათი პრაქტიკული რეალიზების გზები „საბაზრო ტექნოლოგიის“ გამოყენების საშუალებით, რითაც შექმნა „ეკონომიკური პარალოგიზმების“, ანუ თეორიულ აზროვნებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში, უნებლიე შეცდომების დაშვების თავიდან აცილების შესაძლებლობა.

პროფ. გ. პაპავას მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ, პირველი - შესაძლებელია მისი თანაბრად გამოყენება, როგორც მიკრო-, ასევე მაკროეკონომიკურ ანალიზში და მეორე მას შეუძლია წარმატებით ჩააბაროს გამოცდა ყველაზე „მკაცრ და უღმობელ გამომცდელს“ - **დროს!**

ლიტერატურა:

- პაპავა გ. (2012). მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
- პაპავა ვლ. (2010). ნეკროეკონომიკის ზომბირება. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
- Папава Г. (2009). методология познания реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы. Стокгольм CA&CC Press.
- პაპავა გ. (2011). ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა თბილისი.
- პოლანი კ. (2021). დიდი ტრანსფორმაცია: ჩვენი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური საწყისები. საქართველოში „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ გამოცემა.
- პაპავა ვ. (2018). ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისთვის. გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.
- რეინერტი ე. (2019). როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ქვეყნები ღარიბებად. საზოგადოების კვლევის ცენტრის და „კავკასიური სახლის“ გამოცემა, თბილისი.
- მექვაბიშვილი ე. (2018). ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი? გლობალიზაცია და ბიზნესი, #6.
- მექვაბიშვილი ე. (2016). გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის „პროგნოსტიკული დისფუნქცია“: მითი თუ რეალობა? ეკონომიკა და ბიზნესი ტ.IX, #2.
- მექვაბიშვილი ე. (2020). „რატომ ვერ შეძლეს ეკონომისტებმა გლობალური

ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირება?“ ეკონომიკა და ბიზნესი ტ.XII, #3.

- Кирман А., Коландер Д., Феммер Г., Хаасс А., Годберг Х. и др. (2010). Финансовый кризис и провалы современной экономической науки. Вопросы Экономики №6.
- Колодко Гж. (2010). Неoliberalism и мировой экономической кризис. Вопросы Экономики №3.
- Lukas R.E. (2003). Macroeconomic Priorities. American Economic Review. 93, no.1, March.
- Bernarke B. (2008). The Great Moderation. Remarks at the Meeting. Newsweek, 2008. Newsweek.com/id/177447.
- ლეიაშვილი პ. (2002). ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე. „აზრი“, თბილისი.
- Родрик Д. (2017). Экономика решает: сила и слабость «мрачной» науки. Изд-во Инс-та Гайдара.
- Söderbaum P. (2021). “The Challenge of Sustainable Development: From Technocracy to Democracy-Oriented Political Economics,” Economic Thought, World Economics Association, vol. 10(1), pages 1-13, July.

References:

- Papava G. (2012). morpologiuri midgoma ekonomikuri realobis mimart. [Morphological Approach to Economic Reality. TSU Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, Tbilisi.] in Georgian
- Papava V. (2010). nekroekonomikis zombireba. [ZOMBIE-ING OF THE NECROECONOMY. TSU Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, Tbilisi.] in Georgian
- Papava G. (2009). metodologiya ponimaniya realiy smeshannoy rynochnoy ekonomiki i paralozimov. [Methodology for Understanding the Realities of a Mixed Market Economy and Paralogisms. Stockholm CA&CC Press.] in Russian
- Papava G. (2011). ekonomikis sabazro tekhnologia. [Market Technology of the Economy. TSU Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, Tbilisi.] in Georgian
- Polanyi K. (2021). didi transpormatsia: chveni drois politikuri da ekonomikuri sawyisebi. [The Great Transformation: the Political and Economic Origins of our Time. Published by the Friedrich Ebert Foundation.] in Georgia.
- Papava V. (2018). ekonomikuri metsnierebis krizisi da akhali paradigmis dziebistvis. [The Crisis of Economic Science and the Search for a New Paradigm. Globalization and Business, #6.] in Georgian
- Reinert E. (2019). rogor gamdidrdnen mdidari kveqnebi...da ratom rchebian gharibi kveqnebi gharibebad. [How Rich Countries Got Rich . . . and Why Poor Countries Stay Poor. Published by the Society Research Center and “Caucasian House”, Tbilisi.] in Georgian

- Mekvabishvili E. (2018). ekonomikuri krizisis teoria tu ekonomikuri teoriis krizisi? [Theory of Economic Crises or Crisis of Economic Theory? Globalization and Business, #6.] in Georgian
- Mekvabishvili E. (2016). globaluri pinansuri da ekonomikuri krizisi da ekonomikuri teoriis „prognozuli dispunktsia“: miti tu realoba? [The Global Financial and Economic Crisis and the “Prognostic Dysfunction” of Economic Theory: Myth or Reality? Economics and Business, Volume IX, #2.] in Georgian
- Mekvabishvili E. (2020). „ratom ver shedzles ekonomistebma globaluri pinansur-ekonomikuri krizisis prognozireba? [“Why Did Economists Fail to Predict the Global Financial Crisis?”, Economics and Business Vol.XII, #3.] in Georgian
- Kirman A., Kolander D., Femmer G., Haass A., Godberg H., et al. (2010). Finansovy krizis i neudachi sovremennoy ekonomicheskoy nauki. [Financial Crisis and Failures of Modern Economic Science. Economic Issues No 6.] in Russian
- Kolodko Gj. (2010). Neoliberalizm i globalny ekonomicheskij krizis. [Neoliberalism and the Global Economic Crisis. Economic Issues No 6.] in Russian
- Lukas R.E. (2003). Macroeconomic Priorities. American Economic Review. 93, no.1, March.
- Bernarke B. (2008). The Great Moderation. Remarks at the Meeting. Newsweek, 2008. Newsweek.com/id/177447.
- Leiashvili P. (2002). ekonomiuri teoria da taktika gardamaval periodshi [Economic Theory and Tactics in Transition Period. “Azri”, Tbilisi.] in Georgian
- Rodrik D. (2017). Ekonomika reshayet: sila i slabost «mrachnoy» nauki. [Economics Decides: the Strength and Weakness of “Dismal” Science. Gaidar Institute Publishing House.] in Russian
- Söderbaum P. (2021). “The Challenge of Sustainable Development: From Technocracy to Democracy-Oriented Political Economics,” Economic Thought, World Economics Association, vol. 10(1), pages 1-13, July.

Theoretical Heritage of Professor Giorgi Papava and Actual Problems of Economic Science

Elguja Mekvabishvili

Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Elguja.mekvabishvili@tsu.ge

The paper discusses the contribution made by the famous Georgian economist, professor Giorgi Papava, to the development of economic science, first of

all, theoretical economics, which was manifested by his creation of a new methodology in the form of “periodontal-genetic, polyphonic and morphological rule of economic thinking”. The constituent elements of this methodology are analyzed. Systemic-genetic connections, periodontism, economic morphology, economic polyphony. It is noted that the scientist was able to solve three important scientific problems using the new methodology created by him.

First, it proposed a new confirmation for the heuristic potential of theoretical economics and demonstrated its leading role in the system of economic sciences.

Second, it gave us a profound critique of modern “economics”.

Third, he established the principles and directions of transformation of the “traditional” or free market theory into the mixed economic theory.

The new methodology established by Prof. Papava involves the study of economic events and processes based on a systematic approach. The economics is considered as a “multisystem”, which is formed by interconnected, interrelated and mutually generating, so-called “emergent” connections. The methodology created by the scientist is based on the following elements (categories):

- “Periodant”, i.e. physical time as the most important, including the rate of return of economic resources;
- Genetic (“emergent”) connections as the “binding material” of the economic system;
- “Economic morphology” as purposeful human participation in objective economic processes within the framework of “morphology of nature”;
- “Economic polyphony”. As a symbiosis of competition and mutual cooperation of economic agents (firms, companies, family farms).

The scientist proposed two groups of shortcomings of the “traditional” market economy: “immanent” and “mixed”. Accordingly, he justified two ways of solving them: first, the creation of an effective economic management system, which discussed the coordination of the “visible” hand of the state and the “invisible” hand of the market, through state regulation of the economy and using the indicative planning mechanism.

During criticizing modern “economics”, Prof. G. Papava, emphasized its shortcomings, such as: the self-isolation of this science, which he calls the “autistic disease of economics”, anti-historicity, mechanism, fetishization of the quantitative side of research while ignoring the qualitative side, and due to this, the excessive “mathematization” of “economics”. That is, its congestion with economic methods and econometric models. According to the scientist, the methodology created by him provides an opportunity to overcome these shortcomings and creates a new perspective for theoretical economics.

One of the main virtues of the new methodology created by Prof. Papava - “periodontal-genetic, polyphonic and morphological economic thinking” is its universal character, that is, it can be used with equal success in both microeconomic and macroeconomic studies.

Keywords: *Economic paralogisms, Periodontism, Economic morphology, Economic polyphony, Systemic-genetic approach, Methodology, Market economy, Mixed economy, Regulation of economy, Indicative planning.*

JEL Codes: *B40, B41, H44, L51*

კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში

თინათინ ღომსაძე

დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Tinatin.lomsadze184@eab.tsu.edu.ge

სტატიაში გადმოცემულია კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წახმატებულად შექმნა ბაღის ქვეყნებმა, რომელთა პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩრდილოეთევროპული მოდელის მოხება შეიძლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განათლების ხელოვნობების პროცესი. სწორედ ასეთი ქვეყნების მიხედვით მიეკუთვნება საქართველოც.

ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ, ხესუსების უკონტროლო ათვისებამ, გახეობში შეუქცევადი ეკოლოგიური პროცესები განაპირობა, რომელთაგან ყველაზე სახიფათო სათბურის აიხების GHG გაფრქვევა და მისგან გამოწვეული კლიმატის ცვლილებების უახლოვითი შედეგებია.

გაეხომ 2015 წლის 25 სექტემბრიდან, მდგრადი განვითარების კონცეფციის მიღებით, აქტიური ბიძოდა დაიწყო კლიმატის ცვლილებების და ხესუსების დაზოგვის საკითხის გადასაწყვეტად. 2016 წლის პაჩიზის შეთანხმებაში გაეხომ წევრ ქვეყნებს დაუსახა კლიმატის ცვლილებებთან ბიძოდის კონკრეტული გეგმა, ხაც ინდუსტრიების მწვანე ტრანსფორმაციასთან აჩის დაკავშირებული.

ინდუსტრიების მწვანე ტრანსფორმაცია გულისხმობს მოდერნიზებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანეგვასა და გაციფრებას. ეს პროცესი კი ქვიანი-სპეციალიზაციის სახელით მოიხსენიება ოციადეუ ღოკუმენტებში.

ინდუსტრიების ქვიანი-სპეციალიზაცია მიმდინარეობს ინოვაციური კლასტერების Triple და Quadruple Helix მოდელების განვითარების შედეგად, ხაც უზრუნველყოფს ეკონომიკის დარების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ინტეგრირებასა და თავმოყვას ცადკეუდი დოკადეუი ხეგონების ტეხიგოხიზე.

საკვანძო სიყვები: კლასტერი, მდგრადი განვითარება, ქვიანი-სპეციალიზაცია, ინოვაცია, ინდუსტრია.

შესავალი

ცივილიზებული საზოგადოება მუდმივად ისწრაფვის სარგებლიანობის დონის მაქსიმიზაციისკენ, რაც შეზღუდული რესურსების პირობებში,

შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს. თუმცა, პრაქტიკაში საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობის საკითხი, ძალიან რთულ და ხშირად გადაუწყვეტ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ის დაკავშირებულია რესურსების ეფექტიან ათვისებასა და დაზოგვასთან.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდის დანყების შემდეგ ყველაზე მწვავე პრობლემად საზოგადოებისთვის რესურსების ეფექტიანი ათვისება - დაზოგვის აუცილებლობა იქცა, რაც პირდაპირ კავშირშია ინდუსტრიების ინოვაციური შესაძლებლობების ზრდასა და ტექნოლოგიურ პროგრესთან.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, პროფესორი პორტერი თავის ნაშრომებში აღწერს ინდუსტრიების ინოვაციური შესაძლებლობების ზრდის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების სრულიად ახალ გზას, რომელიც კლასტერის *Triple Helix* მოდელის განვითარებასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული მოდელი 1990 წლიდან განვითარდა, როდესაც *მახშადის გეგმის* დამსახურებით მოხდა *ინდუსტრიების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების* ინტეგრაცია ინდუსტრიების მოდერნიზებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით (Porter, 2001; Solvel, 2009; Porter, 1998).

კლასტერების განვითარების სტრატეგიულ მნიშვნელობას ჰარვარდის უნივერსიტეტის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი მაიკლ პორტერი, პირველ რიგში, რესურსების ეფექტიან ათვისებას უკავშირებს, რასაც სპეციალიზებული ინდუსტრიების გეოგრაფიული კონცენტრაცია და კონვერგენციის ეფექტი განაპირობებს. რეგიონები, სადაც ვითარდება კლასტერები, გამოირჩევიან სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობის უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებლებით.

პროფესორი პორტერი კვლევებს აწარმოებდა ტემპლის უნივერსიტეტის პროფესორ მერსედეს დელგადოსთან და მიჩიგანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მკვლევარ სკოტ შტერნთან ერთად. მათ კვლევებით დაადასტურეს, რომ რაც უფრო ახლოსაა ინდუსტრიები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ერთმანეთთან, მით უფრო სწრაფად და ინტენსიურად ხდება ცოდნისა და ინოვაციების გავრცელება (Delgado, Porter, & Stern, 2014; Delgado, Porter, & Stern, 2012)

პროფესორ პორტერის, პროფესორ დელგადოსა და ასისტენტ შტერნის მტკიცებით, იდეალური შემთხვევაა, როდესაც ინდუსტრიების ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სახელმწიფო ინსტიტუტები იღებენ მონაწილეობას და ისინი თავმოყრილია ერთი გეოგრაფიული რეგიონის ტერიტორიაზე (Porter, 2001).

გეოგრაფიული მანძილის შემცირების შედეგად წარმოქმნილი კონვეზიციის ეფექტი ქმნის კლასტერის დინამიკას, რისი ინდიკატორიცაა ინოვაციური ტექნოლოგიური მიღწევები და მათი აქტიური დანერგვა ინდუსტრიების ეკონომიკურ საქმიანობაში, რის შედეგადაც ხდება ინდუსტრიების ქვეიანი-სპეციალიზაცია (Sovel, Lindqvist, & Ketels, 2003).

ქვეიანი-სპეციალიზაცია შესაძლებელს ხდის საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმალური დონის მიღწევას შეზღუდული რესურსების პირობებში, რაც პირველ რიგში ვლინდება სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებით (Delgado, Porter, & Stern, 2012; Delgado & Porter, 2021).

მსოფლიოში არსებობს კლასტერის რამდენიმე მოდელი, რომელიც აქვთ მალალგანვითარებულ ქვეყნებს. თუმცა, პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმალური დონის თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტიანი მოდელი აქვთ ჩხიდილოეთ ევროპის ქვეყნებს. მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები უპრეცედენტოა, შემოსავლების დონის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის, ასევე - ინტელექტუალური კაპიტალისა და ადამიანისეული რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რასაც ადასტურებს გაეროს სპეციალური კომპეტენციის სააგენტოების მიერ ჩატარებული მრავალი კვლევა. 2023 წლის რეიტინგის მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასთან ყველაზე ახლოს არიან ფინეთი, დანია, ისტონია და შვედეთი, ხოლო ნოჩვეგია HDI - ს მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წარმატებულად შეძლეს ბარგის ქვეყნებმა, სწორედ ამიტომ, აუცილებელია საქართველომაც განახორციელოს ჩრდილოეთევროპული მოდელის დანერგვა და განვითარება.

ბალტიის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩრდილოეთევროპული მოდელის მორგება შეიძლება ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განათლების რეფორმირების პროცესი, ამასთან, ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის ტრანსფორმირებული გეგმურიდან საბაზრო ტიპზე, სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

ინოვაციური კლასტერის ჩრდილოეთევროპული მოდელი

სოციალური კეთილდღეობის შექმნა, ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებით გამოიხატება, რაც გულისხმობს უფასო განათლებას,

ჯანდაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, მათ შორის, პენსიებსა და სოციალურ დაზღვევას, ასევე, ღირსეული დასაქმებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს და ა.შ. (Bentham, 1776; Bentham, 1780; Jevons, 1871; Sachs, Lafortune, Kroll, Fuller, & Woelm, 2022).

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ ყველაზე წარმატებული კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. მათ შექმნეს ინოვაციური კლასტერის ისეთი მოდელი (იხ ცხრილი 1), რომლის მორგებაც შესაძლებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების თავისებურებებზე. ბალტიის ქვეყნებმა შეძლეს აღნიშნული მოდელით მოეხდინათ ეკონომიკის ტრანსფორმაცია და მაღალგანვითარებული სამყაროს ნაწილი გამხდარიყვნენ. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის აუცილებლობას წარმოადგენს კლასტერის Triple და Quadruple Helix მოდელის გადმოტანა და ჩრდილოეთ ევროპის გამოცდილების გაზიარება.

კლასტერების განვითარებას რეგიონულ დონეზე, ინოვაციების შვედური სააგენტო (VINNOVA) ხელმძღვანელობს, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის. აღნიშნულმა სააგენტომ, 2001 წელს დაიწყო VINNVAXT და VISANU კლასტერული განვითარების პროგრამები, რაც 2005 წელს წარმატებულად დასრულდა. 2006 წლიდან, კლასტერული განვითარების ახალი პროგრამა - „აწარმოე შვედეთში“ (Enterprise Sweden) დაიწყო, რომელიც დღესდღეობით კლასტერების ინიციატივების იმპლემენტაციის ყველაზე აქტიური პროგრამაა (ECO, 2023).

შვედეთი - Triple Helix მოდელი

ცხრილი 1.

რეგიონები	ჭკვიანი-სპეციალიზაცია
ჩრდილოეთ ნორლანდია	მწვანე ტრანსპორტი
ცენტრალური ნორლანდია	მშენებლობა და არქიტექტურა
ცენტრალური შვედეთის ჩრდილოეთი	მედიცინა და ბიო-მეცნიერება
სტოკჰოლმი	ICT და ხელოვნური ინტელექტი
სმოლანდი, გოტლანდი და ელანდი	ენერჯეტიკა
დასავლეთ შვედეთი	ტექსტილი და დიზაინი
ცენტრალური შვედეთის აღმოსავლეთი	კვების ტექნოლოგიები
სამხრეთ შვედეთი	მიკრო და ნანო ტექნოლოგიები

წყარო: ევროპული კლასტერების ობსერვატორია (შვედეთი-2023)

დანიაში კლასტერულ განვითარებას ეროვნულ დონეზე სამი სამინისტრო წარმართავს: ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტრო (Korobaničová, 2015). სამინისტროების კომპეტენცი-

ის ფარგლებში 1990-2003 წლებში დანიაში მიმდინარეობდა ზრდისა და ცოდნაზე დაფუძნებული განვითარების სტრატეგიის (Growth and Knowledge Development Strategy) განხორციელება. 2004-2007 წლებში, დანია ინოვაციების ეროვნული სტრატეგიის (National Innovation Strategy) განხორციელებაზე გადავიდა.

დანია - Triple Helix მოდელი

ცხილი 2.

რეგიონები	ჭკვიანი-სპეციალიზაცია
ჩრდილოეთ დანია	მედიცინა და ბიო-მეცნიერება
კოპენჰაგენი	ICT; მწვანე ტრანსპორტი
ცენტრალური დანია	კვების ტექნოლოგიები
სამხრეთ დანია	მშენებლობა და არქიტექტურა
ფარერის კუნძულები	ტექსტილი და დიზაინი
გრენლანდია	ენერგეტიკა; ნანოტექნოლოგია

წყარო: ევროპული კვლევების ობსერვატორია (დანია - 2023)

2003 წელს ინიცირებულ იქნა ისლანდიის კლასტერული განვითარების პროგრამა - „ზრდის შეთანხმება (Growth Agreement)“, რომლის განხორციელება ისლანდიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის, ისლანდიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ისლანდიის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროსა და ისლანდიის ინდუსტრიებისა და კომერციის სამინისტროს კომპეტენციაში შედის (Kristinsson, 2007; Korobaničová, 2015).


ისლანდია - Triple Helix მოდელი

ცხილი 3.

რეგიონები	ჭკვიანი-სპეციალიზაცია
ჩრდილო-დასავლეთი	მიკრო და ნანო ტექნოლოგიები
რეიკიავიკი	ICT და ხელოვნური ინტელექტი
ჩრდილო-აღმოსავლეთი	მწვანე ტრანსპორტი და ენერგეტიკა
აღმოსავლეთი	მშენებლობა და არქიტექტურა
სამხრეთ ნახევარკუნძული	კვების ტექნოლოგიები
დასავლეთი	ტექსტილი და დიზაინი
დასავლეთ ფიორდები	სატყეო საქმე
სამხრეთი	მედიცინა და ბიო-მეცნიერება

წყარო: ევროპული კვლევების ობსერვატორია (ისლანდია-2023)

მუნიციპალურ დონეზე ფინეთის აკადემიის ნანოტექნოლოგიების დეპარტამენტი ხელმძღვანელობს კლასტერების პროგრამას. 2007 წლიდან დაიწყო ნანოტექნოლოგიური ცენტრების განვითარების პროგრამა (NCDP).



ფინეთი - Quadruple Helix მოდელი

ცხიდი 4.

ქალაქები	ჭკვიანი-სპეციალიზაცია
ტურკუ	მედიცინა და ბიო-მეცნიერება
ჰელსინკი	ICT და ხელოვნური ინტელექტი
იუვასკილა	მწვანე ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, მშენებლობა და არქიტექტურა
სავონლინა	ტექსტილი და დიზაინი
როვანიემი	სატყეო საქმე

წყარო: ევხოპული კლასტერების ობსერვატორია (ფინეთი-2023)

ნორვეგიაში კლასტერების განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკას ეროვნულ დონეზე იწვევს ნორვეგიული სააგენტო (INNOVANOR), ნორვეგიის ინდუსტრიული განვითარების კორპორაცია (SIVA) და ნორვეგიის კვლევითი საბჭო (RCN) ხელმძღვანელობს. 2006 წელს დაიწყო ნორვეგიის კვლევითი ცენტრების (Norway Centers of Expertise (NCE)) პროგრამა. 2014 წელს ნორვეგიის კვლევითი ცენტრების პროგრამა გლობალური კვლევითი ცენტრების (Global Centers of Expertise (GCE)) პროგრამით ჩანაცვლდა.

ნორვეგია - Triple Helix მოდელი

ცხრილი 5.

Global Centers of Expertise	ქკვიანი-სპეციალიზაცია
GCE Aquaculture	თევზის მხეწველობა
GCE Tourism Fjord Norway	ეკო-ტუჩიზმი
GCE Instrumentation	ხელსაწყოები და მექანიზმები
GCE Subsea	წყაღქვეშა დაბოხაგოიიუდი კვლევები
GCE NODE	ნავთობიდა გაზი
GCE Raud Foss	ფიოხდების ეკო-სისტემა
GCE Culinary Technology	კუღინაიია, კვების ტექნოლოგიები
GCE Oslo Cancer	მეღიცინა და ბიო-მეცნიეხება
GCE Micro- and Nanotechnology	მიკო და ნანო ტექნოლოგიები
GCE Energy and Emission Trading	მწვანე ენეიხია
GCE Systems Engineering Kongsberg	მშენებლობა და კონსტრუქციები
GCE Maritime	ზღვაოსნობა და ნავიგაცია

წყაიხმ: ეეხოპუღი კლასტეეხების ობსეივატოიია (ნოიხვეგია-2023).

საქართველოში კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა არც ისე დიდი ხანია, რაც ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართველი მეცნიერებიდან კლასტერების შესახებ მნიშვნელოვანი პუბლიკაციები ეკუთვნით: ე. ბარათაშვილს, ნ. ბაკაშვილს, ი. გაგნიძეს, ბ. გერბაიას, დ. მესხიშვილს, ე. სეფაშვილს, ნ. ფარესაშვილს, გ. ლაღანიძეს და სხვ.

კლასტერების შესახებ პირველი კვლევა, ევროკავშირის დაფინანსებით, 2018 წელს ჩატარდა ბოლნისის რაიონში, სადაც შეისწავლეს მშენებლობის, კვების ტექნოლოგიების, მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში კლასტერების განვითარების პერსპექტივები. როგორც კვლევამ აჩვენა, აღნიშნული მიმართულებით ბოლნისის რაიონს დიდი პერსპექტივები აქვს (დარსავეღიძე, ძიღიკაშვილი, კიკაბიძე, დემურაშვილი, & ბეჟანიშვილი, 2018).

რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტებსა და საგანმანათლებლო სივრცეებს, აღნიშნული მიმართულებით საქართველოში პირველი წინგადადგმული ნაბიჯი 2014 წელს ეკონომიკის სამინისტროს ბაზაზე, სააგენტო - „ანარმოე საქართველოში“ შექმნა იყო, რომელიც დღემდე ძალიან აქტიურად ფუნქციონირებს. 2020 წელს სააგენტომ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის სპეციალური პლატფორმა შექმნა ინოვაციებისა და

ცოდნის გავრცელების მიზნით, რაც გაზრდის ბიზნესისთვის ინოვაციების ხელმისაწვდომობას (ანარმოე საქართველოში, 2023).

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოება ურთულესი პრობლემის წინაშე დგას, რესურსების უკონტროლო ათვისებასა და ეკოლოგიური გარემოს გაუარესების გამო, რაც საზოგადოების კეთილდღეობის დონის გაუარესებას იწვევს.

როგორც წესი, პრაქტიკაში საზოგადოებრივი კეთილდღეობის შენარჩუნების ან გაუმჯობესების საკითხი, ძალიან რთულ და ხშირად გადაუწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ინდუსტრიალიზაციის უმართავი პროცესი კი, კიდევ უფრო ართულებს და ამწვავებს არსებულ სიტუაციას.

კლასტერების განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია ერთდროულად გააუმჯობესოს საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობა და უზრუნველყოს ქვეყნების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება. კლასტერების განვითარება დაკავშირებულია კონვერგენციის ეფექტის გავრცელებასთან, რაც ლოკალიზაციის, ანუ თავმოყრის პროცესის თანმდევი მოვლენაა და გეოგრაფიული მანძილის შემცირებით ამცირებს დანახარჯებს.

თუმცა, ის, რაც სინამდვილეში კლასტერების განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკას უაღტერნატივოს და შეუცვლელს ხდის არის ცოდნისა და ინოვაციების გავრცელების შესაძლებლობები. კლასტერის Triple და Quadruple Helix მოდელის განვითარებით, მიმდინარეობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების პროცესი, რომელშიც ჩართულია სახელმწიფო ინსტიტუტები, ინდუსტრიები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და მთელი საზოგადოება.

ქვეყნები, სადაც ვითარდება კლასტერების - Triple და Quadruple Helix მოდელები, უპრეცედენტო კონკურენტუნარიანობით გამოირჩევიან. ასეთ ქვეყნებში არსებობს, უფასო ჯანდაცვა და განათლება, სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე და სახელმწიფო სერვისების ფართო ხელმისაწვდომობა. სწორედ ასეთი ქვეყნები წარმოადგენენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ნათელ მაგალითებს. დღესდღეობით, საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, რომელიც სასწავლო და სამეცნიერო სივრცეების, ინდუსტრიებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ინ-

ტეგრირებულ განვითარებას გულისხმობს, შესაძლებელია რესურსების ეფექტიანი ათვისება და კეთილდღეობის მაქსიმალური დონის მიღწევა.

ლიტერატურა:

- ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., ბაკაშვილი ნ. & ფარესაშვილი ნ. (2011). თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიები. თბილისი: უნივერსალი
- გაგნიძე ი. (2012). ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი: უნივერსალი.
- დარსაველიძე დ., ძიძიკაშვილი ნ., კიკაბიძე კ., დემურაშვილი გ., ბეჟანიშვილი კ. (2018). კვლევა. ბოლნისი, კახეთის ისტორიული მხარე. ევროკავშირი (EU) საქართველოსთვის.
- სეფაშვილი ე. (2014). კლასტერების როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ეკონომიკა და ბიზნესი (2), გვ.97-115
- ლალანიძე გ. (2014). კონკურენტული უპირატესობის სისტემური კვლევის საკითხები. თბილისი, საქართველო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- Altonen S. (2007). Country report: Finland. SE Entre, Turku School of Economics. Kristiansand: European Cluster Observatory.
- Belussi F., & Caldari K. (2008). At the Origin of the Industrial District: Alfred Marshall and the Cambridge School. Cambridge: Cambridge Journal of Economics.
- Booth A., Harris J., Croot E., Springett J., Campbell F., & Wilkins E. (2013). Towards a Methodology for Cluster Searching to Provide Conceptual and Contextual “Richnes” for Systematic Reviews of Complex Interventions:Case Study (Cluster). Sheffield: BMC Medical Research Methodology.
- Burger P. (2015). Cluster Policy in Sweden. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (Vol. I, pp. 199-216). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Chapain C., Cooke P., De Propriis L., MacNeill S., & Mateos-Garcia J. (2010). Creative clusters and innovation. NESTA.
- Delgado M., & Porter M. E. (2021). Clusters and the Great Recession. New-York: Harvard Business School.
- Delgado M., Porter M. E., & Stern S. (2012). Cluster Convergence and Economic Performance. Harvard Business School, Temple University, MIT Sloan NBER. Cambridge: Harvard Business School.
- Delgado M., Porter M. E., & Stern S. (2014). DEFINING CLUSTERS OF RELATED INDUSTRIES. NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH.
- Dervojeđa K., Nagtegaal F., Lengton M., & Datta P. (2013). Creative Industries. European Cluster Observatory.
- Klasová S. (2015). Cluster Policy in Norway. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 137-154). Craiova, Romania: ASERS Publishing.

- Korobaničová I. (2015). Cluster Policy in Denmark. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 53-73). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Korobaničová I. (2015). Cluster Policy in Iceland. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 113-135). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Kristinsson S. (2007). Country Report: Iceland. Kristiansand, Norway: European Cluster Observatory.
- Persson M., Sabanovic A., & Wester H. (2002). Is Cluster Theory in Need of Renewal - Porter's Diamond Revised. Department of Business Studies.
- Porter M. E. (1998). Clusters and the New Economics of Competition. Cambridge: Harvard Business School.
- Porter M. E. (2001). CLUSTERS of INNOVATION: Regional Foundation of U.S. Competitiveness. Washington: Council on Competitiveness.
- Sachs, J., Lafortune, G., Kroll, C., Fuller, G., & Woelm, F. (2022). Sustainable Development Report 2022. Cambridge: Cambridge University.
- Solvel, O. (2008). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.
- Solvel, O. (2009). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.
- Solvel, O., Lindqvist, G., & Ketels, K. (2003). Cluster Initiative Green Book. Stockholm: Ivory Publishers.

References:

- Baratashvili E., Gechbaia B., Meskhishvili D., Bakashvili N. & Faresashvili N. (2011). Tanamedrove Biznesis Strategiebi. [Modern Business Strategies. Tbilisi: Universali.] in Georgian.
- Gagnidze I. (2012). Qveknebis Konkurentunaruanoba da Klasterebi: Istoria da Tanamedroveoba [Competitiveness of Countries and Clusters: History and Modernity, Tbilisi Universali.] in Georgian.
- Darsavelidze D., Dzidzikashvili N., Kikabidze K., Demurashvili G., Bezhanishvili K. (2018). Kvleva. Bolnisi, Kakhetis istoriuli mkhare, evrokavshiri (EU) Saqartvelostvis. [Research. Bolnisi, Historical Part of Kakheti, European Union (EU) for Georgia.] in Georgian.
- Sefashvili E. (2014), klasterebis roli qveknis konkurentunarianobis amaghlebashi. [The Role of Clusters in Increasing the Country's Competitiveness. Economics and Business (2),pp.97-115.] in Georgian.
- Ghaghanidze G.(2014). konkurentuli upiratesobis sistemuri kvlevis sakitxebi. [Systematic Research Issues in Competitive Advantage. Tbilisi, Georgia: Tbilisi State University.] in Georgian.
- Altonen S. (2007). Country report: Finland. SE Entre, Turku School of Economics. Kristiansand: European Cluster Obsarvatory.

- Belussi F., & Caldari K. (2008). At the Origin of the Industrial District: Alfred Marshall and the Cambridge School. Cambridge: Cambridge Journal of Economics.
- Booth A., Harris J., Croot E., Springett J., Campbell F., & Wilkins E. (2013). Towards a Methodology for Cluster Searching to Provide Conceptual and Contextual “Richnes” for Systematic Reviews of Complex Interventions:Case Study (Cluster). Sheffield: BMC Medical Research Methodology.
- Burger P. (2015). Cluster Policy in Sweden. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (Vol. I, pp. 199-216). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Chapain C., Cooke P., De Propriis L., MacNeill S., & Mateos-Garcia J. (2010). Creative clusters and innovation. NESTA.
- Delgado M., & Porter M. E. (2021). Clusters and the Great Recession. New-York: Harvard Business School.
- Delgado M., Porter M. E., & Stern S. (2012). Cluster Convergence and Economic Performance. Harvard Business School, Temple University, MIT Sloan NBER. Cambridge: Harvard Business School.
- Delgado M., Porter M. E., & Stern S. (2014). DEFINING CLUSTERS OF RELATED INDUSTRIES. NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH.
- Derojeda K., Nagtegaal F., Lengton M., & Datta P. (2013). Creative Industries. European Cluster Observatory.
- Klasová S. (2015). Cluster Policy in Norway. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 137-154). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Korobaničová I. (2015). Cluster Policy in Denmark. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 53-73). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Korobaničová I. (2015). Cluster Policy in Iceland. In Cluster Promotion and Management: The Current Global Situation (pp. 113-135). Craiova, Romania: ASERS Publishing.
- Kristinsson S. (2007). Country Report: Iceland. Kristiansand, Norway: European Cluster Observatory.
- Persson M., Sabanovic A., & Wester H. (2002). Is Cluster Theory in Need of Renewal - Porter’s Diamond Revised. Department of Business Studies.
- Porter M. E. (1998). Clusters and the New Economics of Competition. Cambridge: Harvard Business School.
- Porter M. E. (2001). CLUSTERS of INNOVATION: Regional Foundation of U.S. Competitiveness. Washington: Council on Competitiveness.
- Sachs, J., Lafortune, G., Kroll, C., Fuller, G., & Woelm, F. (2022). Sustainable Development Report 2022. Cambridge: Cambridge University.
- Solvel O. (2008). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.
- Solvel O. (2009). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.
- Solvel O., Lindqvist, G., & Ketels, K. (2003). Cluster Initiative Green Book. Stockholm: IvoryPublishers.

Cluster Development Economic Policy in Nordic Countries

Tinatin Lomsadze

Doctoral student
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tinatin.lomsadze184@eab.tsu.edu.ge

The article presents the economic policy of cluster development in Northern European countries. After the collapse of the Soviet Union, the Baltic countries were able to successfully share the experiences of the mentioned countries. Based on the practical experience of the Baltic countries, the Northern European model can be transferred to the countries belonging to the post-Soviet space countries where the process of building state institutions and reforming the education system is still underway. Georgia is one of these countries.

After the industrialization process began, the uncontrolled exploitation of resources led to irreversible ecological processes in the environment, the most dangerous of which are the emission of **GHG** and the negative consequences of climate change caused by it.

On September 25, 2015, the United Nations, by adopting the concept of sustainable development, began an active struggle to resolve the issue of climate change and saving resources. In the Paris Agreement of 2016, the United Nations set a concrete plan for combating climate change, which is related to the green transformation of industries.

Green transformation of industries involves their modernization, introduction of innovative technologies and digitization, and this process is referred to as **Smart-Specialization** in official documents.

Smart-Specialization of industries is taking place as a result of the development of **Triple** and **Quadruple Helix** models of innovative clusters, which ensures integration and gathering of branches of economics, state institutions and scientific-research centers in the territory of individual local regions

Modern society faces the most difficult problem associated with the uncontrolled use of resources and the deterioration of the ecological environment, which leads to a deterioration in the well-being of society.

The question of maintaining or improving the common good in practice is usually a very difficult and often unresolved problem. The uncontrolled process of industrialization further complicates and exacerbates the existing situation.

Economic policy measures for cluster development can simultaneously improve the social, economic and environmental well-being of society and ensure the implementation of sustainable development goals by countries. The development of clusters is related to the spread of the convergence effect, which is a

side effect of the localization or collection process and reduces costs by reducing geographical distance.

However, what actually makes the economic policy of cluster development without alternative and indispensable are the possibilities for knowledge diffusion and innovation. With the development of the triple and quadruple helix cluster model, the process of knowledge-based economic development is underway, involving government institutions, industries, scientific research centers and, moreover, society.

In the countries where the Triple and Quadruple Helix cluster models are developing, they are characterized by unprecedented competitiveness. In such countries there is free healthcare and education, a high level of social security and wide availability of public services. Such countries are clear examples of the universal welfare state. Today the northern European countries belong to the universal welfare states.

So, in summary, we can say that through the economic policy of cluster development, which includes the integrated development of educational and scientific spaces, industries and state institutions, it is possible to effectively use resources and achieve the highest level of well-being.

Keywords: Cluster, Sustainable Development, Smart-Mpecialization, Innovation, Industry.

JEL Codes: O01, O31, O32.

მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგია
პოსტპანდემიურ პერიოდში

მაჩინა ცაბატაძე

ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tabatadze_marina@yahoo.com

ხედისუფლების მნიშვნელოვანი ფუნქცია განვითარების ხისკების პიკ-ვენცია, სწორი ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავება და გლობალური მოთხოვნებთან მისი ჰაიმონიზებაა. პანდემიუმა პიკისებმა სახელმწიფოს ეკონომიკური ახის, მისი მმართველობითი ფუნქციის განსაკუთრებული აქტუალიზება მოახდინა. ნაშრომში განხილულია ინტეგრაციული პიკისების ეფექტიანი მართვის სტრატეგიები და სახელმწიფო მართვის სისტემის მექანიზმები, გაანალიზებულია ხედისუფლების ეკონომიკური ფუნქციები ახსტაბილური განვითარების პიკობებში, ანტიკრიზისული პოლიტიკის გავდენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემასა და განვითარების სტაბილიზაციაზე.

სტატიაში მოცემულია კრიზისულ გახეობში სისტემების სწორი კოორდინირების და ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები. განხილულია კრიზისის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის მართვის თანამედროვე კონცეპტუალური მიდგომები, გაანალიზებულია ეკონომიკური ანტიკრიზისული ხეფომების გლობალური სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხები.

სტატიაში განხილულია პანდემიური კრიზისის ეფექტიანი მართვის მიზნით საქართველოში განხორციელებული ხეფომები, ხედისუფლების ანტიკრიზისული გეგმა და 2021-2022 წლების პოსტკრიზისული სტრატეგიები, მისი ძირითადი ინსტრუმენტები და ხეალური ეფექტები. ნაშრომში შეფასებულია ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ფორმები და მაკროეკონომიკური შედეგები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს პოსტპანდემიური სტრატეგია, ეკონომიკური სტაბილიზაცია, სახელმწიფოს ეკონომიკური პირობები, ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერა.

შესავალი

გლობალურმა სისტემებმა ქვეყნების მომავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახადა იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად პოზიციონირებენ ისინი მსოფლიო ეკონომიკაში და რამდენად ადვილად ადაპტირებენ ტრანსფორმაციულ გარემოსთან. მსოფლიოს დაბალანსებული განვითარების აუცილებლობა და პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური კრიზისების გამწვავება განსაკუთრებით ზრდის გლობალურ გარემოში ხელისუფლების ოპტიმალური ფუნქციონირების ამოცანას, რაც ეკონომიკის მართვის კომპლექსური სტანდარტების შემუშავებას, ქვეყნების დამოუკიდებელი ანტიკრიზისული პოლიტიკის ურთიერთკოორდინირებას და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების სწორ პროგნოზირებას მოითხოვს.

კრიზისის მართვა მეცნიერულად დასაბუთებული, ერთიანი, კომპლექსური პროცესია, რომელიც უშუალოდ კრიზისული პერიოდის რეფორმებთან ერთად, კრიზისის მწვავე ეტაპიდან გამოსვლის შემდეგ ეკონომიკის სწორად გაძღოლის პროცესს, მისი რაციონალური სტრატეგიის განსაზღვრას და პოსტკრიზისული პროცესების პროგნოზირებას მოიცავს.

თანამედროვე ანტიკრიზისული სტრატეგია მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ქვეყნების საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობის იდეიდან გამომდინარე, რთულდება კრიზისის მართვის ერთიანი უნიფიცირებული მოდელის შემუშავება, ძლიერდება არაეკონომიკური ხასიათის კრიზისწარმომქმნელი ფაქტორების როლი, პრობლემური ხდება კრიზისის შედეგების და, შესაბამისად, ანტიკრიზისული სტრატეგიის ეფექტის სწორი პროგნოზირება.

სწრაფადცვლადი გარემო ობიექტურად მოითხოვს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ზრდას და ეკონომიკურ პროცესებში მის აქტიურ ჩართულობას. გლობალიზაციის ერთ-ერთი მოთხოვნა თანამედროვე ეკონომიკაში ხელისუფლების მიერ დესტაბილიზაციის პრევენცია და კრიზისწარმომქმნელ ფაქტორებზე ზემოქმედებაა, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მზარდი ფინანსური რისკების მართვა და მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე მისი უარყოფითი გავლენის შესუსტება.

კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო რეგულირება, პირველ რიგში, კრიზისის მიზეზების გამოვლენას და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას მოითხოვს, რამაც ეკონომიკური ზრდის ოპტიმიზაციას და განვითარების ეფექტიანობას უნდა შეუწყოს ხელი. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქცია რეაბილიტაციის პროცესისათვის სამართლებ-

რივი და მარეგულირებელი ბაზის საფუძველზე, ოპტიმალური ეკონომიკური გარემოს შექმნა და მხარდაჭერა.

კრიზისის სახელმწიფო მართვის თანამედროვე სტანდარტები

მიმდინარე არასტაბილურ პირობებში სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის კანონზომიერებები და მასში სახელმწიფოს ჩარევის სტრატეგიები. გლობალურ გარემოში კრიზისებს, პირველ რიგში, ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, კაპიტალის მოძრაობის მეტისმეტი ლიბერალიზაცია, მაღალი საბანკო რისკი და გარე შოკების მიმართ საბანკო სისტემის მოწყვლადობის ზრდა განაპირობებს, ეკონომიკურ რყევებს დღეს არაეკონომიკური კრიზისწარმოქმნელი ფაქტორების ზრდაც იწვევს, რაც კრიზისის მართვის სტანდარტულ მექანიზმებს ასუსტებს და მნიშვნელოვნად აფერხებს სწორი პროგნოზების გაკეთებას. „ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა კრიზისის პროგნოზირების და მისი დაძლევის მართვადი პროცესია, რომელიც სისტემის მიზნებს და მისი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს უნდა შეესაბამებოდეს“. (ტაბატაძე, 2016, 480).

პოსტკრიზისული პერიოდის მთავარი კონცეფცია ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა გახდა, შესაბამისად, ანტიკრიზისული რეფორმების შეფასების კრიტერიუმში მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენა და მისი გრძელვადიანი პერიოდისათვის შენარჩუნებაა. პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა არამხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა უაღრესად მყიფე და გარე ფაქტორების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა, არამედ, მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც, რამდენადაც, პანდემიამ მათი ეკონომიკური აქტივობა საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია და მის მიმდინარეობაზე გახადა დამოკიდებული.

პანდემიური კრიზისით გამოწვეულმა რადიკალურმა ცვლილებებმა ეკონომიკის რეგულირების ახალი სტანდარტების განსაზღვრა და სახელმწიფოს ფუნქციის მნიშვნელოვანი ამაღლება, ანტიკრიზისული ღონისძიებების სახელმწიფოთაშორისი კოორდინაცია და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროცესში სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული როლი მოითხოვა. „სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოცი-

ალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე“ (ტაბატაძე, 2019, 70).

პოსტპანდემიური რეაბილიტაციის წარმატება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ეკონომიკის გახსნაზე და მოხმარების სტანდარტული მასშტაბების აღდგენაზე, გლობალური ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობასა და მსოფლიო ბაზრებზე კრიზისის რეციდივების ხანგრძლივობაზე. ამ პრობლემებმა განსაკუთრებული როლი მიანიჭა ეკონომიკის რეაბილიტაციის და განვითარების სტაბილიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერას, „ხელისუფლება-ბიზნესის“ თანამშრომლობის ახალი სტანდარტების დამკვიდრებას.

საქართველოს ანტიკრიზისული სტრატეგია საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა კრიზისის მართვის საუკეთესო პრაქტიკორმად აღიარეს. მეცნიერულად არგუმენტირებული, სამართლებრივად დასაბუთებული და ინსტიტუციურად სრულყოფილი ჩვენი გამოცდილება დადებითი პრეცედენტი გახდა სხვა ქვეყნებისთვის ეკონომიკური არასტაბილურობის პრევენციისა და რეაბილიტაციის სწორი სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

კრიზისული ქვეყნების ეკონომიკური მხარდაჭერის საერთაშორისო მექანიზმები

კრიზისის პერიოდის და, განსაკუთრებით, კრიზისის შემდგომმა მართვის პროცესებმა, მკაფიოდ გამოავლინა ეროვნული ხელისუფლებების მზარდი როლი და მისი დომინანტური ანტიკრიზისული ფუნქცია. მთავარი გზავნილი, რაც პანდემიური კრიზისის მართვით მიიღო მსოფლიომ, ეს არის ქვეყნების ანტიკრიზისული პროგრამების კოორდინაციის და მაქსიმალური ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობა. ეს იდეა სწორედ პანდემიამ გახადა პოპულარული, მან არსებითი გავლენა იქონია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თანამედროვე გლობალურ სტრატეგიაზე. საერთაშორისო პროგრამებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა განვითარებად ქვეყნებში პანდემიური კრიზისის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციასა და განვითარების სტაბილიზაციაში.

პანდემიური კრიზისისადმი სწრაფი და კოორდინირებული რეაგირების მიზნით, ევროკავშირმა „სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეკრულების ზოგადი სადაზღვევო მუხლი“ შეიმუშავა, ის ითვალისწინებდა წევრი-ქვეყნების ეკონომიკის მხარდაჭერას ფისკალური შეზღუდვების მნიშვნელოვნად შემსუბუქების ხარჯზე, რის ინდივიდუალ-

ლურად გატარების უფლებასაც ანიჭებდა ცალკეულ ხელისუფლებებს (ევროკომისია, 2020 a).

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა საქართველოსთვის განსაკუთრებით გაიზარდა პანდემიის პერიოდში. ეს აისახა გაეროს „განვითარების პროგრამაში - UNDP“. პროგრამის ადმინისტრატორმა, აჰიმ შტაინერმა აღნიშნა: “პარტნიორობთან ერთად, გაერო აქტიურად მუშაობს შემდეგ პრიორიტეტებზე: ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად, კრიზისის მართვის და რეაგირების გაძლიერება, კრიტიკული სოციალური და ეკონომიკური შედეგების დაძლევა“ (შტაინერი, 2020).

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის მართვის ერთიანი მექანიზმების შესაქმნელად შემუშავდა ევროკავშირის სახელმწიფოთა გრძელვადიანი პლატფორმები: «EU for Health» - «ევროკავშირი ჯანმრთელობისთვის», „კოვიდ-19, ევროკავშირის 10 ღონისძიება ეკონომიკის დასახმარებლად“, „მწვანე ეკონომიკა“, „ციფრული დღის წესრიგი“ და სხვ. ინტეგრირებული ანტიკრიზისული გეგმის საუკეთესო ნიმუში იყო „დროებითი სახელმწიფო დახმარების ჩარჩო“, რამაც ვითარების დასტაბილიზებაში არსებითი როლი ითამაშა როგორც წევრი ქვეყნების, ასევე, საქართველოს ეკონომიკაშიც (ევროკომისია (2020b)).

2021 წლის 11 თებერვალს ევროკომისიამ გამოაქვეყნა „სახელმწიფო დახმარების ახალი სახელმძღვანელო გეგმა“, რომელმაც ჩამოაყალიბა კრიზისისშემდგომი ეკონომიკის რეაბილიტაციის ახალი სტანდარტები და შესაბამისი რეკომენდაციები. ევროსაბჭოს ეკონომიკის კომისარმა პაოლო ჯენტილონიმ აღნიშნა, რომ „მომდევნო ორი წლის პერსპექტივა არის სტაბილური, მაგრამ სუსტი ეკონომიკური ზრდა, რაც პოზიტიური მოვლენაა სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნებისათვის. ასევე საკმაოდ იმედისმომცემია სავაჭრო დაძაბულობის შენელება და გარკვეულწილად, მისი განმუხტვა, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობა კვლავ ნარჩუნდება, რაც საწარმოო სექტორის პერსპექტივებს ამცირებს“ (Gentiloni, 2020). საერთაშორისო ანტიკრიზისული საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შემუშავდა 2021-2027 წწ. ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი სტრატეგიული დოკუმენტი „მრავალწლიანი ინდიკატური პროგრამა - MTP“, რომელიც ამ თანამშრომლობას უფრო ფართო მასშტაბებს და ახალ პარტნიორულ მიმართულებებს სძენს (ევროკომისია, 2020b).

განსაკუთრებით მაღალი იყო ევროპის ცენტრალური ბანკის წვლილი ქვეყნების ლიკვიდური სახსრებით უზრუნველყოფის საკითხში. ბანკებს რეკომენდაცია მიეცათ მეწარმეთათვის შეღავათიანი სესხების

გაცემასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ევროპარლამენტმა დაამტკიცა „ევროპული ბანკების მხარდაჭერის დროებითი მიზნობრივი გეგმა“, რაც ითვალისწინებდა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო ნაკადის პრიორიტეტულ უზრუნველყოფას. ცვლილებები შევიდა „კაპიტალური მოთხოვნების რეგულაციაში - CRR“. კომპანიებისათვის ლიკვიდურობის მწვავე დეფიციტის დასაფარავად და საგარეო ვაჭრობაში მათი ფინანსური რისკების შესამცირებლად, ევროკომისიამ 2021 წლიდან აამოქმედა „შეთანხმება სადაზღვევო სააგენტოებთან“, მათთვის საექსპორტო კრედიტის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა საინფორმაციო მედიის ციფრული მხარდაჭერის სახელმწიფო დახმარების 11 სახელმძღვანელო მოდელი, რაც ციფრულ მედიაზე გადასვლის მხარდასაჭერად მთლიანი დანახარჯებიდან 20%-ის გამოყოფას ითვალისწინებდა. 2020-2021 წწ. სამეწარმეო სექტორში ფორმირებული სტაბილიზაციის ტენდენციამ და ვაჭრობის ვარდნის შეჩერებამ, საშუალება მისცა ევროპას, შეენარჩუნებინა ეკონომიკური ზრდის ნელი, მაგრამ სტაბილური ტემპი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის სსფ-თან პარტნიორული ურთიერთობა. საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის 2021 წელს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების მიზნით დაიდო სამწლიანი შეთანხმება 289 მლნ აშშ დოლარის მოცულობის მხარდამჭერ პროგრამაზე - Stand-By Arrangement.

2021-2022 წწ. მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად გაფორმდა 17 სასესხო/საგრანტო შეთანხმება, რამაც 1.07 მლრდ ევრო შეადგინა, მათ შორის 195 მლნ ევრო გამოიყო საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამებისა და 871 მლნ ევრო საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. პოსტკრიზისული პერიოდის ღონისძიებების ფინანსურმა დახმარებამ 113.5 მლნ ევრო შეადგინა.

მსოფლიო ბანკის მიერ მულტიდონორული ნდობის ფონდიდან, საქართველოს სამთომომპოვებელი სექტორის მხარდაჭერისათვის, გამოიყო 400 ათასი აშშ დოლარის გრანტი, რაც მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის პოპულარიზაციის და ინვესტიციების მოზიდვის საკითხში საქართველოს დახმარებას.

2022 წლის 30 მარტს, საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (EBRD) შორის, საჯარო მმართველობაში არსებული ინსტიტუტებისა და სისტემების დაფინანსების მიზნით, გაფორმდა სასესხო შეთანხმება - „საქართველოს ადამიან-კაპიტალის

პროგრამა“, რომლის ფარგლებში საქართველოს გამოეყო 358.5 მლნ ევრო.

2020-2021 წწ. საქართველომ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტისაგან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები მიიღო: EBRD-თან დაიდო 670 მლნ ევროს მოცულობის სასესხო ხელშეკრულება „აჭარის მყარი ნარჩენების დამატებით დაფინანსებასთან დაკავშირებით“, გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან - KfW სასესხო შეთანხმება - „საქართველოში საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა“, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა-AFD და აზიის განვითარების ბანკთან-ADB, - „ფისკალური მდგრადობისა და სოციალური დაცვის პროგრამა, ევროპული სამშვიდობო ინსტრუმენტის ფარგლებში“-EPF 2021 წლის 2 დეკემბერს ევროსაბჭომ საქართველოსთვის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით, დაამტკიცა ფინანსური დახმარების პაკეტი 12,75 მლნ ევროს ოდენობით, აშშ-ის კონგრესმა საქართველოს 2022 წლისთვის გამოეყო 132 მლნ აშშ დოლარის დახმარება, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიზნით და სხვა.

მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უწყებების მხარდასაჭერად ხორციელდება Twinning-ის 12 პროექტი და TAIX-ის პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს პოსტპანდემიური რეაბილიტაციის სტრატეგიის წარმატებას.

ეკონომიკის პოსტპანდემიური რეაბილიტაციის ძირითადი ტენდენციები

პანდემიური კრიზისის მართვამ მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა. ქვეყნების პოსტპანდემიური რეაბილიტაციის ეროვნულ სტრატეგიებს ეკონომიკის გამოთანაბრების, მისი კონკურენტულობის ამაღლების, სოციალური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის, ხელისუფლებებს შორის ურთიერთგაგების და თანამშრომლობის, საერთაშორისო ლიკვიდობისადმი ქვეყნების ადეკვატური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპები დაედო საფუძვლად.

2021 წლის პოზიტიურმა ეკონომიკურმა პროცესებმა გლობალურ ანტიკრიზისულ სტრატეგიაში არსებითი ცვლილებები შეიტანა და საწყის ეტაპზე სრულიად არაპროგნოზირებადმა ტენდენციებმა კრიზისის კლასიკური ნიშნები შეიძინა, რაც იმით გამოიხატა, რომ განსაკუთრებით გამ-

წვავდა სავალო კრიზისი, გაიზარდა ბიუჯეტის დანახარჯები, დაფიქსირდა სტაგფლაციის პროცესი, სასაქონლო ბაზრებზე მოხდა სტრუქტურული ძვრები. ამ ცვლილებების შედეგად, 2021 წლიდან პროცესები მართვის თეორიაში საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების საფუძველზე წარმართა, რამაც კრიზისის რეგულირება მნიშვნელოვნად უფრო ეფექტიანი და მართვადი გახადა. ამასთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ვალდის დომბროვსკისმა აღნიშნა, რომ „რთული გარემოს მიუხედავად, ევროპის ეკონომიკა კვლავ კარგ მდგომარეობაშია: სამუშაო ადგილების შექმნა გრძელდება და ხელფასები იზრდება. ამასთან, სიფრთხილე გვმართებს იმ რისკებზე, რომლებიც თანდათან იკვეთება: მზარდი გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, სავაჭრო პრობლემებთან ერთად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სტრუქტურული რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და პროდუქტიულობის ამაღლებას“ (ევროკომისია, 2020a).

საქართველოს ეკონომიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ფისკალური სტაბილურობის მიღწევას და სახელმწიფო ვალის რეგულირებას მიენიჭა. კრიზისის მართვის სახელმწიფო პოლიტიკა ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლზე, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდაზე, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირებასა და მისი არამდგრადობის პრევენციაზე იყო დამყარებული. მსოფლიო ექსპერტების შეფასებით, საქართველოში კრიზისის მართვის ფისკალური სტრატეგია სწორად წარმართა, რამდენადაც, ხელისუფლებამ შეძლო მაკროეკონომიკური ნონასწორობისთვის საჭირო ძირითადი შიდა რესურსების შენარჩუნება, რამაც უკვე 2021 წელს ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენის უპრეცედენტო ტემპები განაპირობა. საქართველოს განვითარების სტრატეგიაში ეფექტური აღმოჩნდა სწორი დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის პოლიტიკა. კრიზისმა ობიექტურად გახადა აქტუალური ეკონომიკის რესტრუქტურირების, დარგების დივერსიფიკაციის და ეკონომიკური აქტივობის ახალი მიმართულებების შექმნის საკითხი, ევროკავშირმა ახალ დარგობრივ პრიორიტეტად უპირატესად, კლიმატ, ენერგოდამზოგავი და ე.წ. „ჭკვიანი დარგების“ („ციფრული ეკონომიკა“ „ცირკულარული ეკონომიკა“) განვითარება მიიჩნია. ამ დარგებისთვის მან 2021 წელს წევრი-ქვეყნებისთვის 1 ტრლნ ევრო გამოჰყო.

ეკონომიკის რეაბილიტაციის ეროვნული პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა კრიზისის მასშტაბების, ჯანდაცვის სფეროს მდგომარეობის, ეკონომიკური ვარდნის დიაპაზონის და მისი მართვის

მექანიზმების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებული იყო ეკონომიკის აღდგენის ვადებიც ქვეყნების მიხედვით. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავად ეკონომიკის სტრუქტურის სპეციფიკას, ტრანსსახელმწიფო ეფექტების მეორადი გავლენის მოცულობას, ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბებს და სხვ. ამ ფაქტორების გავლენით არსებითად განსხვავებული იყო განვითარების ტემპები ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი). სსფ-ის მიერ 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 5.5%-ით, 2022 წელს კი 4.2%-ით იყო განსაზღვრული, 2021 წელს მშპ-ის მკვეთრი ზრდა იყო დაგეგმილი ავსტრალიაში, ევროზონაში, ინდოეთში, იაპონიაში, კორეაში, ახალ ზელანდიაში, თურქეთსა და აშშ-ში. ეკონომიკის სტრუქტურაში ყველაზე მეტად იზრდებოდა მოხმარების კომპონენტი, შედარებით ნელი მასშტაბით კი, -ინვესტიციები (ჩინეთის გარდა).

მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის პარამეტრები

	ფაქტ.	პროგ/ ფაქტ	პროგნოზი
	2019	2020	2021 2022
რეალური მშპ-ის ნლიური ცვლილება	2.8	-4.4 -3.5	5.2 4.2
1. მონინავე ეკონომიკის ქვეყნები	1.7	-5.8 -4.9	4.3 3.1
აშშ	2.2	-4.3 -3.4	3.1 2.5
ევროკავშირი	1.3	-8.3 -7.2	4.2 3.6
იაპონია	0.7	-5.3 -5.1	3.1 2.4
გაერთიანებული სამეფო	1.5	-9.8 -10,0	4.5 5.0
კანადა	1.7	-7.1 -5.5	3.6 4.1
სხვა მონინავე ქვეყნები	1.7	-3.8 -2.5	3.6 3.1
2. განვითარებადი ეკონომიკები	3.7	-3.3 -2.4	6.3 5.0
განვითარებადი აზია	5.5	-1.7 -1.1	8.3 5.0
ჩინეთი	6.1	1.9 2.3	8.2 5.6
განვითარებადი ევროპა	2.1	-4.6 -2.8	4.0 3/9
რუსეთი	1.3	-4.1 -3.6	3.0 3.9
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვა	0.0	-8.1 -7.4	4.1 2.9
ბრაზილია	1.1	-5.8 -4.5	3.6 2.6
3. დაბალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნები	5.3	-1.2 3.5	4.9 5.5
საქართველო (ფაქტ)	5.2	-6.1 4.5	10.6 1 0.2

წყარო: საეკონომიკისო სავაღუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკა, 2020

განვითარებული ქვეყნებისთვის შედარებით დაბალი ზრდის ტემპი მათი ეკონომიკის მაქსიმალურმა დისბალანსმა განაპირობა, რის გა-

მოც სტაბილიზაციის აღდგენა ამ ქვეყნებში, სსფ-ის პროგნოზით, უფრო დაბალი ტემპით იქნებოდა შესაძლებელი. კრიზისიდან სწრაფი გამოსვლისათვის მან პრიორიტეტულად საერთაშორისო ლიკვიდობაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა მიიჩნია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ქმედითი იყო ევროპის ცენტრალური ბანკის წვლილი. ევროკავშირში კრიზისის დასარეგულირებლად დიდი მასშტაბით განხორციელდა თავისუფალი სახსრების აკუმულირება, მაგრამ არ შეცვლილა ფასიანი ქაღალდების შექმნის და სესხის გაცემის პანდემიამდე არსებული სტანდარტები, რამაც საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების ღირებულების ზრდა გამოიწვია და გარკვეულწილად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეაბილიტაციის შედარებით დაბალი ტემპები განაპირობა.

განვითარებულმა ქვეყნებმა ძირითადად შეძლეს შინამეურნეობებისადმი ეფექტური დახმარება, ფისკალური ინსტრუმენტებიდან წარმატებით იყო გამოყენებული სახელმწიფოს მიერ პირდაპირი გადასახადების დაფინანსების, ინვესტირების, შეღავათიანი სესხების, გრანტების, ტრანსფერების გაცემის და სხვა მექანიზმები. ამასთან, ცენტრალურმა ბანკებმა ეფექტურად გამოიყენეს ღია ბაზარზე ოპერაციების, კრედიტების დაფინანსების გაზრდის, საპროცენტო განაკვეთის შემცირების და მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები.

2021 წლიდან ეკონომიკური აქტივობის სწრაფი ზრდის ტენდენცია მნიშვნელოვნად შეასუსტა მსოფლიოს მასშტაბით პროგნოზირებულზე მაღალმა ინფლაციამ, განსაკუთრებით კი, ძლიერმა ინფლაციურმა შოკმა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. ამას თან დაერთო ჩინეთში უმკაცრესი „ლოქდაუნის“ განმეორებით დაწესება და, შედეგად - შეფერხებები ერთიანი მიწოდების ჯაჭვში. ეკონომიკური გარემო, განსაკუთრებით 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის დაწყებამ, გააუარესა და მთელ რიგ ქვეყანაზე სტაგფლაციური შოკის ეფექტი იქონია, შედეგად, თუკი 2022 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე უფრო მეტად გაიზარდა, მეორე კვარტალში, 2020 წლის შემდეგ პირველად, გლობალური რეალური მშპ შემცირდა.

პანდემიური კრიზისის პირობებში, სისტემური რისკების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა სექტორული ცვლილებების ოპტიმიზაციას და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას მიენიჭა, რაც ეკონომიკის სტაბილიზაციის საშუალოვადიანი მიზნების რეალიზაციაზე იყო ორიენტირებული. ანტიკრიზისული სახელისუფლებო სტრატეგიის ფარგლებში ეს პლატფორმა ითვალისწინებდა წარმოების პოტენციალის ზრდის იმპერატიულ ხელშეწყობას, საყოველთაო კეთილდღეობის

ზრდის, სოციალური კეთილდღეობის და ენერგოდამოუკიდებლობის საკითხებზე აქცენტირებას.

ეკონომიკის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები პოსტპანდემიურ პერიოდში

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურული ტრანსფორმაციის პრიორიტეტები ასახულია სამთავრობო დოკუმენტში - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2030“. ჩარჩო-დოკუმენტის თანახმად, 2021-2022 წწ. ეკონომიკის რეაბილიტაციის სტრატეგიულ პრიორიტეტებად განისაზღვრა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ექსპორტზე ორიენტირებული და რესურსდამზოგავი დარგების უპირატესი განვითარება, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ტურისტული და აგრარული სექტორების განვითარება, სოციალური გარემოს სრულყოფა.

პანდემიური კრიზისის დროს მთავრობის მხრიდან მეწარმეობის ხელშეწყობის პოლიტიკის გატარების შედეგად, 2021 წლიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, ეკონომიკურმა ზრდამ პროგნოზული 5.5 %-ის ნაცვლად 10.6%, 2022 წელს კი, 10.2 % შეადგინა. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტი 2022 წელს (6 672 აშშ დოლარი) 2021 წელთან შედარებით, 20.4%-ით, 2020 წელთან შედარებით კი, 47.0%-ით გაიზარდა, 2021 წელს სიღარიბის დონე 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ისტორიული მინიმუმი -17.5% შეადგინა. (www.geostat.ge).

პანდემიური შოკის დასრულების შემდეგ, 2021 წელს, საბანკო სექტორში რისკის პრემიის შემცირების და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილიზების შედეგად, ფინანსური სტრესის ინდექსი (FSI) 14 პუნქტით შემცირდა, მაგრამ ის კვლავ მაღალი იყო, რაც ვალის გაზრდილ ტვირთზე მიუთითებდა. 2021-2022 წწ. ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა 15 %-ით გაიზარდა, მაღალმა საკრედიტო აქტივობამ და მცირე საკრედიტო დანაკარგებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბანკების მოგება, გაუმჯობესდა სამომხმარებლო ხესხების დინამიკა. ეროვნული ბანკის პოლიტიკა დოლარიზაციის მაღალი დონით გამოწვეული სტრუქტურული რისკების შემცირებაზე წარმართა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022).

კრიზისის პერიოდში სახელმწიფოს ფისკალური აქტივობის საკანონმდებლო უზრუნველყოფისათვის შეიქმნა სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტი: „საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია“, „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“; „ეროვნული ანტიკო-

რეფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“; „საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა“. 2023 წელს მთავრობამ შეიმუშავა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის პროექტი - PFMRS, რომელმაც 8 მიმართულება მოიცვა: ბიუჯეტირება, მთავრობის ვალის მართვა, საგადასახადო და საბაჟო საკითხები, მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა, ფისკალური რისკები, სახელმწიფო შიდა ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა.

განსაკუთრებული შედეგები განაპირობა მენარმეობის ფისკალური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებმა, შიდამეურნეობების სატრანსფერო მხარდაჭერამ და მოსახლეობის სოციალურმა დახმარებებმა. კრიზისის პერიოდში ხელისუფლების მიერ დაფინანსდა სწავლისა და პროფესიული გადამზადების, მცირეშემოსავლიანი შინამეურნეობების სამედიცინო დახმარების, სოცდაზღვევის დაფინანსების, უმუშევრობის შემწეობის დამატებითი დანახარჯები, რამაც საბოლოო ანგარიშით, გარკვეულწილად შეასუსტა შრომის ბაზარზე კრიზისის ზემოქმედების უარყოფითი შედეგები. საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებული რეფორმის და მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოში უმაღლესი შეფასება მიიღო - 2006 წლის 42-ე ადგილიდან 2019 წელს მან მე-5 ადგილი, 2021 წელს კი, - პირველი ადგილი დაიკავა. ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაციის - IBP შეფასებით, საბიუჯეტო სისტემის გამჭვირვალობის და ღიაობის მაჩვენებლით, საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა, კრიზისამდელი მე-5 ადგილის ნაცვლად (International Budget Partnership, 2022).

გატარებულმა ღონისძიებებმა არსებითად გააუმჯობესა ფინანსური პარამეტრები, მაგრამ საქართველოს ეკონომიკისთვის კვლავ აქტუალური დარჩა დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი დამოკიდებულება საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე, კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე მსოფლიო ფინანსური და სასაქონლო ბაზრების განსაკუთრებული გავლენა.

ხელისუფლების მხრიდან მცირე მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით, 2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ ე.წ. სინგაპურის კონვენციის რატიფიცირება, 2021 წლის 2 აგვისტოს კი, მიღებული იქნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. მენარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას ახდენს „მენარმეობის გან-

ვითარების სააგენტო“, „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“, „მცირე და საშუალო საწარმოების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“, გატარდა მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმა, რაც უშუალოდ უკავშირდება „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“, „ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების“, „ღია და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმების“ და სხვა ნორმატიულ აქტის ძირითად მოთხოვნებს.

„ევროპული მცირე ბიზნესის აქტის“ ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ 13.06.2021 დაამტკიცა მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021 - 2025 წ.წ. სტრატეგია და 2021-2022 წ.წ. სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც საკრედიტო საგარანტიო პროგრამაში 2021-2022 წ.წ. დამატებით 284 სუბიექტისათვის გამოიყო 195.6 მლნ ლარის სესხი, აქედან სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ მიერ გარანტირებულია 144.5 მლნ ლარი. 2021-2022 წ.წ. ფინანსურად იყო მხარდაჭერილი საერთაშორისო ღონისძიებებზე 55 ბენეფიციარი კომპანიის მონაწილეობა, მ.შ. სსიპ-ის - „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური უზრუნველყოფით, ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს 10-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებაში/გამოფენაში: Pitti Immagine Bimbo 2021, Playtime, Fashion Weeks 2021 (Spring/Summer), Anuga 2021, VIV MEA 2021, Intersolar North America 2022, Playtime Paris 2022 (Winter show), INTERSOLAR North America 2022, GULFOOD 2022, Fashion Weeks 2022 (Fall/Winter 2022), APLF Dubai 2021, Birmingham Food&Drink Expo 2022 . ამასთან, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი იყო შემდეგი პროექტები:

- იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონების 431 ბენეფიციართან გაფორმდა სასესხო/სალიზინგო პროცენტის თანადაფინანსების 911.6 მლნ ლარის ჯამური მოცულობის 488 პროექტი;
- მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამით, 2021 წელს 689 ბენეფიციარს გამოეყო 14 303 493 ლარის გრანტი;
- ქვეყნის საექსპორტო პლატფორმაზე www.tradewithgeorgia.com დარეგისტრირდა 660 პირი;
- 2022 წლის აპრილში ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო „ტექნიკური დახმარების პროგრამა“.

ეკონომიკის სტრუქტურის ტრანსფორმაციული პოლიტიკა ახალ მოთხოვნებს უყენებს რეგულირების მექანიზმებს და ხელისუფლების მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის ეფექტიანი საინვესტიციო

გარემოს ფორმირებას, ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციას და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ხელშეწყობას. ხელისუფლების მარეგულირებელი ინსტრუმენტები მკაფიოდ ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგიული დარგების პრიორიტეტული განვითარების და მსოფლიო ბაზრებზე ეფექტური პოზიციონირების უზრუნველყოფაზე.

პოსტანდემური ეკონომიკის სტრუქტურული პრიორიტეტები საქართველოში

საქართველოსთვის უდიდეს გამოწვევად რჩება უცხოური კაპიტალის პრობლემა - მისი მოზიდვის გაუმჯობესების და ინვესტირების საკითხი. არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს და საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციას - OPIC შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ერთობლივი პროგრამა საქართველოში ამერიკული ინვესტიციების წახალისებისა და პოლიტიკური რისკების მართვის საკითხებზე.

უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს ბიზნესგარემოსა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა საინვესტიციო გზამკვლევები, საინვესტიციო პროექტების კატალოგი, ექვსი სექტორული ბროშურა და განახლებული გზამკვლევი დიპლომატებისთვის, გამოქვეყნდა 20-მდე საერთაშორისო სტატია და ანგარიში საქართველოს შესახებ, მათ შორის, FDI Intelligence-ის მიერ მომზადებული Special Report, რომელიც საქართველოს საინვესტიციო პოტენციალზე მომზადებული დოკუმენტია და დაეგზავნა fDi Magazine-ის 15 500 და fDi Intelligence-ის ვებგვერდის 36 000 გამომწერს, რომელთა 80% მულტინაციონალური კომპანიების მაღალი დონის მენეჯერები არიან (USAID, EPRC (2021)).

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოში მიღწეული ეკონომიკური ზრდის უნიკალურად მაღალი ტემპები მნიშვნელოვანწილად ხელისუფლების აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე საქართველოს წარმატებული პოზიციონირების შედეგია. 2021-2022 წწ. ჩვენს ქვეყანაში არაერთი საინვესტიციო პროექტი განხორციელდა:

- „ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს ინიციატივით და USAID-ის მხარდაჭერით, წამყვანმა საკონსულტაციო კომპანიამ - OCO Global შექმნა 780 სამიზნე კომპანიის სია, რომლებთანაც საქართველოს გაცნობის მიზნით გაიმართა 27 შეხვედრა;

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, განხორციელდა „ანარმოე საქართველოში“ შერჩეული პროგრამებისა და აქტივობის გავლენის შეფასების საპილოტე პროექტი;

- საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის გაძლიერების მიზნით, გრძელდება ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

- მნიშვნელოვანი ინვესტიციები იდება ქვეყნის სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარებაში. PACE Group-ის მიერ დასრულდა ფოთის ნავსადგურში ახალი მრავალფუნქციური საზღვაო ტერმინალის მშენებლობის პირველი ფაზა, რომლის საინვესტიციო მოცულობა 93 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აქედან 50 მლნ აშშ დოლარი ფინანსდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) მიერ;

- პრიორიტეტად რჩება ანაკლიის ღრმანყოფილება ნავსადგურის მშენებლობა. 2021 წლის 13 მაისს, სსიპ - ანაკლიის ღრმანყოფილება ნავსადგურის განვითარების სააგენტოსა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიას - MTBS-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, კომპანიამ კვლევები განაახლა ამ მიმართულებით;

- მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში. დღეისათვის დასრულებულია 6 გვირაბის მშენებლობა (სიგრძე 8300 მ), შესრულდა ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის სამშენებლო სამუშაოების 90%;

- დასრულდა ქუთაისის აეროპორტის რკინიგზის სადგურის რეაბილიტაცია;

- მსოფლიო ბანკმა 2021 წელს დაიწყო სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზიის დერეფნის გაციფრულების პროექტის - „Creating a Framework for the Digitalization of Logistics Corridor between South Caucasus and Central Asia“ განხორციელება;

- მიმდინარეობს მუშაობა გარდაბანში თანამედროვე ორი ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე;

- ექსპლუატაციაში შევიდა 6 ჰიდროელექტროსადგური 39,1 მგვტ ჯამური სიმძლავრით;

- გაფორმდა 207 მემორანდუმი 160 მცირე და საშუალო სიმძლავრის, 4 დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების თაობაზე, ასევე 12 ქარისა და 31 მზის ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით (ჯამური გამომუშავება -15,59 მლრდ კვტ/სთ);

- 2022 წელს დასრულდა „ჯვარი-ხორგას“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, გაგრძელდა „ახალციხე-ბათუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და „კოლხიდა-1“-ის რეაბილიტაცია.

მსოფლიო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, 2022 წელს საქართველოს სტაბილური ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც წარმატებული ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის, პრიორიტეტული დარგების სწრაფი აღდგენის და უცხოელი კრედიტორების დაინტერესების ზრდის შედეგია. სარეიტინგო კომპანის Greenfield FDI Performance Index-ის რეიტინგებში 2023 წ. ივნისის მომაცემებით, საქართველო 76 ქვეყანას შორის ინვესტიციების მშპ-თან შეფარდებით, საუკეთესო ხუთეულში მოხვდა, „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში კი, 190 ქვეყანაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ევროპაში მე-15, მსოფლიოში კი, 25-ე ადგილზეა რაც, უდავოდ, დიდი მიღწევაა და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროგრამის წარმატებას უსვავს ხაზს.

უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებული როლი მნიშვნელოვნად ზრდის ანტიკრიზისული საინვესტიციო სტრატეგიის ეფექტიან გატარებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. საქართველოს ხელისუფლება ინვესტორებს სთავაზობს გარკვეულ პრეფერენციებს, მათ შორის - სანარმოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო შენობების მიყიდვას შეღავათიანი ფასებით, ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და მისასვლელი გზების მშენებლობას, უცხოური კომპანიებისთვის მუშახელის სათანადო მომზადებაში დახმარებას. ამ მიდგომებმა პუი-ის მოცულობის მასშტაბური ზრდა განაპირობა, რამაც 2022 წელს 2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა და დიდად შეუწყო ხელი ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტო მასშტაბებს ქვეყანაში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან საექსპორტო პოტენციალს აგრარული სექტორი წარმოადგენს რომლის გამართულ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც, ზოგადად, სასურსათო ბაზრებზე ქვეყნის ეფექტური პოზიციონირების, ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილდღეობის ამაღლების პერსპექტივები.

პოსტპანდემიურ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია შედარებით სტაბილურად და დადგენილი პროგნოზის მიხედვით წარიმართა, 2022 წელს 15.2 მლრდ. ლარის აგროსასურსათო პროდუქცია იქნა წარმოებული და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 112 %-ით გაიზარდა. 2022 წელს საქართველოდან მსოფლიოს 96 ქვეყანაში

ექსპორტირებული იყო რეკორდული, - 1.3 მლრდ. აშშ დოლარის აგროპროდუქტი, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 10.3 %-ით აღემატება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია-განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დარგის მიმართ სახელმწიფო დახმარების პოლიტიკამ, რაც ძირითადად, „იაფი კრედიტის“ და „ანარმოე საქართველოში“ 1000-მდე პროექტშია ასახული.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მთის პრობლემებს, რასაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს. 2021 წელს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“, დაფინანსდა 754 ინფრასტრუქტურული პროექტი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ - 16 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს 4200 პროექტი, 2022 წელს კი, - 4000 პროექტი დაფინანსდა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მთიან რეგიონებში ეკონომიკის აღორძინებას.

ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი საერთაშორისო ტურიზმისა და ვაჭრობის განვითარებისათვის, ყველაზე სწრაფადრეაბილიტირებადი დარგი საქართველოსთვის, სწორედ, ტურიზმია. 2022 წელს საქართველოს 5.5 მლნ საერთაშორისო მოგზაური ენვია, ტურიზმის სექტორიდან მიღებულმა შემოსავალმა კი, რეკორდული თანხა- 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღება და ბუნებრივი გარემოს წონასწორობა განიხილება. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გააქტიურების შედეგად გაზრდილი რისკ-ფაქტორების შესამცირებლად, აუცილებელია გარემოს დაცვის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და ამ პასუხისმგებლობათა სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ტურიზმის განვითარება და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და მის ეფექტურ მართვაზე. საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა კვლავ რჩება ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტად, ამ სექტორში საქართველოს აქვს უპირობო წარმატებები და კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები, რაც მრავალი საერთაშორისო პროექტის განხორციელებას უკავშირდება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების

რეგულირების სრულყოფის საკითხი, მათი ფუნქციების ოპტიმალური დელეგირების, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა გაფართოების და სწორი ინსტიტუციონალიზმის მიმართულებით. სახელისუფლებო დონეებს შორის უფლებათა გადანაწილებაში ამოსავალი საკითხია ქონებრივ ურთიერთობათა დარეგულირება და საკუთრებით ვალდებულებათა გამიჯვნა, ამ პროცესების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მართვა.

საქართველოს ხელისუფლება რეგიონებთან ურთიერთობის და მმართველობის ვერტიკალური იერარქიზაციის საკითხს ორგანიზაცია „ღია მმართველობა პარტნიორობაში“ (Open Government Partnership – OGP) სამოქმედო პრინციპებისა და დებულებების საუძველზე წარმართავს, რომლის მმართველი კომიტეტის წევრიც თავად არის. OGP ემსახურება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ღია მმართველობის პროცესის ეფექტიან კოორდინაციას, სამოქალაქო საზოგადოებასთან მთავრობის თანამშრომლობის გაძლიერებას და ღია მმართველობის სფეროში ინოვაციური რეფორმების ინიცირებას.

რეგიონების განვითარებაში უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით გრძელდება სახელმწიფო პროგრამა - „განახლებული რეგიონები“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მათ შორის, ურბანული განახლების დოკუმენტების შემუშავებას. (პირველ ეტაპზე პროგრამის საორიენტაციო ღირებულება 500 მლნ ლარით არის განსაზღვრული).

პანდემიური კრიზისის ეფექტურმა მართვამ ხელისუფლებას პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ეტაპზე სწრაფად გადასვლის საშუალება მისცა, რაც აისახა საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაღალ პარამეტრებსა და პროგნოზებში. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2023 წლის პირველ ნახევარში 7.6%-ს მიაღწია. 2024-2025 წლებში დაგეგმილია რეალური ეკონომიკის საშუალოდ 5.2%-იანი, ხოლო 2026 წელს 5.0%-იანი მატება. ეს პერსპექტივა საფუძვლად დაედო მდიდარ ქვეყანათა ჯგუფში საქართველოს გადასვლის შესახებ სსფ-ის მიერ გაკეთებულ პროგნოზს, რამდენადაც სსფ-ის შეფასებით, 2030 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მოცულობა 15200 აშშ დოლარამდე გაიზრდება, 2020 წლის 4.2 ათასი და 2022 წლის 6.7 ათასი აშშ დოლარის ნაცვლად.

ზრდის მაღალმა ტემპმა საქართველოს მთავრობის ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირება განაპირობა, მისი პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური გარანტიებია, აქცენტი კეთდება სოცი-

ალურად დაუცველთა რაოდენობის და სიღარიბის დონის შემცირებაზე. 2023 წლის მაისში ფულადი სოციალური დახმარება 668 555 ადამიანმა (176 494 ოჯახმა) მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11 964 ადამიანით მეტია, დახმარების თანხამ კი 57 839 579 ლარი შეადგინა. (საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო).

საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრადობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მეზობელ რეგიონში ჩვენი ქვეყნის წამყვან სავაჭრო პარტნიორებს შორის პოლიტიკური დაძაბულობა, გაურკვეველობა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოსალოდნელ შედეგებში, ასევე, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ეკონომიკური შედეგების ნაკლებპროგნოზირებადობა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონში ინვესტორთა განწყობაზე და საგრძნობლად გაზარდეს ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, ამან კი, მაღალი დოლარიზაციის გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების საფრთხე გაზარდოს, რაც არსებით გავლენას იქონიებს ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხზეც.

დასკვნა

პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაცია სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას დაემყარა, რაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ხელისუფლების მმართველობით ფუნქციებს და მნიშვნელოვნად ზრდის სამეურნეო პროცესში მის ჩართულობას. კრიზისის შემდგომ ეკონომიკის რეაბილიტაცია პირველ რიგში, ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავებას და ინვესტორებთან აქტიურ თანამშროლობას, ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციას და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის არსი საექსპორტო წარმოების პრიორიტეტული მხარდაჭერა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაა, ამ მიზნით კრიზისის შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კერძო სექტორის განვითარებასა და ქვეყნის პოტენციალის ზრდაზე ორიენტირებული მენარმეობის მხარდაჭერის პოლიტიკა განსაზღვრა.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება ბაზრების ხელმისაწვდომობას და მათზე სტაბილურ პოზიციონირებას ემყარება. ამ საკითხში ხელისუფლების საექსპორტო პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს როგორც საკუთარი რესურსების მაქსიმალური რეალიზაციის, ასევე

გლობალურ და რეგიონულ ინტერესებთან ინდივიდუალური მოთხოვნების ჰარმონიზების პრინციპიდან. აუცილებელია კონკურენტულ სისტემებში მრავალმხრივი თანამშრომლობის და ეკონომიკური პარტნიორობის მხარდაჭერა, თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვა და საკუთარი წარმოების პრიორიტეტული ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკური წარმატებები მნიშვნელოვანი ფაქტორია უსაფრთხო და მსოფლიოსათვის მიმზიდველ ქვეყნად საქართველოს ფორმირებისათვის. ხელისუფლების თანმიმდევრული პოსტპანდემიური პოლიტიკა სწორი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების და რეფორმების ეფექტიანი ადმინისტრირების საუკეთესო პრეცედენტად იქნა აღიარებული მსოფლიოში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და გაზარდა ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., ქარაია ვ. (2020). კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. <https://gfsis.org.ge/files/library/opinionpapers/136expert-opiniongeo.pdf>
- პაპავა ირ. (2019). დეცენტრალიზაციის ქართული პარადოქსი: ცენტრალიზაცია დეცენტრალიზაციის სახელით. <https://droa.ge/?p=41594>.
- ტაბატაძე მ. (2016), სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, თსუ, საერთ. სამეცნ. კონფერენციის მასალები. თბ., გვ.480-483
- ტაბატაძე მ. (2019). სახელმწიფო ანტიკრიზისული რეგულირება, სახელმძღვანელო, სტუ გამომცემლობა, თბილისი,
- ტაბატაძე მ. (2020). სივრცითი ეკონომიკის პრიორიტეტები და დეცენტრალიზაციის ფისკალური მექანიზმები, (ინგლისურ ენაზე), საერთაშორისო ეკონომიკური კვლევის ჟურნალი 6(1), გვ.13-22, ISSN 2500-9737 <https://irissymposium.wixsite.com/jier>
- ტაბატაძე მ. (2021). დეცენტრალიზაციის ეკონომიკური სტრატეგია და ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები, (ინგლისურ ენაზე), კონფერ. მასალები. გვ.366-370. <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/546/The%20economic%20strategy%20of%20decentralization%20and%20the%20features%20of%20fiscal%20policy.pdf?sequence=1&isAllowed=y>
- შტაინერი ა. (2020). ევროკომისია/პრესკონფერენცია/დეტალი/ UNDP, MEDIA GHECKER, (ინგლისურ ენაზე), https://ec.europa.eu/en/ip_20_1872
- ჯენტლიონი პ. (2020). ევროჯგუფის შეხვედრის პრესკონფერენცია, 2020 წლის 20 იანვარი,ევროსაბჭო,(ინგლისურენაზე), <https://newsroom.consilium>

- europa.eu/events /20200120 -eurogroup-meeting-january-2020
- ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა IBP (2022). ქვეყნის შედეგები. <https://internationalbudget.org/open-budget-survey/country-results>
 - ევროკომისია (2020a). 2021-2027 გაერთიანებული ერების სამომავლო ბიუჯეტი და გაერთიანებული ერების მომავალი თაობა. https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
 - ევროკომისია (2020b). სახელმწიფო დახმარების დროებითი ჩარჩო. https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framework.pdf
 - ევროპარლამენტი, სიახლეები (2020). კოვიდ-19, ევროკავშირის 10 ღონისძიება ეკონომიკის დასახმარებლად. <https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625STO82007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery>
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2023). საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53810>
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2021). დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025. <https://mrdi.gov.ge/uploads/publications/5e467a975a3be.pdf>.
 - საქართველოს ეროვნული ბანკი (2022). ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, <https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports>
 - საქართველოს მთავრობა (2023). დადგენილება „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>
 - USAID, EPRC (2021), ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
 - მსოფლიო ბანკი (2021). დეცენტრალიზაცია. <https://www.worldbank.org/en/topic/communitydrivendevelopment/brief/Decentralization>.
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2020a). მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2020 b). მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკა, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2021). „მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა - განსხვავებული პოსტ კრიზისული აღდგენის მართვა“. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021>
 - საფრანგეთის ბანკი (2020). კოვიდის შედეგების კვლევა, <https://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2020/10/07/enquete-impact-covid-2020-09-29.pdf>

References:

- Papava V., Charaia V. (2020). koronavirusis krizisi da sakartvelos ekonomikis zogi-erti gamotsveva. [Coronomic Crises and some Challenges of Georgian Economy.] in Georgian <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>
- Papava I. (2019). detsentralizatsiis kartuli paradoksi: tsentralizatsia detsentralizatsiis sakhelit. [Georgian Paradox of Decentralisation: Centralisation Instead of Decentralisation.] in Georgian <https://droa.ge/?p=41594>.
- Tabatadze M. (2016). sakhelmtsipos politikuri strategia ekonomikuri arastabilurobis pirobebshi [State's Political Strategy During an Economic Unbalance. TSU International Scientific Conference, Tbilisi, p. 480-483.] in Georgian
- Tabatadze M. (2019). sakhelmtsipo antikrizisuli regulireba. [State Anti-Crisis Regulation, Handbook, TSU publishing, Tbilisi.] in Georgian
- Tabatadze M. (2020). sivrtsiti ekonomikis prioritetebi da detsentralizatsiis piskaluri mekanizmebi. [Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation, Journal of International Economic Research, vol. 6(1), p. 13-22, ISSN 2500-9737.] in Georgian <https://irissymposium.wixsite.com/jier>
- Tabatadze M. (2021). detsentralizatsiis ekonomikuri strategia da piskaluri politikis taviseburebebi [The Economic Strategy of Decentralization and the Features of Fiscal Policy, Conference Proceeding, pp.366-370.] in Georgian <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/546/The%20economic%20strategy%20of%20decentralization%20and%20the%20features%20of%20fiscal%20policy.pdf?sequence=1&isAllowed=y>
- Gentilioni P. (2020). Eurogroup Meeting Press Conference, January 20, 2020, European Council. <https://newsroom.consilium.europa.eu/events/20200120-eurogroup-meeting-january-2020>
- Banque de France (2020). Enquête sur l'impact du Covid. <https://www.banque-france.fr/sites/default/files/media /2020/10/07 /enquete-impact-covid-2020-09-29.pdf>
- CIEC (2021a). Private Consumption Expenditure, <https://www.ceicdata.com/en/indicator /private-consumption-expenditure>
- CIEC (2021b). Investment: % of GDP. <https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp>
- Europarliament News (2020). Covid-19: 10 things the EU is Doing for Economic Recovery. <https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625S-T082007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery>
- European Commission (2020a). 2021-2027 Long-Term EU Budget & Next Generation EU. https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
- European Commission (2020b). The State Aid Temporary Framework. https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framework.pdf

- International Budget Partnership IBP (2022). Country Results. <https://international-budget.org/open-budget-survey/country-results>
- International Monetary Fund (2020a). World Economic Growth Forecast, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
- International Monetary Fund (2020 b). World Economic Policy <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
- International Monetary Fund (2021). Managing Divergent Recoveries, World Economic Outlook update, April, 2021 <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021>
- Legislative Herald of Georgia (2019). Ordinance of the Government of Georgia of 31.12.2019 on the Approval of the 2020-2025 Decentralisation Strategy and the 2020-2021 Action Plan for the Implementation of the Decentralisation Strategy. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/476>
- Legislative Herald of Georgia (2023). Law of Georgia on State debt. <https://matsne.gov.ge/en/document/view/32452?publication=13>
- Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (2023). 2022-year Report of 2021-2023 Action Plan of 2021-2027 Development Strategy of Agriculture and Rural Georgia. <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53810>
- National Bank of Georgia (2022). Financial Stability Report. <https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports>
- USAID EPRC (2021). Strategic Vision of Economic Development 2022-2025. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
- <https://www.worldbank.org/>
- <https://www.agro.rda.goc.ge>
- <https://www.enterprise.gov.ge>
- <https://parliament.ge>
- <https://mof.ge/5177>
- <http://sa.gov.ge>
- www.geostat.ge
- https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
- <https://www.ceicdata.com/en/indicator/private-consumption-expenditure>
- <https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp>
- https://idf.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index_2022
- <https://gccigee/>

Strategy of State Support of the Economy in the Post-Pandemic Period

Marina Tabatadze

Assistant Professor
Ivane Javakishvili Tbilisi State University
tabatadze_marina@yahoo.com

One of the main economic functions of a state is to prevent developmental risks and to define correct national anti-crisis policies in harmony with global requirements. The last pandemic processes particularly highlighted the importance of state's economic function and of its governing role. This article discusses some strategies for effectively managing integration processes and the economic mechanisms of a state which interfere with the state governance system. To do so, the article analyses the state's economic function during a non-stable development and the impact of anti-crisis policy on socio-economic system and on the stabilisation of development processes.

Among others, the article presents the key topics underlining the state function in crisis management: stabilisation strategies of modern world economic processes, correct coordination of the state system in a crisis environment and optimal repartition of functions among states, modern concepts of political and economic systems of economic governance after a crisis period, adéquation of national anti-crisis reforms with global standards.

A significant transformation of state functions takes place in a crisis environment, as the crisis shakes the principles of the gradualist concept of the post-industrial society and causes deformations of existing macroeconomic balance (Tabatadze & Tsanova, 2009). The recent global economic fluctuations and a clearly expressed cyclical nature of development, required significant changes in the neoclassical principles and activated Keynesian approaches to the economic essence of the state (Durcova, 2021).

The article analyses the case of Georgia. It examines the outcomes of Georgia's reforms which aimed at effective management of pandemic crisis. To do so, the article studies the state anti-crisis plan and post-crisis strategies in 2021-2022, their main instruments and actual outcomes. It evaluates the main steps and mechanisms of post-crisis rehabilitation state strategy, the main macroeconomic results of state economic support and the future perspectives of Georgia's economic development.

Georgia showed one of the best results of global crisis management in the world. This experience has become a precedent for other countries. Two billion GEL was allocated from the state budget to the anti-crisis program, which went in two priority directions: Financing of state social projects (granting of allowances, financing of social protection projects of the population, increase of teachers' salaries, indexation of pensions) and promotion of business (430 million GEL). The increase in state expenditures increased the budget deficit during the pandemic crisis from 2% to 9%, and by 2024 it is planned to restore this parameter to the pre-crisis level.

A key success factor can be identified as the government's attempt to maintain a balance between managing the pandemic and minimizing the economic damage. At the beginning of the crisis, the pandemic caused a sharp decrease in the economy of Georgia and further aggravated the existing problems: exchange rate of GEL, inflation, investment, unemployment, and public debt. The largest decrease was recorded in the hotel and restaurants sector - 80%, followed by a 20% decrease in the transport and warehousing sectors. Entertainment and leisure sector services decreased by 15%.

The regulatory function of the state has significantly increased in the process of risk prevention and development of a complex anti-crisis strategy. As the environmental, social and governance components of a sustainable economy have a significant impact on systemic risks, their regulation required an active involvement of the state and the use of relevant tools. State programs of entrepreneurial support, transfers to domestic farms and social assistance for persons with limited liquid funds showed significant results. Thanks to this new policy Georgia managed to provide a large-scale fiscal support to households in the second phase of the crisis, by expanding the purchase of assets, increasing credit financing, and reducing the interest rate.

In the strategy of state support of the economy, a special place was given to the rational spending of state funds and the issue of regulating the state debt. The new policy is derived from the basic requirements of the « EU Fiscal Rule » and aims at four outcomes: control the budget deficit, increase the efficiency of spending of funds, reduce the cyclicity of fiscal policy and prevent its unsustainability. Georgia also changed its priorities in terms of economic policy. The transit and tourism function were defined as the main priorities of the Georgian economy, with the aim to create prerequisites for a stable positioning in the world markets. In 2021, the growth of the Georgian economy amounted up to 10.6%, which was the best result in the region and the second-best result in Eu-

rope. IFM predicted to Georgia the highest economic growth in the region and in Europe (34.5%) for a medium-term period (2021-2025). In 2022, compared to the previous year, the volume of PUI doubled and reached an unprecedented level for Georgia - 1 billion 675 million USD which created additional resources for economic growth (Geostat, 2020).

One of the biggest challenges for Georgia during the pandemic and post-pandemic period, was the management of the state debt. Even though the state debt exceeded the safety limit (2020-60.3%, 2021-60.1%), the scale of economic rehabilitation made it possible to return it to the normative framework already in 2022. To ensure macroeconomic balance, it's important to make a complex study of its indicators. In addition, it is necessary to correctly assess the optimal portfolio of public debt and determine the effect of public debt for the medium and long term.

As a result of this above listed state support to prevent the negative effects of the economic crisis, Georgia managed to guarantee that not a single large enterprise stopped operating in the country. At the same time, international reserves increased by 11.5% and local exports by 3.5%, 1,056 million; the trade deficit improved in US dollars and amounted to 4.7 billion USD. In 2021 the international credit rating company Fitch kept Georgia in the BB category of the economic stability according to the ease of doing business and the attractiveness of the business environment, maintaining the investment environment, and ensuring resilience to external shocks.

Keywords: State anti-crisis strategy, stability of economic policy, development strategy, state economic support.

JEL Codes: E60, E61, O11, O12

ჯანდაცვის დანახარჯები საქართველოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები

თენგიზ ვეჟღავა

პროფესორი
კავკასიის უნივერსიტეტი
tverulava@cu.edu.ge

ჯანდაცვის დანახარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა. ჩაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო მეტი თანხები იხარჯება ჯანდაცვაზე და შესაბამისად დამაკმაყოფილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობაც (მაგ., სოცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა). ამავ დროს, ჯანდაცვაზე მაღალი ხარჯები ახ წაჩ-მოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების უმთავრეს საშუალებას. ჯანდაცვაზე დანახარჯები უმთავრესად დაკავშირებულია სამედიცინო პერსონალის დიდ ხაოფენობასთან და ახადი, ძვირადღირებული სამედიცინო ტექნოლოგიების დანეჩვასთან.

ქვეყანაში ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვანი ინდიკატორია ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში სახედმწიფო დანახარჯების წილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახედმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, სახედმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში აჩსებული პირობების გადასაჭრეად. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯანდაცვაზე სახედმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში შეადგენდა 40.8%-ს მცირედით აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვარისწინებულ ზღვას. გასათვარისწინებელია, რომ საქართველოში ჯანდაცვაზე სახედმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში 2000-2019 წლებში 11.4%-დან 40.8%-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით საქართველო შეესაბამება საშუალოზე დაბალშემოსარვიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (41%) და მნიშვნელოვნად ჩამოჩება საშუალოზე მაღალშემოსარვიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (54%).

საკვანძო სიგყვები: ჯანდაცვის ხარჯები, ჯანდაცვის სახედმწიფო ხარჯები, ჯანდაცვის კეჩდო ხარჯები.

შესავალი

„უკეთესი ჯანმრთელობის“ არსი ძალიან ფართოა და მოიცავს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატებას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, კონკრეტული დაავადებისაგან სიკვდილიანობის და ავადობის შემცირებას, ტკივილის შემსუბუქებას, ქრონიკულ ავადმყოფთა დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარის გაუმჯობესებას. ამდენად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ჯანდაცვაში მეტი ინვესტიციები რამდენად აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებს.

ჯანდაცვის დანახარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა, ვიდრე სამედიცინო მომსახურების საჭიროება, შესაბამისად, მაღალშემოსავლიან ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა ჯანდაცვაზე დახარჯონ მეტი თანხები. მაგალითად, კანადას, რომლის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 52,078 დოლარს (2021წ.) შეადგენს, შეუძლია ჯანდაცვაზე უფრო მეტი დახარჯოს, ვიდრე საქართველოს, რომლის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 5015 დოლარია.

ცხადია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო მეტი თანხები იხარჯება ჯანდაცვაზე, შესაბამისად, მით უფრო მაღალია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა (მაგ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა). ამავე დროს, ჯანდაცვაზე მაღალი ხარჯები არ წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების უმთავრეს საშუალებას (ვერუღავა, 2023). აშშ უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ჯანდაცვაზე ყველაზე უფრო მეტი თანხები იხარჯება, მაგრამ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით არცთუ ისე მაღალია. ასე, მაგალითად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იაპონიაში 84.8 წელია, დიდ ბრიტანეთში 82.2 წელი, ხოლო აშშ-ში - 78.2, მაშინ, როდესაც აშშ მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის ორჯერ მეტს ხარჯავს ჯანდაცვაზე (\$11945), ვიდრე იაპონია (\$4691) და დიდი ბრიტანეთი (\$5268). აშშ-ს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი (78.2 წელი), თითქმის ისეთივეა როგორც ურუგვაის (78 წელი) ან კუბას (78.2 წელი). ბევრ ღარიბ ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მკვეთრად გაიზარდა, მიუხედავად მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ისა და ჯანდაცვაზე დანახარჯების დაბალი დონისა.

ჯანდაცვაზე დიდი ნახარჯები უმთავრესად დაკავშირებულია სამედიცინო პერსონალის დიდ რაოდენობასთან და ახალი, ძვირადღირებული სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვასთან, ვიდრე სამედიცინო მომ-

სახურებაზე მოსახლეობის საქროებასთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 35 წლით გაიზარდა, რაც მკვლევართა აზრით, ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად, უფრო მეტად დაკავშირებული იყო ჯანდაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დაბალ, ან საშუალო-შემოსავლიან ქვეყნებში, სადაც შედარებით ნაკლებად იყენებენ უახლეს სამედიცინო ტექნოლოგიებს, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მაღალია (მალიაზია – 76.3 წელი, შრი ლანკა – 76.6 წელი, ალჟირი – 77 წელი), რაც მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა მხოლოდ სამედიცინო მომსახურების უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაზე არ არის დამოკიდებული.

ჯანდაცვის დანახაჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობაზე. ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვაზე მაღალი დანახაჯებია, ხელმისაწვდომია სამედიცინო დახმარება, დაბალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა. ინფექციური დაავადებებით მოკვდაობა და ავადობის ტვირთი მაღალია დაბალი შემოსავლების ქვეყნებში და დაბალი - მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რადგან უმეტესი დაავადება, რომელიც ასოცირდება სიღარიბესთან, არის ინფექციური - შიდსი, მალარია, ტუბერკულოზი, დიარეა და ა.შ. ეს დაავადებები დაკავშირებულია დაბალ შემოსავლებთან, სუფთა წყლისა და სანიტარიის ნაკლებობასთან, საკვების არასრულფასოვან მოხმარებასთან, სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობის თითქმის არარსებობასთან.

ქვეყანა რაც უფრო მეტს ხარჯავს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მით უფრო მაღალია აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობა (ვერულავა & ჯორბენაძე, 2020). მაღალშემოსავლიან ქვეყნებში (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია, ავსტრალია) სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა 95%-ს შეადგენს. ცენტრალური აზიის, კავკასიის რეგიონის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის დონე 50-80%-ია. სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებში, სადაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წელს ოდნავ აღემატება, მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, ინფექციური დაავადებებით ავადობა, 50%-ზე დაბალია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

გარკვეული დამოკიდებულება არსებობს ჯანდაცვაზე დანახაჯებსა და ავადობის ტვირთს შორის - ქვეყნებში, სადაც დაბალია ჯანდაცვაზე დანახაჯები, მაღალია ავადობის ტვირთი, მდიდარ ქვეყნებში, სადაც

ჯანდაცვაზე დანახარჯები შეადგენს გლობალური დანახარჯების 87%-ს, მოდის გლობალური ავადობის ტვირთის შედარებით დაბალი წილი. შედარებისათვის - ღარიბ ქვეყნებზე მოდის ავადობის გლობალური ტვირთის 90% და ჯანდაცვაზე გლობალური დანახარჯების 13%. ამერიკის რეგიონზე, რომელიც შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის 8%-ს, ავადობის გლობალურ ტვირთზე მოდის 10% და იხარჯება მსოფლიოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების 42%. აფრიკის რეგიონზე მოდის მოსახლეობის 14%, ავადობის გლობალური ტვირთის 24% და იხარჯება ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების 1% (საერთაშორისო დახმარების ჩათვლით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების შეფასება შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების ხვედრითი წილი მ შ კ-ში, ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები მოსახლეობის ერთ სულზე; ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი სახელმწიფოს მთლიან დანახარჯებში; ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში; კერძო ხარჯები ჯანდაცვაზე.

მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე მშპ-ის მიხედვით

მშპ-ში ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების წილი არის ქვეყნის მთლიან შემოსავლებში ჯანდაცვაზე დახარჯული წილის საზომი, რომელიც შედგება სახელმწიფო, კერძო და დონორი წყაროებისგან. ის საზოგადოების კეთილდღეობის საუკეთესო სტანდარტული საზომია და გამოიყენება საერთაშორისო შედარებისათვის. მშპ-ში ჯანდაცვაზე დაბალი ხარჯი გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვისათვის არ არის მობილიზებული საკმარისი რესურსები, შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხი დაბალია.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2022 წელს მსოფლიოს მ შ კ შეადგენდა 85.18 ტრლნ დოლარს, რომლიდანაც ჯანდაცვაზე 8.3 ტრლნ დოლარი დაიხარჯა, რაც მშპ-ის 9.8%-ია (WHO, 2020). მსოფლიოში ჯანდაცვაზე გლობალური დანახარჯების განაწილება არათანაბარია. მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებზე მოდის ჯანდაცვაზე მთლიანი ხარჯების დაახლოებით 80%, საშუალო შემოსავლის ქვეყნებზე - 17%, დაბალი საშუალო შემოსავლის ქვეყნებზე - 2.8% და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებზე - 0.24% (WHO, 2021).

ჯანდაცვის ხარჯები ქვეყნის ეკონომიკის ზომის შესაბამისია და ვარირებს შემოსავლების მიხედვით. აშშ-ში 2020 წელს დაიხარჯა 4.1 ტრლნ


დოლარი, რაც გლობალური ჯანდაცვის დანახარჯების 42%-ია. ამასთან, აშ-ში ჯანდაცვაზე ხარჯები ქვეყნის მ შ პ-ის 19.7%-ს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შედარებისათვის - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს ქვეყნის მ შ პ-ის საშუალოდ 12.5%-ს. ჯანდაცვის ხარჯები მშპ-ის მიხედვით მერყეობს საშუალოდ 4.9%-დან - საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, 8.2%-მდე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

2021 წელს საქართველოში მ შ პ შეადგენდა 18.7 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო მ შ პ მოსახლეობის ერთ სულზე - \$5015 დოლარს. 2017 წელს ჯანდაცვაზე სულ დაიხარჯა 2877.6 მლნ ლარი, რაც 2010 წელთან შედარებით, 800 მლნ ლარით მეტია. საქართველოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები ბოლო ათწლეულში ზომიერი ტემპით იზრდება, ხოლო ბოლო წლებში ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად იმატა.

საქართველოში მშპ-თან მიმართებით, მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე 1995-2019 წლებში 5.3%-დან 6.7%-მდე გაიზარდა, რაც შეესაბამება საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (6.5%). ეს ნიშნავს, რომ საკუთარი ეკონომიკიდან საქართველო ჯანდაცვაზე ხარჯავს თითქმის იმდენივეს, რამდენსაც საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნები. მშპ-დან ჯანდაცვისთვის განკუთვნილი თანხების ასეთი მაღალი წილი შესაძლოა განპირობებული იყოს ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: ახალი ტექნოლოგიებისა და სამკურნალწამლო საშუალებების მაღალი ფასები და შესაბამისად, მაღალი სამედიცინო ინფლაცია, ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის მატების ხარჯზე ქრონიკული დაავადებების პრევალენტობის სწრაფი ზრდა და სხვა.


**ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები საქართველოში
 (2001-2017წ. მლნ ლარი).**

ღიაგხამა 1.



საქართველოში ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯების წილი მშპ-დან, (1995-2019წწ. %%).


დიაგრამა 2.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

სხვადასხვა ქვეყანაში ჯანდაცვაზე მთლიანი ხარჯების წილი მშპ-ის მიმართ, (2019 წ. %%)

დიაგრამა 3.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022


ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები მოსახლეობის ერთ სულზე

მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე გათვლით გვიჩვენებს თუ რომელ ქვეყანაშია ჯანდაცვის დანახარჯები ადეკვატური, რომ მიღწეულ იქნეს შესაბამისი ხელმისაწვდომობა და ხარისხი. დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯანმრთელობის ბიუჯეტი საკმარისი არ არის ჯანმრთელობის პრობლემების დასაძლევად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „მაკროეკონომიკისა და ჯანმრთელობის კომისიის“ (Commission on Macroeconomics and Health) გათვლებით, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში მინიმალური აუცილებელი სამედიცინო მომსახურების განხორციელებისათვის საჭიროა ჯანდაცვაზე დანახარჯები შეადგენდეს არანაკლებ \$30-40-ს მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში; ქვეყანაში, სადაც ჯანდაცვაზე დანახარჯები აღნიშნულზე ნაკლებია, შესაბამისად დაბალია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და ხარისხი (WHO, 2001). ეს მინიმალური და აუცილებელი თანხა უმეტესწილად ჯანდაცვის წინასწარი გადახდის სქემებით (ჯანმრთელობის სოციალური და კერძო დაზღვევა) უნდა დაიფაროს და ნაკლებად – ჯიბიდან პირდაპირი გადახდით.

ჯანდაცვაზე გლობალური საშუალო ხარჯი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 1105 აშშ დოლარს (2019 წელს), თუმცა, შემოსავლის ჯგუფების მიხედვით დიდი განსხვავებაა. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ჯანდაცვაზე აღნიშნული საშუალო დანახარჯები შეადგენდა მხოლოდ 39 აშშ დოლარს, ხოლო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში - 3,191 აშშ დოლარს, რაც 80-ჯერ მეტია და დაახლოებით 4-ჯერ აღემატება დაბალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (693 აშშ დოლარი 2019 წელს). საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში აღნიშნული ხარჯები შეადგენდა 119 აშშ დოლარს, საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში კი - 472 აშშ დოლარს.

მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე (\$). საქართველო. 2000-2019 წწ.


დიაგრამა 4



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

სხვადასხვა ქვეყანაში ჯანდაცვაზე მთლიანი ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე (2019 წ. აშშ დოლარი)

დიაგრამა 5.




წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

საქართველოში მთლიანი დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე 2000-2019 წლებში 51-291დოლარამდე მერყეობდა. ამ მაჩვენებლით საქართველო აღემატება საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, მაგრამ ჩამორჩება საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, 2030 წლისთვის ჯანდაცვის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებმა წელიწადში დამატებით 41 აშშ დოლარით უნდა გაზარდონ ერთ სულზე ჯანდაცვის ხარჯები (Stenberg et al., 2017). ეს გულისხმობს ჯანმრთელობის მიმდინარე ხარჯების გაორმაგებას დაბალშემოსავლიან ქვეყნებში და 34%-ით ზრდას საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე

სახელმწიფოს უმთავრესი ფასეულობა ადამიანის ჯანმრთელობაა. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულებები. სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვისათვის გამოყოფილი სახსრების მოცულობა და ხარჯვა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ ნებასა და ბიუჯეტის შესაძლებლობებზე, ასევე, ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა – საზოგადოებაში არსებული ღირებულებები და ფასეულობები, პრიორიტეტები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე. რაც უფრო დიდია მშპ, მით მეტია სახელმწიფოს წილი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში. გარკვეული გამონაკლისია აშშ და შვეიცარია, სადაც კერძო დაფინანსების სისტემა ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ ქვეყნებში მოსახლეობის პირადი შენატანების უმთავრესი ნაწილი კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიებში იყრის თავს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის შემოსავლები დიდია, ჯანდაცვის სისტემა საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპზე ვითარდება და ჯანდაცვის ხარჯების უმეტეს ნაწილს სახელმწიფო იხდის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით ან სოციალური დაზღვევის სისტემების საშუალებით (ჯორბენაძე & ვერულავა, 2021). განვითარებად ქვეყნებში (აზიის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები) უფრო მეტად ჯანდაცვის კერძო დაფინანსების სისტემა გავრცელებული. ჯანდაცვის დანახარჯების ნახევარზე მეტი პაციენტის პირდაპირი გადახდით, ან კერძო სადაზღვევო კომპანიების საშუალებით ხორციელდება. რაც ბევრს ხარჯავს სახელმწიფო ჯანმრთელობაზე, მით უფრო ნაკლების გადახდა მოუწევს პაციენტს საკუთარი ჯიბიდან, მით უფრო ფინანსურად დაცულია იგი.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები (მლნ ლარი) საქართველოში, 1995-2021წ.
 დიაგრამა 6.



ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები მთლიან სახელმწიფო ხარჯებში გვიჩვენებს სახელმწიფოსათვის რამდენად პრიორიტეტულია საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ის ჯანდაცვაზე დანახარჯებს სხვა სექტორების დანახარჯებთან შედარებით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15 %-ს მაინც (Organisation of African Unity, 2001). ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა, ასე თუ ისე, ასახულია ცხრილში 1.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ტენდენციები საქართველოში
ცხრილი 1.

	ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები (მლნ ლარი)	მშპ-ის %	ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში %	ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში %
1995	31	0.84		4.9
1996	33.8	0.89		11.6
1997	61.622	1.36		16.4
1998	66.529	1.2		17.9
1999	65.1595	1.1		16.2
2000	61.720	0.8	4.9	11.4
2001	75	1.1	6.8	15.8
2002	88	1.1	7	14.3
2003	109	1.1	7.1	14.6
2004	130	1.2	6.3	14.9
2005	194	1.2	5.6	15.6
2006	253	1.2	5.2	14.7
2007	255	1.1	4	18.2
2008	343	1.5	4.8	23.1
2009	337.9	2.1	5.9	21.4
2010	414.8	1.9	6.2	21.3
2011	421.7	1.4	5	17.5
2012	450.3	1.6	5.5	19.4
2013	547.9	1.9	6.9	23.6
2014	693.2	1.2	7.8	27.6
2015	914	2.6	9.6	35.6
2016	1063.7	2.9	10.3	36.6
2017	1092.2	2.6	9.5	37.2
2018		2.8	10.3	39.5
2019		2.7	9.4	40.8


ცხრილი შედგენილია ავტოჩის მიერ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებში მაღალშემოსავლიან ქვეყნებში შეადგენს 14%-ს, საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში - 12%-ს, საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში - 7%-ს, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში - 5.4%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვის სექტორის პრიორიტეტულობა, ეროვნული შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება. მდიდარ ქვეყნებს აქვთ მეტი შესაძლებლობები და სახელმწიფო ცდილობს უფრო მეტი დახარჯოს ჯანმრთელობაზე. თუმცა, თითოეული შემოსავლის ჯგუფში გაერთიანებულ ქვეყნებს შორის დიდი ვარიაციებია ჯანმრთელობის დანახარჯებში. ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა, მიუხედავად ეროვნული შემოსავლების შედარებით დაბალი დონისა, ცდილობს ჯანდაცვის სექტორში გამოყოს შედარებით მაღალი ხარჯები, ხოლო ზოგიერთ შედარებით მდიდარ ქვეყანაში, პირიქით, მთავრობები ცდილობენ ჯანდაცვაზე გამოყონ მცირე თანხები. ამრიგად, ჯანდაცვის ხარჯების პრიორიტეტულობა დიდწილად თითოეული ქვეყნის არჩევანია. ზოგი ქვეყნის მთავრობა ჯანდაცვას არ მიიჩნევს პრიორიტეტად და მას განიხილავს როგორც ეკონომიკურად არაეფექტიან სფეროს. ამის საპირისპიროდ, ზოგი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია, ჰყავდეს ჯანმრთელი მოსახლეობა. საქართველოში სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯების წილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებში, თითქმის არ შეცვლილა 2000 წლიდან 2012 წლამდე - 4.3%-5%. 2012 წლიდან სტაბილურად იზრდებოდა და 2019 წელს 9.4% შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო აღემატება საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყნებს (7%) და ჩამორჩება საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებს

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილის დინამიკა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში (% 1955-2019 წწ).

ღიაგხამა 7.



ცხილი შედგენილია ავტოხის მიეხ სხვადასხვა წყაიხოზე დაყიხნობით

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანაში ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვანი ინდიკატორია **მთლიან დანახარჯებში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი**. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.


ჯანდაცვის გლობალური ხარჯების დაფინანსების უმთავრესი წყაროა სახელმწიფო (60% - \$5.1 ტრლნ), შემდეგ მოდის კერძო ხარჯები (40% - \$3.4 ტრლნ) (WHO, 2021). მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ყველაზე დიდი წილი უკავია სახელმწიფო ტრანსფერებს (48%) და ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის შენატანებს (22%), ხოლო ჯიბიდან პირდაპირი ხარჯების წილი ყველაზე დაბალია (21%).

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში შეადგენდა 40.8%-ს. შესაბამისად, საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების წილი მცირედით აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს.

საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში, 2000-2019 წლებში, 11.4%-დან 40.8%-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით საქართველო შეესაბამება საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (41%) და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს (54%). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებული ზღვარი გადალახეს ყაზახეთმა (59.9%), ყირგიზეთმა (51.4%), უკრაინამ (44.8%).

**ჯანდაცვის სახელმწიფო ნახარჯების წილი ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში
 (%).2019 წ.**

ღიჯჩამა 8.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

**ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე საქართველოში
 მთლიან დანახარჯებში. (%%) 1995-2019 წწ.**


ღიჯჩამა 9.



ცხიდი შედგენილია ავტოჩის მიეხ სხვადასხვა წყაროებზე დაყეხნობით

**ჯანდაცვაზე საქართველოს სახელმწიფო დანახარჯების წილი
მშპ-ში (%) 1994-2019 წწ.**


დიაგრამა 10



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

**ჯანდაცვაზე სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დანახარჯების წილი
მშპ-ში (%) 2019 წ.**

დიაგრამა 11.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

ქვეყანაში ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვანი ინდიკატორია **ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები მშპ-თან მიმართებით**, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, უნდა იყოს 5% მაინც. საქართველოში, ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, მისი წილი მშპ-თან მიმართებით დაბალია - 2.7%. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კი 2%-მდეა. ამ მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ყირგიზეთს (2.3%), ყაზახეთს (1.7%), სომხეთს (1.4%), აზერბაიჯანს (1.3%). საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-თან მიმართებით, 2000-2019 წწ., 0.8%-დან 2.7%-მდე გაიზარდა.

კერძო ხარჯები ჯანდაცვაზე

ჯანდაცვის ხარჯებში გარკვეული წილი უკავია კერძო დანახარჯებს, რომელიც მოიცავს კერძო დაზღვევას და ჯიბიდან პირდაპირ გადახდებს (იხ. ცხრილი 2).

კერძო დანახარჯები ჯანდაცვაზე


ცხრილი 2.

	ჯანდაცვაზე კერძო ხარჯები (მლნ ლარი)	ჯანდაცვაზე კერძო ანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში %	მშ. კერძო დაზღვევა, მლნ ლარი	კერძო დაზღვევის წილი კერძო ხარჯებში %	კერძო დაზღვევის წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში %	ჯანდაცვაზე პირდაპირი ჯიბიდან გადახდები მლნ ლარი	ჯანდაცვაზე პირდაპირი ჯიბიდან გადახდები ს წილი მთლიან ხარჯებში %	ჯანდაცვაზე კერძო ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე, ლარი
2001	448	81.4	5.2	1	1.0	442.8	85.7	
2002	483.6	77.3	2.6	1	0.4	481.0	74.3	111
2003	562.5	77.8	2.8	1	0.4	559.7	77.6	130
2004	655.3	79.9	6.7	1	0.8	648.6	78.4	152
2005	775.2	80.5	7.5	1	0.8	767.7	77.7	178
2006	846.3	80.8	9.8	1	0.8	836.5	73.0	192
2007	1003.4	78.7	20.8	3	1.5	982.6	72.4	229
2008	1144.1	78.6	24.5	5	1.5	1119.6	68.9	261
2009	1294.8	71.7	47.5	4	2.6	1247.3	71.2	294
2010	1551.7	73.1	55.7	3	2.7	1496.0	74.0	348
2011	1806.8	75.1	65.7	3.6	2.9	1741.1	78.8	403
2012	1689.7	79.1	80.9	4.8	3.7	1608.8	73.4	376
2013	1655.5	77.1	98.5	5.9	4.4	1557.0	69.1	369
2014	1720.4	73.4	97	5.6	3.9	1623.4	66	462
2015	1558.9	69.9	115.1	7.4	4.6	1443.8	57.3	419
2016	1750.5	61.9	159.5	9.1	5.6	1591.0	55.6	470
2017	1737.8	61.1	162.3	9.3	5.6	1575.5	54.8	466

ცხრილი შედგენილია ავტოჩის მიერ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით

საქართველოში ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში (%) 2001-2020 წწ.


ღიაჩამა 12.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

სხვადასხვა ქვეყანაში ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში (%), 2019 წ.

ღიაჩამა 13.




წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

ჯანდაცვის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა **ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა**, რომელიც სხვადასხვა როლს ასრულებს ქვეყნებში, მათი ჯანმრთელობის დაფინანსების სტრუქტურიდან გამომდინარე. უმეტეს ქვეყნებში, სახელმწიფო, ან სოციალური ჯანმრთელობის დაზღვევის სქემებით ხდება საზოგადოებრივი სარგებლის პაკეტის დაფინანსება. ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა შეადგენს აშშ-ში ჯანმრთელობის დანახარჯების მესამედს, შვეიცარიაში - თითქმის ნახევარს და დაახლოებით 60%-ს ნიდერლანდებში. თუმცა, ბევრ ქვეყანაში ის შეადგენს ჯანდაცვის დანახარჯების 5%-ზე ნაკლებს.

საქართველოში **კერძო სამედიცინო დაზღვევის წილი** მცირეა ჯანდაცვის სისტემაში. 2017 წელს, ის შეადგენდა 5.6%-ს, ხოლო ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯებში - 9.3%-ს. ჯანდაცვაზე კერძო დაზღვევის წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში 2000-2019 წლებში, 1%-დან 5.6%-მდე გაიზარდა.


ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის წილი ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯებში საქართველოში (%), 2001-2017 წწ.

დიაგრამა 14.



ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში საქართველოში (%), 2001-2017 წწ.

დიაგრამა 15.



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

კერძო სამედიცინო დაზღვევით მოცული პირები, 2020წ.

ცხილი 3.

კატეგორიები	ადამიანების რაოდენობა	კერძო სამედიცინო დაზღვევის მქონე პირების წილი (%)
სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კერძო დაზღვევის მქონე პირები (მაგ., სამხედრო მოსამსახურეები)	151 476	35
ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევის მქონე პირები (ჯგუფური ან ინდივიდუალური), რომლებზეც არ ვრცელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეღავათები	240 827	55
ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევის მქონე პირები, რომლებზეც ასევე ვრცელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეღავათები	45 999	10
სულ	438 302	100

საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევას უზრუნველყოფს კერძო სადაზღვევო კომპანიები და მოიცავს მოსახლეობის 9%-ს (438 302 ადამიანი 2020 წელს), უმეტესობა ნებაყოფლობითია და ვრცელდება თანამშრომლებსა და მათ ოჯახებზე, ასევე სავალდებულოა ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფისათვის (სამხედრო მოსამსახურეები). ზოგიერთი კერძო სადაზღვევო პოლისი მოიცავს სერვისებს, რაც არ შედის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, როგორცაა სტომატოლოგიური მომსახურება და ზოგიერთი ამბულატორიული მედიკამენტი. 2017 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან გამოირიცხა მაღალშემოსავლიანი პირები, თუმცა, ამან მნიშვნელოვნად არ გაზარდა მოთხოვნა კერძო დაზღვევაზე.

ჯიბიდან გადახდები


ჯიბიდან გადახდა მოიცავს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გადახდებს, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებაზე დაწესებულ გადახდებს (თანაგადახდას, დაწესებული ლიმიტის ზემოთ დანახარჯებს), ასევე პროვაიდერების მიერ გაწეული მომსახურებისთვის პირდაპირ გადახდებს, რასაც სახელმწიფო არ ფარავს.

დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში ჯანდაცვაზე დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ჯიბიდან პირდაპირი გადახდები. მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ღარიბდება სამედიცინო მომსახურებაზე კატასტროფული დანახარჯების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილი, დაახლოებით 54.8%-ს, მოსახლეობის მიერ გაღებული ჯიბიდან პირდაპირი დანახარჯები შეადგენს. შედეგად, საქართველოში ბევრი ოჯახი იძულებულია უარი თქვას საჭირო სამედიცინო მომსახურებაზე, რადგან მათ არ შეუძლიათ ამ მომსახურების საფასურის ანაზღაურება (ვერულავა, 2020).

საქართველოში ჯანდაცვაზე ჯიბიდან პირდაპირი ხარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში %, 2001-2017 წწ.

ღიაგეგმა 17



წყარო: World Health Organization Global Health Expenditure database. 2022

დასკვნა

ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში ჯანდაცვაზე სახელმწიფო და კერძო დაზღვევით გაწეული ხარჯების წილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში 2000-2019 წლებში, 11.4%-იდან 40.8%-ამდე გაიზარდა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევის წილი ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში შეადგენდა 5.6%-ს. შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფო და კერძო დაზღვევით გაწეული ხარჯების წილი შეადგენს 46,4%-ს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილი, ის მხოლოდ მცირედ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ზღვარს, შესაბამისად, სამედიცინო სერვისებზე მნიშვნელოვანი ხარჯების, დაახლოებით 54.8%-ის, გაღება თავად მოსახლეობას უწევს. შედეგად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებულია უარი თქვას სამედიცინო მომსახურებაზე.

ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველომ უნდა გაიზარდოს ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები, რათა ბენეფიციარისთვის, სრულად უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ლიტერატურა:

- ვერულავა თ. (2023). ჯანდაცვის პოლიტიკა. კავკასიის უნივერსიტეტი.
- ვერულავა თ. (2020). ჯანდაცვის პოლიტიკის გამომწვევები საქართველოში: სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ფინანსური პერსპექტივა. *შოთა ჰუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი.*
- ვერულავა თ., ჯორბენაძე რ. (2020). ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფუნდამენტური უფლება თუ პრივილეგია? *ეკონომიკა და ბიზნესი*. 12 (4).
- ჯორბენაძე ა., ვერულავა თ. (2021). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა საქართველოში: განვითარების ბარიერები. *ეკონომიკა და ბიზნესი*. 13 (2).
- Organisation of African Unity (2001). African Summit on HIV/AIDS, Tuberculosis and other Related Infectious Diseases. Abuja Declaration on HIV/AIDS, Tuberculosis and other Related Infectious Diseases, 24–27 April 2001.
- OECD Health Statistics 2022.
- Stenberg K, Hanssen O, Edejer TT-T, Bertram M, Brindley C, Meshreky A, et al. (2017). Financing Transformative Health Systems towards Achievement of the Health Sustainable Development Goals: A Model for Projected Resource Needs in 67 Low-Income and Middle-Income Countries. *Lancet Glob Health*. Sep 1;5(9):e875–87.
- WHO. (2020). World Health Statistics 2020.
- WHO (2021). Global Health Expenditure Database.
- World Health Organization (2022). Global Health Expenditure database.
- WHO (2001). Commission on Macroeconomics and Health.

References:

- Verulava T. (2023). jandatsvis politika. [Health policy. Caucasus University.] in Georgian
- Verulava T. (2020). jandatsvis polit'ikis gamotsvebi sakartveloshi: sameditsino momsakhurebis organizatsiuli da sazogadoebrivi perspektivebi. [Health Policy

Challenges in Georgia: Organizational and Financial Perspective of Medical Services. Shota Rustaveli National Science Foundation. Tbilisi.] in Georgian

- Verulava T., Jorbenadze R. (2020). jandatsvaze khelatsvdomoba, rogoris pundamenturi upleba tu privilegia? [Access to Healthcare as a fundamental right or a Privilege? Economics and Business. 12, #4.] in Georgian
- Jorbenadze A., Verulava T. (2021). janmrtelobis sainpormatsio sakartveloshi: ganvitarebis barierebi. [Social Health Insurance in Georgia: Barriers to Development. Economics and Business. #2.] in Georgian
- Organisation of African Unity. (2001). African Summit on HIV/AIDS, Tuberculosis and other Related Infectious Diseases. *Abuja Declaration on HIV/AIDS, Tuberculosis and other Related Infectious Diseases, 24–27 April 2001.*
- OECD Health Statistics 2022.
- Stenberg K, Hanssen O, Edejer TT-T, Bertram M, Brindley C, Meshrey A, et al. (2017). Financing Transformative Health Systems towards Achievement of the Health Sustainable Development Goals: A Model for Projected Resource Needs in 67 Low-Income and Middle-Income Countries. *Lancet Glob Health.* Sep 1;5(9):e875–87.
- WHO. (2020). World Health Statistics 2020.
- WHO (2021). Global Health Expenditure Database.
- World Health Organization (2022). Global Health Expenditure database.
- WHO (2001). Commission on Macroeconomics and Health.

Healthcare Expenditures in Georgia and Recommendations of the World Health Organization

Tengiz Verulava

Professor

Caucasus University

tverulava@cu.edu.ge

The amount of spending on health care depends on various factors. Health spending is significantly influenced by a country's economic capacity rather than the need for medical services, so high-income countries have the ability to spend more money on health care. The amount of health care costs is influenced by the solvency of the population, the level of their taxes and insurance contributions. The richer a person is, the more he spends on health care.

Obviously, the higher the level of development of the country, the more funds are spent on health care, and therefore the higher the health status of the

population (eg, the average life expectancy). At the same time, high health care costs are not the main means of improving the health status of the population. USA. It is the richest country in the world, where the most money is spent on health care, but the indicators of the health status of the population are not so high compared to other developed countries.

High expenditures on health care are mainly related to the large number of medical personnel and the introduction of new, expensive medical technologies, rather than the population's need for medical services. A total of 2877.6 million GEL was spent on healthcare in Georgia in 2017, which is 800 million GEL more than in 2010. In relation to the GDP in Georgia, the total expenditure on health care increased from 5.3% to 10.3% in 1995-2010.

ახასიათებელი გავლენებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გახემოს დაცვის შედეგებს, განსაკუთრებით, ახლებული გამოწვევების ფონზე, ასევე, მსოფლიოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფაჩვებში. ხშირად, ამ გავლენების უგულებელყოფა ხდება მისთვის ეკონომიკური ღიხებულების მინიჭების სიხიურიდან გამომდინარე. ეს კი იწვევს ისეთი ეფექტების მნიშვნელობის ახასიათალოდ შეფასებას, ჰოგოიციას, მაგადითად, კლიმატი, დანშაფტი, ხმაური, ჰაეიის, წყლის და ნიადაგის დაბინძურება, ზოგადად - სიცოცხლისა და ცხოვრების ხაისხი. ყველა ეს გავლენა, თავის მხივი, პიხდაპიხ მოქმედებს ადამიანის ჯანმთერლობისა და კეთილდღეობის ხაისხიზე.

XXI საუკუნის მოვლენები ცხადყოფს, ჰომ ადამიანების კეთილდღეობა მჭიდროდაა დამოკიდებული ახა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური ასპექტებზე, ახამედ, გახემოს დაცვასა და ბუნებრივი ჰესუსებზე.

გახემოსდაცვითი შედეგების შეფასება და მისი გამოყენება მნიშვნელოვანია ფაჩთო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის. კონკრეტული მონაცემების ჰაოღენობივი და ეკონომიკური ანალიზით თვადსარინო ხდება პიობდემის ახსი, ჰასაც, შესაძლებელია მოჰყვეს ქცევის შესაბამისი ცვლილებები საზოგადოებაში.

გავლენების ეკონომიკური ღიხებულების ანალიზი კეთილდღეობის ეკონომიკასთან, ეფექტიანობისა და საჩგებლიანობის ცნებებთან ახის კავშირში. განვითარებულ ქვეყნებში XIX საუკუნიდან მას დიდი ყურადღება მიექცა, აქტიურად დაიწყო მისი განხილვა სხვადასხვა ეკონომიკური თეოიით და XX საუკუნიდან პიექტიკურად აისახა საჯაიო პოლიტიკასა თუ პიოექტებში. სტატიაში მიმოხილულია აღნიშნულ ეკონომიკური კონცეფციებთან დაკავშირებული დიგეჩატუხა და თეოიური ჩაჩრო, გაანალიზებულია შესაბამისი ეკონომიკური თეოიებისა და ცნებების განვითარება კეთილდღეობის ეკონომიკის კონტექსტით, უტილიტაიზმიდან დაწყებული „პაჩეგო ეფექტიანობამედ“ და თანამედროვე „კადრო-ჰიკის“ კიტიეიუმამედ, ჰომედიც ხაჩჯ-საჩგებლის ანალიზის ეკონომიკური საფუძველია. დამატებით,0 სტატიაში მიმოხილულია

მთლიანი ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია, ასევე, ბუნებრივი და გაუმჯობესების დასაცავი ხესუსები, ხოლო „საერთო ხესუსები“ და „საზოგადოებრივი საქონელი“ და მათი ღირებულების შეფასების მეთოდები.

კვლევის მიზანია გაუმჯობესების შედეგების მნიშვნელობის წახმორჩენა, მისი ეკონომიკური ღირებულების ახსნა და შეფასების მეთოდების გაანალიზება, ასევე, მისი ხორის გამოკვეთა საზოგადოების კეთილდღეობის შეფასების მოდელებში.

• **გაუმჯობესების ეკონომიკური ხაზი და გაუმჯობესებით გამოწვევები.** ჩივი კვლევა და შეფასება მიუთითებს გაუმჯობესების დაზიანებით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალზე. ევროპის გაუმჯობესებით სააგენტოს მონაცემებით, 1980-2020 წლებში, კლიმატთან დაკავშირებული მოვლენების გამო, ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანაში დაფიქსირდა 487 მლნ ევროს ტოლი ეკონომიკური ზარალი. იმავე 27 წევრი ქვეყანაში სიცხემ, წყადიღობამ და ქაჩიშხადმა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, 145 მლნ ევროს ეკონომიკური ზარალი გამოიწვია. გაუმჯობესების დაბინძურება პიდაპი კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ხაც ასევე ახის საზოგადოებისა და უწინააღმდეგარ, ეკონომიკის ხაზი. „გაუმჯობესებით წახმაგებულობის ინდექსის“ (EPI) უახლესი შედეგების მიხედვით, ჰაერის ხაჩისხის გაუმჯობესება და სატბუის გაზების (GHG) სწრაფად მზაჩი გამონაბოლქვი განსაკუთრებით ღიდ გამოწვევებს უქმნის მსოფლიოს. გაჩა ამისა, „ეკოლოგიური კვადის“ (EF) მონაცემების უახლესი შედეგები აჩვენებს, რომ მსოფლიოს ქვეყნების მხოლოდ 28%-ს აქვს ბოლოლოგიური/ეკოლოგიური ხეზეხვი, ხოლო ყველა სხვა ქვეყანა მის დეფიციტშია. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „გაუმჯობესებით კუნეცის მიხური“ (EKC) ყოველთვის აჩ მუშაობს. გაუმჯობესების დაბინძურება იწვევს მნიშვნელოვან სოციალური და ჯანდაცვის ხაჩებს და ხელს უშლის მდგაად ეკონომიკური განვითარებას და სოციალური კეთილდღეობას. ამგომ, აუცილებელია ეკოლოგიური მიზნების ინტეგრირება ეკონომიკაში ქვეყნის განვითარების დონის მიხედვად.

• **მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ხეგუღიების ზეგავლენის შეფასების (RIA) პრაქტიკაში გაუმჯობესებით კომპონენტების გათვალისწინება.**

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უახლესი 2021 წლის გამოკითხვის მიხედვით, OECD-ის ქვეყნების 84% და ევროკავშირის ქვეყნების 94% განიხილავს გაუმჯობესების ზეგავლენას ძიითადი კანონებისთვის და ამ ქვეყნების 82% და 77%, შესაბამისად, განიხილავს მას კანონქვემდებარე აქტებისთვის. OECD-ის ქვეყნების 76% და ევროკავშირის ქვეყნების 74% განიხილავს გავლენას მდგაად განვითარებაზე ძიითადი კანონებისთვის და ამ ქვეყნების 71% და 61%, შესაბამისად, განიხილავს მას

კანონქვემდებარე აქტებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძირითადი კანონების შემთხვევაში, OECD-ის ქვეყნების 29%-მა და ევროკავშირის ქვეყნების 39%-მა განაცხადა, რომ ახასდროს ჰქონია გახეიშების დაცვითი ჰეგულაციების ხისკების შეფასების მოთხოვნა. კანონქვემდებარე აქტების შემთხვევაში, ეს ხისკები OECD-ისთვის 37%-ს აღწევს, ხოლო ევროკავშირისთვის - 45%-ს.

• გახეიშების დაცვითი კომპონენტები შეჩვენებულ კეთილდღეობის ინდიკატორებში, საერთაშორისო ინდექსებსა და ეროვნული კეთილდღეობის მოდელებში. ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) კლასიკურად ზომავს ქვეყნების მიღწევებს სამი მიმართებით: ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე; წიგნიცხება/წიგნა-კითხვის ცოდნა; ცხოვრების დიხსეული დონე/ეკონომიკური შემოსავალი. 2022 წელს HDI-ს დაემატა ეკონომიკური კომპონენტიც და ინდექსის მოხგება ხდება პლანეტაზე მიყენებული ზიანის მარკენებების (სათბუხი გაზის ემისიები, „ეკონომიკური კვადრი“) მიხედვით. გლობალური კონკურენტიუნაჩიანობის ინდექსი (GCI) ზომავს ქვეყნების წახმატებას ხელსაყხედი გახეიშოს, ადამიან-კაპიტალის, ბაზხების და ინოვაციების მიხედვით. პიხვედად 2019 წელს GCI-ში გამოჩნდა კომპონენტები: „ენეხგოეფექტიანობის ჰეგულაციები“; „განახლებადი ენეხგის ჰეგულაციები“; „გახეიშოს დაცვასთან დაკავშირებული შეთანხმებების განხორციელება“. საჯახო ინვესტიციების მახთვის შეფასება (PIMA) ასევე განახლდა და ეწოდა „კლიმატური PIMA“, ხათა შეფასდეს ქვეყნების შესაძლებლობები და მათი პოქტიკა კლიმატის პეხსპექტივების გათვადისწინებით საჯახო ინფრასტრუქტურული პოქტივების მახთვის დხოს.

გახეიშოზე ზეგავდენის ეკონომიკური ანალიზმა შეიძლება შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება ამ სფეროს მიმართ. ბევრის აზრით, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები უფხო პირობიტეგულია, ვიდრე გახეიშოს დაცვა. სინამდვილეში, გახეიშების დაცვითი საკითხებისადმი ნაკლებმა ყუხადლებამ შეიძლება უფხო მეტად გაამწავოს სოციალური და ეკონომიკური პირობიტეგები. გახეიშების მიყენებული ზიანი პიხდაპიხ გავდენას ახდენს ადამიანის ჯანმთედობასა და ცხოვრების ხაჩისხზე. შესაბამისად, აუცილებელია ამ სფეროს განვითარების ყოველმხიხ ხედშეწყობა და გახეიშოზე ზეგავდენის ეკონომიკური დიხებულების შეფასების მეთოდების სხუდყოფა და პოქტიკური დანეხგვა.

საკვანძო სიყვებო: გახეიშების დაცვითი შედეგები, გახეიშოს დაცვა, ჰეგულირების ზეგავდენის შეფასება, ხაჩ-საჩგებლის ანალიზი, მთლიანი ეკონომიკური დიხებულება, კეთილდღეობა, კეთილდღეობის ეკონომიკა.

ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი ◊ ტურიზმი
BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობის გავლენა
ჯანდაცვის მომსახურების მომხმარებელთა მყიდველობით
განზრახვაზე

ნუგზახ თოდუა

პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი
nugzar.todua@tsu.ge

ჩაჩიტა ჯაში

ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი
charita.jashi@tsu.ge

ნია თოდუა

დოქტორანტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
nia.todua@tsu.ge

ნაშრომში განხილულია სოციალური მედიის გამოყენების თავისებულებები ჯანდაცვის ინდუსტრიაში. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ციფრული ტექნოლოგიების ერაში სოციალური მედიის როლი განსაკუთრებით იზრდება სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, ხაც ჯანდაცვის სფეროში მომხმარებელთა მეტ ჩაბნელობას განაპირობებს. საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ციფრული ტექნოლოგიები თანდათანობით იწეობა და პაციენტებთან ურთიერთობებისათვის სამედიცინო ორგანიზაციების სურ უფრო მეტი ჩაბნელობა იყენებს სოციალური მედია მაკეტინგს. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის გამოყენება ახასიათებს დონეზე. ამის ერთ-ერთი მიზეზია ამ სფეროში კვლევების სიმცირე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარებულია მაკეტინგული კვლევა, რომლის ძირითად ცვლადებზე შეიქმნა სოციალური მედია-მაკეტინგული აქტივობა, მომხმარებელთა ჩაბნელობა, მომხმარებელთა ნდობა და მყიდველობითი განზრახვა. შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური მოდელი და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ჰიპოთეზები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებები, ხისთვისაც გამოყენებულია ჰერხესიული ანალიზის მეთოდი. ანალიზის შედეგად მიღებულია სტატისტიკური მნიშვნელოვანი სიდიდეები, ხაც კვლევაში გამოყენებული დებულებების სანდობას ადასტურებს და ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებს ამტკიცებს. კვლევის შედეგები სასაჩებდროა ჯანდაცვის ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალური მედიის გამოყენებით კლიენტების მოზიდვას და თავიანთ აქტივობაში მათ მეტ ჩაბნელობას გეგმავენ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, ჯანდაცვა, მომხმარებელთა ქცევა, მაკეტინგული კვლევა

შესავალი

სოციალური მედია მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს, თავიანთ მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარონ (Abid et al., 2023). სოციალური მედია აქტიურ როლს თამაშობს ჯანდაცვის ინდუსტრიაში (Khan et al., 2021). ამიტომაც, უკანასკნელ ხანებში ჯანდაცვის სპეციალისტებისა და პროვადერების, აგრეთვე, პაციენტების მიერ სოციალური მედიის გამოყენება საგრნობლად გაიზარდა (Kostigina et al., 2020).

თანამედროვე ეტაპზე ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციები მრავალი გამონვევის წინაშე დგანან. უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში მომხმარებლები პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მონაწილეებად გადადიან (Swan et al., 2019; Farsi, 2021). ისინი სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ აპლიკაციებს და სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რაც ეხმარება მათ, უშუალოდ ჩაერთონ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაში. შესაბამისად, ჯანდაცვის ორგანიზაციები ცდილობენ, დროს არ ჩამორჩნენ და სრულყოფილ სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხერხები, რომელშიც მარკეტინგულ მიდგომებს განსაკუთრებული როლი ენიჭება. მკვლევრები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ჯანდაცვის სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, სწორედ, მარკეტინგული უნარებია (Anderson et al., 2018).

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური მედიის გამოყენება ჯანდაცვის სისტემებს უამრავ შესაძლებლობებს აძლევს (Mondal et al., 2022). ის ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს და ექიმებს, პაციენტებთან ჩამოაყალიბონ ურთიერთობები, ღიად გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები და მათგან უკუკავშირები მიიღონ (Kamarudin et al., 2022; Freire et al., 2023). გარდა ამისა, სოციალური მედია პლატფორმების მეშვეობით მიზნობრივ აუდიტორიაზე ზუსტად ორიენტირებული რეკლამები ეხმარება ჯანდაცვის ორგანიზაციებს პაციენტებთან ინდივიდუალურ მუშაობაში (Hung et al., 2023). ამიტომაც არის, რომ აშშ-ში არსებული საავადმყოფოების 94%-ს აქვს აქტიური გვერდები Facebook-ში, ხოლო სულ უფრო მეტი რაოდენობა ხსნის თავის სოციალურ გვერდებს ისეთ პლატფორმებზე, როგორცაა Twitter და Instagram (Chaves et al., 2023). მომხმარებლები აქტიურად იყენებენ ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. კერძოდ, კომპანია Pew Research Center-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ში ინტერნეტ მომხმარებელთა 70% ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ონლაინ ეძებს (Zhou et al.,

2018). ძირითადი მოტივები, რაც მომხმარებლებს ჯანდაცვის კონტექსტით სოციალური ქსელების გამოყენებისაკენ უბიძგებს, არის შემდეგი: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სიმპტომების შესახებ ცოდნის ამალგება და საკუთარი აზრების გამოხატვა; ავადმყოფობის მკურნალობის შესახებ სხვებისათვის გამოცდილების გაზიარება; ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ან ანალოგიური პრობლემების მქონე სხვა პაციენტებთან რჩევების (კონსულტაციების) მიღება (Li et al., 2018). აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური ქსელების მომხმარებელთა 60%, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ექიმების პოსტებს უფრო მეტად ენდობა (Chen et al., 2018). თავის მხრივ, სოციალური მედიის გამოყენება საკმაოდ ეფექტიანია ჯანდაცვის შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებისა და შესაბამისი ქცევის ცვლილებისათვის (Pilon et al., 2023). სოციალურ მედიაში აქტიურად ჩართულ საავადმყოფოებს და ექიმებს შეუძლიათ, დროულად დააფიქსირონ და გადაჭრან პაციენტების პრობლემები, რაც მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ზრდას განაპირობებს (Jackson, 2021).

თანამედროვე სამყაროში ჯანდაცვის მომხმარებელთა უპირატესობები იცვლება (Ghalavand et al., 2020). COVID-19-ის პანდემიამ გავლენა მოახდინა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ სამომხმარებლო ქცევაზე. ადამიანებს აწუხებთ თავიანთ შემოსავლებსა და ჯანმრთელობაზე პანდემიის გავლენა და ეკონომიურად იქცევიან. ამიტომ ჯანდაცვის პროვაიდერები იყენებენ ახალ მარკეტინგულ მიდგომებს, რათა პოტენციური მომხმარებლები უკეთ მოიზიდონ და შეინარჩუნონ (Renu, 2021; Prasetya et al., 2023).

დღეისათვის საქართველოში მრავალი სამედიცინო დაწესებულება იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს თავისი მომსახურების პრომოციისა და მომხმარებლებთან ურთიერთობისათვის. ჯანდაცვის ქართული ორგანიზაციები, რომლებიც მისდევენ სოციალურ მედია-მარკეტინგს, პაციენტებისა და საზოგადოების თვალში დიდ ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებენ. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში. მართალია, საქართველოში სამთავრობო დონეზე შექმნილია ჯანდაცვის საერთო ელექტრონული სისტემა და ხელისუფლება უზარმაზარ ძალისხმევას წარმართავს გლობალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ჯანდაცვის სისტემის ადაპტაციისა და სამედიცინო სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის (World Health Organization, 2017; Healthcare and Social Issues Committee of the Parliament of Georgia, 2017), მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ

მრავლადაა ჯანდაცვის ორგანიზაციები, რომლებიც ციფრული მარკეტინგის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია-მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება ჯერ კიდევ სიახლედ აღიქმება საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში (Todua & Jashi, 2018; Mladenović *et al.*, 2023). შესაბამისად, საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირებულობისა და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, ზოგადად, დაბალია. ქართველი მომხმარებლების უმეტესი ნაწილი ვერ იღებს სათანადო და დროულ ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ქართულ სინამდვილეში ნაკლებადაა შესწავლილი ჯანდაცვის სექტორში სოციალური მედია-მარკეტინგის გავლენა ადგილობრივი მომხმარებლების ქცევაზე, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული თემის აქტუალობამ, მოცემულ სფეროში არსებულმა პრობლემებმა, მათი მეცნიერული შესწავლისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობამ განაპირობა წინამდებარე კვლევის მიმართულება. კვლევის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენებასთან მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა. ამისათვის შევიმუშავეთ შემდეგი საკვლევო კითხვები (RQ):

RQ 1: როგორ გავლენას ახდენს ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობა მომხმარებელთა ჩართულობაზე?

RQ 2: როგორ გავლენას ახდენს ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობა მომხმარებელთა ნდობაზე?

RQ 3: როგორ გავლენას ახდენს სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობა მათ მყიდველობით განზრახვაზე?

RQ 4: როგორ გავლენას ახდენს სოციალურ მედიის მიმართ მომხმარებელთა ნდობა მათ მყიდველობით განზრახვაზე?

ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის ჰიპოთეზების განვითარება

თანამედროვე კომპანიები სოციალური მედიის პლატფორმებს უზარმაზარ როლს ანიჭებენ მომხმარებლებთან ურთიერთობებისათვის (Dodokh, & Al-Maaitah, 2019). ამიტომ მკვლევრები განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლიან სოციალურ მედიაში ჩართულობის ფენომენს (Colicev

et al., 2018; Harmeling *et al.*, 2017). თავის მხრივ, მყიდველებიც მიესალმებიან კომპანიების სოციალურ ქსელებში ჩართვას, ვინაიდან ასეთი პროცესი ორგანიზაციებთან მათ ურთიერთობებს ამარტივებს (Dolan *et al.*, 2016; Viswanathan *et al.*, 2018). გარდა ამისა, მობილური ტექნოლოგიების უკანასკნელმა მიღწევებმა მყიდველების ყოველდღიური საქმიანობა ციფრული გახადა, რაც ამარტივებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სანარმოებში სოციალურ ქსელებში ჩართულობას. მაგალითად, ჯანდაცვის ინდუსტრიაში აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას, როგორც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას (Hawkins *et al.*, 2016; Huppertz & Otto, 2018). ამიტომ, ბოლოდროინდელ კვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა როგორც სოციალური მედიის სტრატეგიებს და მასთან დაკავშირებულ მომხმარებელთა მყიდველობით ქცევებს, ასევე სოციალურ ქსელებში ჩართულობის საკითხებს (Wang & Kim, 2017; Huppertz & Otto, 2018).

დღეისათვის კლიენტებთან ურთიერთობების შესახებ ხედვის ჩამოყალიბება განიხილება, როგორც ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი რესურსი და არამატერიალური აქტივი (Hollebeek *et al.*, 2014; Pansari & Kumar, 2017). მართლაც, სოციალურ ქსელებში ჩართული მყიდველები არამარტო აყალიბებს კომპანიებთან პოზიტიურ ურთიერთობებს და ლოიალურობის დემონსტრირებას, არამედ, ბრენდის ელჩებიც ხდებიან (Brodie *et al.*, 2013). ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ სოციალურ მედიაში მყიდველების ჩართულობა ხელს უწყობს ახალი პროდუქტის საბაზრო მახასიათებლებისა და კომპანიის ფასეულობების ერთობლივად შექმნის პროცესს (Toor *et al.* 2017; Hollebeek *et al.*, 2019).

სოციალური მედიის მეშვეობით მომხმარებლების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანდაცვის ინდუსტრიაში. მაგალითად, საავადმყოფოების მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, როგორცაა სამედიცინო ინფორმაციის დაპოსტვა, პროფილაქტიკური ვებსემინარების ჩატარება და ონლაინდისკუსიები ამარტივებს კლიენტებთან ურთიერთობას. შესაბამისად, ასეთი აქტივობა უზრუნველყოფს კლიენტებში დადებითი დამოკიდებულების ფორმირებას და მათი გამოცდილების გაუმჯობესებას (Kumar & Pansari, 2016).

სოციალური მედია პლატფორმები მყიდველთა ჩართულობის პროცესს რამდენიმე მიმართულებით ცვლიან. პირველ რიგში, სოციალურ მედიაპლატფორმებს შეუძლია გაააქტიურონ მყიდველთა ჩართულობასთან დაკავშირებული ქცევა, რისთვისაც უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, უბიძგებენ ორგანიზაციებს, მყიდველთა ჩართულობის მონაცე-

მები გაანალიზონ (Carlson-Szlezak et al., 2020). მეორე მხრივ, სოციალური მედიის მეშვეობით შესაძლებელია მომხმარებელთა ჩართულობის მაღალი შედეგების მიღწევა. კერძოდ, სოციალური მედია პლატფორმები საშუალებას აძლევენ მომხმარებლებს, დაუკავშირდნენ მრავალფეროვან აუდიტორიას, როგორც მომხმარებლების, ასევე ორგანიზაციების თვალსაზრისით (Schivinski et al., 2016). მესამე, სოციალური ქსელის პლატფორმები დღეისათვის გვთავაზობს ადგილმდებარეობის მიხედვით განსაზღვრულ მომსახურებას, რომელიც ხელს უწყობს ახალი კლიენტების მოზიდვას და მათთან ურთიერთობების დამყარებას (Wang and Stefanone, 2013). ზემოთ განხილულ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა (H):

H1: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობა დადებით გავლენას ახდენს სოციალური მედიაში მომხმარებელთა ჩართულობაზე.

ონლაინსივრცეში მომხმარებელთა აქტივობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნდობის საკითხი (Kwortnik Jr & Han, 2011). მარკეტინგის ლიტერატურაში ცნება „ნდობა“ სხვადასხვანაირადაა განმარტებული, მაგრამ ყველა მათგანი ემყარება პატიოსნების, უფლებაუნარიანობის, კომპეტენტურობისა და აღიარების სხვადასხვა ასპექტებს (Pirson et al., 2017). ონლაინსამყაროს დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს რისკი და გაურკვევლობა. ნდობა ემყარება ორ ძირითად განზომილებას, როგორცაა თანაგრძნობა და პატიოსნება (Ceglaz et al., 2017). დამაჯერებლობაზე აგებული ნდობა ეყრდნობა რეპუტაციას და გულისხმობს მოსაზრებას, რომ ტრანსაქციის მეორე მხარე იმსახურებს ნდობას, ხოლო კეთილმოსურნეობა ეხება გამყიდველსა და მყიდველს შორის მუდმივ ურთიერთობას (Manzoor et al., 2020). ონლაინსაზოგადოების მიერ ნდობის აღქმა უკავშირდება ინტერნეტაქტივობას. ონლაინსაზოგადოებისათვის ნდობა არის საშუალება, რომ მისმა თითოეულმა წევრმა ურთიერთობები დაამყაროს ცალკეულ ადამიანებთან და უბიძგოს მათ, რომ ამ ქსელში სხვებიც მოიზიდონ. ამიტომ, ნდობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, როგორც მომხმარებელთა განზრახვის, ასევე მათი მყიდველობითი ქცევის განსაზღვრის საქმეში (Chiu et al., 2012; Hong & Cha, 2013). აქედან გამომდინარე, შევიშუავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

H2: ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია აქტივობა დადებით გავლენას ახდენს სოციალური მედიის მიმართ მომხმარებელთა ნდობაზე.

ონლაინსივრცეში მომხმარებელთა აქტივობის შესწავლისას ასევე მნიშვნელოვანია მყიდველობითი განზრახვის გაანალიზება. ზოგადად, განზრახვა - ესაა ადამიანის ქცევა, რომელიც უბიძგებს მას, რაიმე გააკეთოს (Rezvani et al., 2012). მყიდველობითი განზრახვა ესაა მომხმარებლის მიერ განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების შეძენის შესახებ გადამწყვეტილება. შესაბამისად, ის უკავშირდება მომხმარებელთა ქცევას და მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს (Oosthuizen et al., 2015). კომპანიები ყურადღებით უნდა მოეკიდონ მყიდველობითი განზრახვის შეფასებას, ვინაიდან მომხმარებელთა ქცევის პროგნოზირება მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია (Baabdullah et al., 2019). აღნიშნულიდან გამომდინარე, მყიდველობითი განზრახვის მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ, თუ რომელი საქონელი უნდა იყიდონ მომხმარებლებმა და კიდევ როდის წავლენ ისინი საყიდლებზე (Hajli et al., 2017).

მყიდველობითი განზრახვის ფორმირებისათვის სოციალური მედია იდეალურად მისასადაგებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ეს პლატფორმა უზრუნველყოფს კომპანიასა და მის მომხმარებლებს შორის ორმხრივ ურთიერთობას (Wang & Chang, 2013; Manzoor et al., 2020). ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მომხმარებლები სოციალურ მედიას, სხვა მარკეტინგულ ინსტრუმენტებთან შედარებით, უფრო „პატიოსნად“ მიიჩნევენ, ვინაიდან ის ახდენს ბრენდის შესახებ ინფორმირებას და არა მისი იმიჯის კონტროლს. ასეთი ურთიერთობა კი აძლიერებს ბრენდისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას და მყიდველობით განზრახვაზე დადებითად მოქმედებს (Hutter et al., 2013; Rahman, 2017). გარდა ამისა, დადგინდა, რომ მყიდველობით განზრახვაზე გავლენას ახდენს სოციალურ მედიაში განხორციელებული მარკეტინგული აქტივობა (Yadav & Rahman, 2017). განხილული მასალებიდან გამომდინარე ჩამოვყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზები:


H3: სოციალური მედიაში მომხმარებელთა ჩაბოძება დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით ქცევაზე;

H4: სოციალური მედიისადმი მომხმარებელთა ნდობა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით ქცევაზე.

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების საფუძველზე შეიძლება შევიშავოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.

კვლევის კონცეპტუალური მოდელი

ნახაზი 1.



კვლევის მეთოდოლოგია

სოციალური მედია მარკეტინგის სფეროში არსებული თეორიების ანალიზისა და ახალი ინფორმაციების განზოგადებისათვის, კვლევაში გამოვიყენეთ დედუქციური მეთოდი (Bryman and Bell, 2011). შემდგომში, თეორიული შეხედულებების შემოწმებისათვის მოვახდინეთ ჰიპოთეზების ტესტირება (Malhotra, 2010; Saunders et al., 2016). კვლევის დიზაინი მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრა; კვლევის მეთოდების შერჩევა; ანკეტის შემუშავება და გაზომვის მახასიათებლის დადგენა; შერჩევის ზომის გაანგარიშება; მონაცემების ანალიზი (Malhotra, 2010). ჩვენი კვლევისათვის ყველაზე უფრო შესაფერი იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, აღწერითი კვლევა, რომელიც ავირჩიეთ ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის ტესტირებისა და ანალიზისათვის. კვლევაში გამოვიყენეთ მომხმარებელთა ონლაინგამოკითხვის მეთოდი, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ რამდენიმე სტრუქტურული კითხვისგან შემდგარი ანკეტა. ამასთან, უპირატესობა მივანიჭეთ პროფილურ კვლევას, ვინაიდან ის ეფექტიანია ცვლადებს შორის რეგრესიული დამოკიდებულების გაზომვისათვის და შედარებით მცირე დროში მონაცემთა საკმაოდ რაოდენობის შეგროვების საშუალებას იძლევა. ანკეტაში გამოყენებული კითხვები დაეფუძნა იმ ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც მოხსენებულა წინამდებარე ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში. კონსტრუქცია, შესაბამისი დებულებები და ავტორები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

კვლევის კონსტრუქცია

ცხილი 1.

ცვლადები	კოდი	საზომი დებულებები	
სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობა (სმმა)	სმმა1	ჯანდაცვის ორგანიზაციები იყენებენ სოციალურ მედიას თავიანთი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის	Dodokh, & Al-Maaitah, 2019; Swan et al.2019; Ghalavand et al. 2020
	სმმა2	ჯანდაცვის ორგანიზაციები ავითარებენ თავიანთ ურთიერთობებს მომხმარებლებთან სოციალური მედიის მეშვეობით	
	სმმა3	ჯანდაცვის ორგანიზაციები იყენებენ სოციალურ მედიას მომხმარებლებისგან კეთილგანწყობისა და დადებითი გამოხმაურების მისაღებად	
	სმმა4	ჯანდაცვის ორგანიზაციები აუმჯობესებენ თავიანთი მომსახურების ხარისხს სოციალური მედიის მეშვეობით მომხმარებელთა გამოხმაურებების შესწავლის საფუძველზე	
	სმმა5	ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალური მედიის მეშვეობით იყენებენ დიფერენცირებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს	
	სმმა6	ჯანდაცვის ორგანიზაციები იყენებენ ახალ ინოვაციურ მეთოდებს სოციალურ მედიაში თავიანთი მომსახურების რეკლამის მიზნით	
	სმმა7	ჯანდაცვის ორგანიზაციები იყენებენ სოციალურ მედიას კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად	

სოციალურ მედიაში ჩართულობა (სმჩ)	სმჩ1	მე ხშირად ვსტუმრობ სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების გვერდებს	Toor <i>et al.</i> 2017; Rahman, 2017; Kostigina <i>et al.</i> 2020
	სმჩ2	მე ხშირად ვკითხულობ სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების პოსტებს	
	სმჩ3	მე ხშირად ვიყენებ „მონონების“ ვარიანტს სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების პოსტებთან მიმართებით	
	სმჩ4	მე ხშირად ვაკეთებ კომენტარებს სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების პოსტებზე	
	სმჩ5	მე ხშირად ვადევნებ თვალყურს სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების გვერდებს, რათა მივიღო საინტერესო ინფორმაცია	
სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობის ნდობა (სმმან)	სმმან1	მე ვფიქრობ, რომ ასეთი ორგანიზაციების აქტივობა სოციალურ მედიაში იმსახურებს ნდობას	Chiu <i>et al.</i> 2012; Hong & Cha, 2013
	სმმან2	მე ვენდობი ასეთ ორგანიზაციებს და შევიძენ მათ მიერ სოციალური მედიით შემოთავაზებულ მომსახურებას	
	სმმან3	მე მჯერა, რომ ასეთი ორგანიზაციები სოციალურ მედიაში განხორციელებულ აქტივობაში კომპეტენტურნი არიან	
	სმმან4	მე მჯერა, რომ ასეთი ორგანიზაციები შეასრულებენ სოციალურ მედიაში გამოთქმულ თავიანთ დაპირებებს და ვალდებულებებს	

მყიდველობითი განზრახვა (მგ)	მგ1	სოციალური მედიის გამოყენება მეხმარება სამედიცინო მომსახურების შექენამდე გადანყვეტილების უკეთ მიღებაში	Chiu et al. 2012; Wang & Chang, 2013; Toor et al. 2017; Manzoor et al. 2020
	მგ2	ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის გამოყენება ზრდის ჩემს ინტერესს სამედიცინო მომსახურების შექენის შესახებ	
	მგ3	დიდი ალბათობით, შევიძენ სოციალურ ქსელებში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ რეკომენდებულ სამედიცინო მომსახურებას	
	მგ4	მინდა ვურჩიო ჩემს მეგობრებს და ახლობლებს, შეიძინონ სოციალურ ქსელებში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურება	
	მგ5	მომავალში, როცა დამჭირდება, ვაპირებ ვისარგებლო სოციალურ მედიაში ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მომსახურებით	

წყარო: ყველა ცხილი შედგენილია ავტოჩების მიეჩ

გენერალური ერთობლიობის შესწავლისათვის გამოვიყენეთ საალბათო შერჩევის მეთოდი. კვლევის არეს წარმოადგენდა საქართველო, ხოლო შერჩევა მოვახდინეთ ისეთნაირად, რომ ის რეპრეზენტაციული ყოფილიყო. შერჩევის ზომის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ სტატისტიკაში ცნობილი ფორმულა (Krejcie and Morgan, 1970) :

$$S = \frac{x^2 N P(1-P)}{d^2(N-1)+x^2 P(1-P)} \quad (1)$$

სადაც: S = შერჩევის საჭირო ზომა; x^2 = ხი კვადრატის ცხრილური მნიშვნელობა 1-ის ტოლი თავისუფლების ხარისხისა (df) და სანდოობის სასურველი დონის შემთხვევაში ($1,96 \times 1,96 = 3,8416$); N = გენერალური ერთობლიობის რაოდენობა; P = მოსახლეობის ხვედრითი წილი (აღებული 0.50-ის მნიშვნელობით, ვინაიდან ის უზრუნველყოფს შერჩევის მაქსიმალურ ზომას; d = კვლევის სიზუსტის დონე, რომელიც გამოიხატება პროპორციით 0.05.

საქსტატის მიხედვით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 2017 წლის აღწერის მონაცემებით, შეადგენდა 3,7 მლნ ადამიანს, რომელთაგან 18 წლის ზემოთ ინტერნეტის მომხმარებელი არის 229400, რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზნობრივ გენერალურ ერთობლიობას (National Statistics Office of Georgia, 2023). ზემოაღნიშნულიდან მონაცემებიდან და (1) ფორმულიდან გამომდინარე, შერჩევის ზომა იქნება:

$$S = \frac{1,96^2 \times 2294000 \times 0,5 \times (1 - 0,5)}{0,05^2(2294000 - 1) + 1,96^2 \times 0,5(1 - 0,5)} = 373,2$$

ამრიგად, შერჩევის ზომა ჩვენი კვლევისათვის განისაზღვრა 374 ადამიანით. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ დაგზავნილი კითხვარებიდან პასუხის გაცემის საშუალო მაჩვენებელი თუ შეადგენს 70-75%-ს, ეს ითვლება მისაღებად (Heslop et al., 1998). აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, სულ შევხვდით 572 რესპონდენტს, რომლიდანაც მივიღეთ 425 გამომხმარებელი (შევსებული ანკეტა), რაც არის მთლიანი რაოდენობის 74,3%. ანკეტის გამართულობის დასადგენად რესპონდენტთა მცირე ჯგუფთან ჩატარდა მისი წინასწარი ტესტირება 2021 წლის დეკემბერში. შემჩნეული ხარვეზების გასწორების შემდეგ, 2022 წლის იანვარ-მარტში ჩავატარეთ მომხმარებელთა მასობრივი გამოკითხვა. სულ დაგროვდა 425 პასუხგაცემული ანკეტა, რომლიდანაც 270 ქალია, ხოლო 155 - მამაკაცი (იხ. ცხრილი 2). მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS-25-ის მეშვეობით.

შერჩევის დემოგრაფიული სტრუქტურა (N=425)

ცხილი 2

ცვლადები	სიხშირე (%)	ცვლადები	სიხშირე (%)
ასაკი		სქესი	
18-24 წელი	200 (47,1%)	ქალი	270 (63,5%)
25-35 წელი	138 (32,5%)	მამაკაცი	155 (36,5%)
36-45 წელი	29 (6,8%)	საქმიანობა	
46-55 წელი	30 (7,1%)	სტუდენტი	134 (31,5%)
56 წელზე მეტი	28 (6,5%)	მფლობელი/ მენარმე	27 (6,4%)
განათლება		საჯარო სამსახური	73 (17,2%)
საშუალო	39 (9,2%)	კერძო სამსახური	174 (40,9%)
პროფესიული	26 (6,1%)	სხვა	17 (4%)
ბაკალავრი	164 (38,6%)	თვითრეგულირებადი	
მაგისტრი	150 (35,3%)	500 ლარამდე	163 (38,4%)
დოქტორი	39 (9,2%)	501-1000 ლარი	127 (29,8%)
ოჯახური მდგომარეობა		1001-1500 ლარი	29 (6,8%)
არადაოჯახებული	293 (68,9%)	1501-2000 ლარი	17 (4%)
დაოჯახებული	112 (26,4%)	2000 ლარზე მეტი	10 (2,4%)
განქორწინებული	15 (3,5%)		
ქვრივი	5 (1,2%)		

მსგავს კვლევებში მეცნიერები იყენებენ კრონბახის ალფა კოეფიციენტს (კრონბახის ალფას), რათა დაადგინონ სანდოობის ზომები. სანდოობის კოეფიციენტი ითვლება მისაღებად, თუ ის არის 0.60 ან უფრო მაღალი (Nunnally, 1967). ჩვენ მიერ მიღებული სანდოობის სტატისტიკის მაჩვენებლები მოცემულია მე-3 ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ კრონბახის ალფა კოეფიციენტი ოთხივე ცვლადისთვის აღმოჩნდა 0.945, ხოლო თითოეული ცვლადისთვის 0.8-ზე მეტია, რაც შეიძლება ჩაითვალოს საგრძნობლად მაღალ სანდო კოეფიციენტად.

სანდოობის სტატისტიკა

ცხრილი 3


ცვლადები	კრონბახის ალფა	დებულებების რაოდენობა
სულ	0.945	21
აქტიურობა	0.894	7
ჩართულობა	0.855	5
ნდობა	0.882	4
მყიდველობითი განზიარება	0.877	5

კვლევის შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ სოციალურ მედიაში განხორციელებული მარკეტინგული აქტივობის მიმართ რესპონდენტების უმრავლესობამ რადიკალური პასუხებისგან თავი შეიკავა და, ძირითადად, დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა (იხ. ნახ. 2). მე-4 ცხრილში მოცემულია ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობის საშუალო რეიტინგი. რესპონდენტების უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციები სოციალურ მედიას იყენებენ თავიანთი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის (საშუალო = 3,548). ამასთან, რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად ეთანხმებიან დებულებას იმის შესახებ, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციები იყენებენ სოციალურ მედიას მომხმარებლებისგან კეთილგანწყობისა და დადებითი გამომხაურების მისაღებად (საშუალო = 3,151).

ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ მედია მარკეტინგულ აქტივობასთან მიმართებით რესპონდენტების მიერ მოცემული შეფასებების სიხშირეები

ნახაზი 2.



წყარო: ავტორები

სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობასთან დაკავშირებული დებულებების საშუალო ქულები

ცხრილი 4.

დებულებები	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	დისპერსია
სმმა1	425	3.548	1.0565	1.116
სმმა1	425	3.322	.9477	.898
სმმა1	425	3.398	.9950	.990
სმმა1	425	3.151	.9910	.982
სმმა1	425	3.353	.9628	.927
სმმა1	425	3.224	1.0299	1.061
სმმა1	425	3.365	1.0353	1.072

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მიღებულია 1-დან 5-მდე სკალის გამოყენებით, სადაც 1=სხუდიად ახ ვეთანხმები; 2-ახ ვეთანხმები; 3=ნეიტრალური ვაჰ; 4=ვეთანხმები; 5=სხუდიად ვეთანხმები

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული პირველი და მეორე მოდელი სანდოა [($P < 0.001$), $F(32.581) > F_{კრ}(3.84)$; ($P < 0.001$), $F(75.490) > F_{კრ}(3.84)$]. H1 და H2 ჰიპოთეზები დადასტურდა. შესაბამისად, სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე ($R^2 = 0.072$, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ აქტივობის 7,2% გამოწვეულია ჩართულობით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით). ასევე სოციალური მედია აქტივობა დადებით გავლენას ახდენს ნდობაზე ($R \text{ square} = 0.151$, რაც ამტკიცებს იმას, რომ აქტივობის 15.1% გამოწვეულია ნდობით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით).

სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობასა და ნდობაზე ჯანდაცვის ორგანიზაციების სოციალური მედია აქტივობის გავლენის რეგრესიული ანალიზი

ცხიდი 5.

ა) მოდელის რეზიუმე						
მოდელი	R	R ²	კორექტირებული R ²	შეფასების სტანდარტული შეცდომა		
1	.267 ^ა	.072	.069	4.22154		
2	.389 ^ა	.151	.149	2.96763		
ბ) ANOVA ^ა						
მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
1	რეგრესია	580.648	1	580.648	32.581	.000 ^ბ
	ცდომილება	7538.468	423	17.821		
	ჯამი	8119.115	424			
2	რეგრესია	664.827	1	664.827	75.490	.000 ^ბ
	ცდომილება	3725.291	423	8.807		
	ჯამი	4390.118	424			

შენიშვნა:^ა დამოკიდებული ცვლადები: ჩახთულობა, ნდობა; ^ბ პხედიქციონი: აქტიურობა

მე-5 ცხრილიდან ჩანს, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-3 და მე-4 მოდელები სანდოა [($P < 0.001$, $F(204.83) > F_{\alpha}(3.84)$; ($P < 0.001$, $F(325.80) > F_{\alpha}(3.84)$]. H3 და H4 ჰიპოთეზები გამართლდა. შესაბამისად, მომხმარებელთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე ($R^2 = 0.326$. ეს კი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, ჩართულობის 32.6% გამოწვეულია მყიდველობითი განზრახვით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით). ასევე, ნდობა დადებით გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე ($R^2 = 0.435$, რაც იმას ნიშნავს, რომ ნდობის 43.5% ახსნილია მყიდველობითი ქვევით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით)

მყიდველობით განზიარებაზე სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობისა და ნდობის გავლენის რეგრესიული ანალიზი

ცხიდი 6.

ა) მოდელის რეზიუმე						
მოდელი	R	R ²	კორექტირებული R ²	შეფასების სტანდარტული შეცდომა		
3	.571 ^ა	.326	.325	3.43817		
4	.660 ^ა	.435	.434	3.14822		
ბ) ANOVA ^ა						
მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
3	რეგრესია	2421.307	1	2421.307	204.830	.000 ^ბ
	ცდომილება	5000.302	423	11.821		
	ჯამი	7421.609	424			
4	რეგრესია	3229.136	1	3229.136	325.804	.000 ^ბ
	ცდომილება	4192.473	423	9.911		
	ჯამი	7421.609	424			

შენიშვნა:^ა დამოკიდებული ცვლადი: მყიდველობითი განზიარება; ^ბ პხედიქტორები: ჩართულობა, ნდობა

მიღებული მონაცემების დამუშავებისათვის გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიული ანალიზის მოდელი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე (Malhotra, 2010):

$$Y_i = \beta_0 + \beta_1 X_i + e_i \quad (2)$$

სადაც: Y_i = დამოკიდებული ცვლადი; β_0 = წრფის კვეთა; β_1 = წრფის დახრილობა; X_i = დამოკიდებული ცვლადი (პრედიქტორი); e_i არის i -ურ დაკვირვებასთან დაკავშირებული შეცდომა.

(2) განტოლებაში მე-3 და მე-4 ცხრილების მონაცემების ჩასმით მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

$$\text{ჩართულობა } (\hat{Y}) = 7.440 + 0.213 (\text{აქტიურობა}) \quad (3)$$

$$\text{ნდობა } (\hat{Y}) = 6.595 + 0.228 (\text{აქტიურობა}) \quad (4)$$

$$\text{მყიდველობითი განზრახვა } (\hat{Y}) = 7.682 + 0.546 (\text{ჩართულობა}) \quad (5)$$

$$\text{მყიდველობითი განზრახვა } (\hat{Y}) = 4.240 + 0.858 (\text{ნდობა}) \quad (6)$$

(3) და (4) განტოლებები საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობის ერთი ერთეულით მატება ზრდის მომხმარებელთა ჩართულობას 0.213 ერთეულით, ხოლო მომხმარებელთა ნდობას 0.228 ერთეულით. (5) განტოლებებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მომხმარებელთა ჩართულობის ერთი ერთეულით მატება განაპირობებს მყიდველობითი განზრახვის 0.546-ით ერთეულით ზრდას. (6) განტოლება გვიჩვენებს, რომ მომხმარებელთა ნდობის ერთი ერთეულით ზრდა იწვევს მყიდველობითი განზრახვის 0.858-ით ერთეულით მატებას.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული გამოყენება

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარკეტოლოგებისათვის ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილ შეხედულებებს, რაც მათ უნდა გაითვალისწინონ სოციალური მედიის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების გამოყენებისათვის. კვლევის შედეგები დაეხმარება საქართველოს ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ კომპანიებს, სოციალური მედია-მარკეტინგის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების შესახებ გლობალური ხედვის ჩამოყალიბებაში, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, განსაზღვრონ ადგილობრივი ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

კვლევის შეზღუდვები

გამომდინარე იქიდან, რომ ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ როგორია სოციალური მედიის მზარდი გავლენა მომხმარებლების მიერ ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მყიდველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კვლევის ჩატარებისას გათვალისწინებული იყო რამდენიმე შეზღუდვა. უნინარეს ყოვლისა, კვლევისათვის საჭირო რესპონდენტების რაოდენობა შეზღუდული იყო პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. კერძოდ, კვლევაში გამოყენებული შერჩევა ნაკლებად რეპრეზენტაციულია მთლიანი გენერალური ერთობლიობისათვის, უპირველესად, ყველა ასაკობრივ კატეგორიასთან მიმართებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 24 წელზე ზევით ასაკობრივი კატეგორია. კვლევა, ძირითადად, ორიენტირებული იყო 18-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მთლიან

პოპულაციად, თუმცა, საქართველოში ინტერნეტისა და სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობის უდიდესი წილი, სწორედ, ამ ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლებმა, კვლევა, უმეტესწილად, დაეფუძნა დედაქალაქის (თბილისის) მომხმარებელთა გამოკითხვას. ასეთი შეზღუდვა გამომდინარეობდა იქიდან, რომ სწორედ თბილისზე მოდის საქართველოს მცხოვრებთა და, შესაბამისად, ინტერნეტმომხმარებელთა უდიდესი ნაწილი.

მიმართულებები მომავალი კვლევებისათვის

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საფუძველს საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობისა და შესაბამისი სამომხმარებლო ქცევის შემდგომი შესწავლისათვის. ეს კვლევა იძლევა არაერთ საინტერესო შესაძლებლობას შემდგომი კვლევის ჩატარებისათვის. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობის გავლენას მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და ლოიალურობაზე. ასეთი მარკეტინგული კამპანიების დიზაინი და გამოყენება ქართული რეალობისათვის უცნობია და მომავალი კვლევებისათვის საინტერესო შესაძლებლობებს ქმნის. სამომავლო კვლევებმა უნდა დაადგინოს, თუ როგორ ახდენს გავლენას ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მედია-მარკეტინგული აქტივობით კმაყოფილება და ლოიალურობა მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი მომხმარებლები განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმართ და სამედიცინო მომსახურების მისაღებად ონლინსივრცეს სულ უფრო ხშირად იყენებენ. ასევე გაიზარდა მომხმარებლების მიერ სოციალურ მედიაში ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციისა და რეკომენდაციების მოძიების სიხშირე. მართალია, საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე არსებული ჯანდაცვის ორგანიზაციები ფლობენ ოფიციალურ ანგარიშებს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში, თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, ქართველი მომხმარებლები ასეთი ანგარიშების მიმართ მაინც საშუალო დონის აქტივობას ავლენენ და სოციალურ მედიაში განთავსებული ინფორ-

რმაცის მიმართ მათი ნდობა არც თუ ისე მაღალია. რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური მედია-მარკეტინგული აქტივობა დადებითად აისახება ქართველი მომხმარებლების სოციალურ მედიაში ჩართულობასა და ნდობაზე. თავის მხრივ, მომხმარებლების სოციალურ მედიაში ჩართულობა და ნდობა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე. კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ცვლადებს შორის დადებით დამოკიდებულებებს ასახავს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სფეროში სოციალური მედია მარკეტინგი უფრო პოპულარული გახდეს, საჭიროა სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება. ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სოციალურ მედიაში მეტი ინტეგრაცია ზედმეტი ხარჯების განწევა კი არა, ბაზარზე მომხმარებელთა მოზიდვის და კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საშუალებაა. ვფიქრობთ, ამისათვის ჯანდაცვის ორგანიზაციებს მხარში უნდა ამოუდგეს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები და მოახდინონ მრავალმხრივი შეხვედრების ორგანიზება სოციალური მედია-მარკეტინგის პოპულარიზაციის მიზნით. მაგალითად, შესაძლებელია ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური კამპანიების წამოწყება, რომლის მიზნობრივი აუდიტორია, ძირითადად, სოციალური მედიის მომხმარებლები იქნება.

- ჯანდაცვის ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა გააქტიურდნენ სოციალურ მედია პლატფორმებზე და მომხმარებლებთან წარმართონ უშუალო, პირად შეტყობინებებზე დაფუძნებული კომუნიკაცია. მიზანშეწონილია, ყველა სამედიცინო დაწესებულებას ჰქონდეს სოციალური მედიის სამსახური და მის საქმიანობაში მეტი რესურსი ჩადოს. ასეთი სამსახურის წარმომადგენლებმა უნდა იზრუნონ საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებასა და მომხმარებლებთან ურთიერთობებზე.

- ვინაიდან საქართველოში მოსახლეობის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მონიტორინგის კულტურა დაბალ დონეზეა, სოციალური მედია შეიძლება გახდეს იდეალური საშუალება ასეთი სახის ინფორმაციის გასავრცელებლად. ამას თან მოჰყვება ორმაგი ეფექტი. პირველია სამედიცინო დაწესებულების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა, ხოლო მეორე - საქართველოს მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის თვითკონტროლის

დონის ამაღლება. სოციალური მედიის მეშვეობით მომხმარებლებს უნდა მიეწოდოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი რჩევები, რაც საინტერესო, ავთენტური და გამოსადეგი იქნება. ამისთვის მიზანშეწონილია სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება ექიმებით, დიზაინერებით, მარკეტოლოგებით და სოციალური მედიის სპეციალისტებით. ექიმებმა უნდა უზრუნველყონ კონტენტის ტექსტური ნაწილის მომზადება, დიზაინერმა უნდა შექმნას ვიზუალური კონტენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ტექსტის შინაარსთან, მარკეტოლოგმა დიზაინერს უნდა მიანოდოს დიზაინში გამოსაყენებელი მასალა. ამ ყველაფერს კი კოორდინაცია უნდა გაუწიოს სოციალური მედიის სპეციალისტმა, რომელიც საბოლოოდ განათავსებს კონტენტს სოციალური მედიის პლატფორმებზე და განახორციელებს მის მართვას. ეს არის კარგი შესაძლებლობა სამედიცინო დაწესებულებისთვის, შესაბამისი პლატფორმა შექმნან და პაციენტებს დისტანციურად კონსულტაცია გაუწიონ. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე რთული იქნება მომხმარებელთა ნდობის მოპოვება, მაგრამ თანდათან, პაციენტთა რიცხვის ზრდასთან ერთად, ნდობის ხარისხიც გაიზრდება.

- ქართველი მომხმარებელი არ არის მიჩვეული სამედიცინო სერვისების ხარისხის შეფასების ფიქსირებას სოციალურ მედიაში. ბევრ ქვეყანაში შეფასებების არსებობა საკმაოდ მნიშვნელოვანია სამედიცინო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ უარყოფითი შეფასებები არ მიიღონ. ეს არის ერთგვარი სისტემა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი სამედიცინო დაწესებულებას ხარისხის გაუმჯობესებას აიძულებს. ყოველივე ამის შედეგად გაიზრდება სამედიცინო სერვისების ხარისხი, რაც დადებითად აისახება ორივე მხარეზე - კლინიკებზეც და მომხმარებელზეც.

ლიტერატურა:

References:

- Abid A., Roy S. K., Lees-Marshment, J., Dey B. L., Muhammad S. S. & Kumar S. (2023). Political Social Media Marketing: A Systematic literature Review and Agenda for Future Research. *Electronic Commerce Research*, 1-36.
- Anderson S.T., Nasr L. & Rayburn S.W. (2018). Transformative Service Research and Service Design: Synergistic Effects in Healthcare. *Service Industries Journal*, 38(1-2), 99-113.

- Baabdullah A. M., Alalwan A. A., Rana N. P., Kizgin H. & Patil P. (2019). Consumer Use of Mobile Banking (M-Banking) in Saudi Arabia: Towards an Integrated Model. *International Journal of Information Management*, 44, 38-52.
- Brodie R. J., Ilic A., Juric B. & Hollebeek L. (2013). Consumer Engagement in a Virtual Brand Community: An Exploratory Analysis. *Journal of business research*, 66(1), 105-114.
- Bryman A., & Bell E. (2011). *Business Research Methods*. 3rd Edition. New York: Oxford University Press.
- Carlsson-Szlezak P., Reeves M., & Swartz P. (2020). What Coronavirus Could Mean for the Global Economy. *Harvard Business Review*, 3.
- Ceglaz A., Beneking A., Ellenbeck S., & Battaglini A. (2017). Understanding the Role of Trust in Power Line Development Projects: Evidence from Two Case Studies in Norway. *Energy Policy*, 110, 570-580.
- Chaves Prasetya T. A. E. & Wardani R. W. K. (2023). Systematic Review of Social Media Addiction Among Health Workers During the Pandemic Covid-19. *Heliyon*, 9(6), e16784.
- Chen Y.Y., Li C.M., Liang J.C. & Tsai C.C. (2018). Health Information Obtained From the Internet and Changes in Medical Decision Making: Questionnaire Development and Cross-Sectional Survey. *Journal of Medical Internet Research*, 20(2), e47.
- Chiu C. M., Hsu M. H., Lai H. & Chang C. M. (2012). Re-Examining the Influence of Trust on Online Repeat Purchase Intention: The Moderating Role of Habit and its Antecedents. *Decision Support Systems*, 53(4), 835-845.
- Colicev A., Malshe A., Pauwels K. & O'Connor P. (2018). Improving Consumer Mindset Metrics and Shareholder Value Through Social Media: the Different Roles of Owned and Earned Media, *Journal of Marketing*, 82(1), 37-56.
- Dodokh A., & Al-Maaitah M. A. (2019). Impact of Social Media Usage on Organizational Performance in the Jordanian Dead Sea Cosmetic Sector. *European Journal of Business and Management*, 11(2), 75-91.
- Dolan R., Conduit J., Fahy J. & Goodman S. (2016). Social Media Engagement Behaviour: a Uses and Gratifications Perspective, *Journal of Strategic Marketing*, 24(3-4), 261-277.
- Farsi D. J. (2021). Social Media and Health Care, Part I: Literature Review of Social Media Use by Health Care Providers. *Journal of Medical Internet Research*, 23(4), e23205.
- Freire Y., Sánchez M. G., Suárez A., Joves G., Nowak M. & Díaz-Flores García V. (2023). Influence of the Use of Social Media on Patients Changing Dental Practice: a Web-Based Questionnaire Study. *BMC Oral Health*, 23(1), 365.
- Ghalavand H., Panahi S. & Sedghi S. (2020). Opportunities and Challenges of Social Media for Health Knowledge Management: A Narrative Review. *Journal of Education and Health Promotion*, 9, 1-5.
- Hajli N., Sims J., Zadeh A. H., & Richard M. O. (2017). A Social Commerce Investigation of the Role of Trust in a Social Networking Site on Purchase Intentions. *Journal of Business Research*, 71, 133-141.

- Harmeling C.M., Moffett J.W., Arnold, M.J. & Carlson B. D. (2017). Toward a Theory of Customer Engagement Marketing. *Journal of the Academy of Marketing Science*, 45(3), 312-335.
- Hawkins J. B., Brownstein J. S., Tuli G., Runels T., Broecker K., Nsoesie E. O. & Greaves F. (2016). Measuring Patient-Perceived Quality of Care in US Hospitals Using Twitter. *BMJ quality & safety*, 25(6), 404-413.
- Healthcare and Social Issues Committee of the Parliament of Georgia. (2017). Vision for Developing the Healthcare System in Georgia by 2030. Tbilisi, Parliament of Georgia. Retrieved December 20, 2023, from http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/81366/Health_Strategy_Eng
- Hollebeek L. D., Glynn M. S. & Brodie R. J. (2014). Consumer Brand Engagement in Social Media: Conceptualization, Scale Development and Validation. *Journal of Interactive Marketing*, 28(2), 149-165.
- Hollebeek L. D., Srivastava R. K. & Chen T. (2019). SD Logic–Informed Customer Engagement: Integrative Framework, Revised Fundamental Propositions, and Application to CRM. *Journal of the Academy of Marketing Science*, 47(1), 161-185.
- Hong I. B., & Cha H. S. (2013). The Mediating Role of Consumer Trust in an Online Merchant in Predicting Purchase Intention. *International Journal of Information Management*, 33(6), 927-939.
- Hung C. L., Wu J. H., Chen P. Y., Xu X., Hsu W. L., Lin L. M. & Hsieh M. C. (2023). Enhancing Healthcare Services and Brand Engagement Through Social Media Marketing: Integration of Kotler's 5A Framework with IDEA Process. *Information Processing & Management*, 60(4), 103379.
- Huppertz J. W. & Otto P. (2018). Predicting HCAHPS Scores from Hospitals' Social Media Pages: A Sentiment Analysis. *Health care management review*, 43(4), 359-367.
- Hutter K., Hautz J., Dennhardt S. & Füller J. (2013). The Impact of User Interactions in Social Media on Brand Awareness and Purchase Intention: the Case of MINI on Facebook. *Journal of Product & Brand Management*, 22(5-6), 342-351.
- Jackson M., Brennan L. & Parker L. (2021). The Public Health Community's Use of Social Media for Policy Advocacy: a Scoping Review and Suggestions to Advance the Field. *Public Health*, 198, 146-155.
- Kamarudin Y., Low, D. F. F. Sulaiman A., Zulhusmi A. M. & Zakaria N. N. (2022). Social Media Use and Marketing within the Orthodontic Practice in Malaysia. *Archives of Orofacial Science*, 17(1), 87-100.
- Khan I., Saleh M. A., Quazi, A. & Johns R. (2021). Health Consumers' Social Media Adoption Behaviours in Australia. *Health Informatics Journal*, 27(2), 14604582211009917.
- Kostygina G., Tran H., Binns S., Szczypka G., Emery S., Vallone D. & Hair E. (2020). Boosting Health Campaign Reach and Engagement Through Use of Social Media Influencers and Memes. *Social Media+ Society*, 6(2), 1-12.
- Krejcie R. V. & Morgan D. W. (1970). Determining Sample Size for Research Activities. *Educational and Psychological Measurement*, 30(3), 607-610.

- Kumar V. & Pansari A. (2016). Competitive Advantage Through Engagement. *Journal of Marketing Research*, 53(4), 497-514.
- Kwortnik Jr, R. J. & Han X. (2011). The Influence of Guest Perceptions of Service Fairness on Lodging Loyalty in China. *Cornell Hospitality Quarterly*, 52(3), 321-332.
- Li Y., Wang X., Lin X. & Hajli, M. (2018). Seeking and Sharing Health Information on Social Media: A Net Valence Model and Cross-Cultural Comparison. *Technological Forecasting and Social Change*, 126, 28-40.
- Malhotra N. (2010). *Marketing Research: An Applied Orientation*. 6th ed., Upper Saddle River N.J.; London: Pearson Education.
- Manzoor U., Baig S. A., Hashim M. & Sami A. (2020). Impact of Social Media Marketing on Consumer's Purchase Intentions: the Mediating Role of Customer Trust. *International Journal of Entrepreneurial Research*, 3(2), 41-48.
- Manzoor U., Baig S. A., Hashim M. & Sami A. (2020). Impact of Social Media Marketing on Consumer's Purchase Intentions: the Mediating Role of Customer Trust. *International Journal of Entrepreneurial Research*, 3(2), 41-48.
- Mladenović D., Todua N. & Pavlović-Höck N. (2023). Understanding Individual Psychological and Behavioral Responses During COVID-19: Application of Stimulus-Organism-Response Model. *Telematics and Informatics*, 79, 101966.
- Mondal T., Jayadeva S. M., Pani R., Subramanian M., & Sumana B. (2022). E Marketing Strategy in Health Care Using IoT and Machine Learning. *Materials Today: Proceedings*, 56, 2087-2091.
- National Statistics Office of Georgia. (2023). Retrieved December 20, 2023, from <https://www.geostat.ge/en>
- Nunnally J.C. (1967). *Psychometric Theory*. New York, NY: McGraw-Hill Book Company.
- Oosthuizen D., Spowart J. & De Meyer-Heydenrych C. F. (2015). The Relationship Between Perceived Price and Consumers' Purchase Intentions of Private Label Wine Brands. *African Journal of Hospitality, Tourism and Leisure*, 4(2), 1-17.
- Pansari A., & Kumar, V. (2017). Customer Engagement: the Construct, Antecedents, and Consequences. *Journal of the Academy of Marketing Science*, 45(3), 294-311.
- Pilon L., Foster A., Zimmerman P. A., & Macbeth D. (2023). The Role of Online Marketing to Engage Healthcare Workers with Infection Prevention and Control Information and Resources: A Pilot Study. *Infection, Disease & Health*, 28.
- Pirson M., Martin K. & Parmar B. (2017). Formation of Stakeholder Trust in Business and the Role of Personal Values. *Journal of Business Ethics*, 145(1), 1-20.
- Prasetya T. A. E. & Wardani R. W. K. (2023). Systematic Review of Social Media Addiction Among Health Workers During the Pandemic Covid-19. *Heliyon*, 9(6), e16784.
- Rahman Z. (2017). The Impact of Social Media Engagement Metrics on Purchase Intention: A Study on Brand Fan Page Followers. *LUMEN Proceedings*, 1, 665-681.
- Renu N. (2021). Innovative Healthcare Marketing Strategies during COVID-19. *Journal of Marketing Management*, 9(2), 45-49.

- Rezvani S., Dehkordi G. J., Rahman M. S., Fouladivanda F., Habibi, M. & Eghtebasi S. (2012). A Conceptual Study on the Country of Origin Effect on Consumer Purchase Intention. *Asian Social Science*, 8(12), 205-215.
- Saunders M., Lewis P. & Thornhill A. (2019). *Research Methods for Business Students*. 8th ed., Harlow: Pearson Education Ltd.
- Schivinski B., Christodoulides G. & Dabrowski D. (2016). Measuring Consumers' Engagement with Brand-Related Social Media Content: Development and Validation of a Scale that Identifies levels of Social Media Engagement with Brands. *Journal of Advertising Research*, 56(1), 64-80.
- Swan E.L., Dahl A.J. & Peltier J.W. (2019). Health-Care Marketing in an Omni-Channel Environment: Exploring Telemedicine and Other Digital Touchpoints. *Journal of Research in Interactive Marketing*, 13(4), 602-618.
- Todua N. & Jashi Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 12(2), 183-190.
- Toor A., Husnain M., & Hussain T. (2017). The Impact of Social Network Marketing on Consumer Purchase Intention in Pakistan: Consumer Engagement as a Mediator. *AJBA*, 10(1), 167-199.
- Viswanathan V., Malthouse E. C., Maslowska E., Hoornaert S. & Van den Poel D. (2018). Dynamics Between Social Media Engagement, Firm-Generated Content, and live and Time-Shifted TV Viewing. *Journal of Service Management*, 29(3), 378-398.
- Wang J. C., & Chang C. H. (2013). How Online Social Ties and Product-Related Risks Influence Purchase Intentions: A Facebook Experiment. *Electronic Commerce Research and Applications*, 12(5), 337-346.
- Wang S. S. & Stefanone M. A. (2013). Showing Off? Human Mobility and the Interplay of Traits, Self-disclosure, and Facebook Check-Ins. *Social Science Computer Review*, 31(4), 437-457.
- Wang Z. & Kim H. G. (2017). Can Social Media Marketing Improve Customer Relationship Capabilities and Firm Performance? Dynamic Capability Perspective. *Journal of Interactive Marketing*, 39, 15-26.
- World Health Organization. Regional Office for Europe, European Observatory on Health Systems and Policies, Richardson E. & Berdzuli, N. (2017). Georgia: health System Review. World Health Organization. Regional Office for Europe. Retrieved December 20, 2023, from <https://apps.who.int/iris/handle/10665/330206>
- Yadav M. & Rahman Z. (2017). Measuring Consumer Perception of Social Media Marketing Activities in E-commerce Industry: Scale development & validation. *Telematics and Informatics*, 34(7), 1294-1307.
- Zhou L., Zhang D., Yang C. C. & Wang Y. (2018). Harnessing Social Media for Health Information Management. *Electronic Commerce Research and Applications*, 27, 139-151.

The Impact of Social Media Marketing Activities on Purchase Intentions of Healthcare Consumers

Nugzar Todua

Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State
University
nugzar.todua@tsu.ge

Charita Jashi

Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State
University
charita.jashi@tsu.ge

Nia Todua

PhD Student
Iv. Javakhishvili Tbilisi
State University
nia.todua@tsu.ge

According to this study, social networks have become an essential part of the lives of Georgian consumers, and they use them frequently. Georgian consumers are increasingly using the Internet to obtain medical treatment and are especially interested in information linked to health. Nevertheless, it should be noted that COVID-19 has significantly altered its perspective on social media. As a result, individuals started to show greater interest in the details and deals offered by healthcare providers. Healthcare providers operating in Georgia's medical services industry have official social media profiles. Our research indicates that Georgian consumers demonstrate a reasonably low activity level. In addition, Georgian consumers do not trust the content shared on social media. Regression analysis revealed statistically significant values that show how customer engagement, trust, and behavioural intentions relate to social media activities offered by healthcare organizations. Additionally, linear regression models that account for the connections between the abovementioned variables are received. Using these models, we can determine how increased social media advertising activities may impact consumer behaviour.

Based on the study results, we considered it appropriate to make some recommendations.

- To make social media marketing more popular in the healthcare field in Georgia, it is necessary to hold various events. Healthcare organizations need to realize that more integration in social media is a way to attract consumers to the market and gain a competitive advantage rather than incur extra costs. For this, healthcare organizations should be supported by relevant government structures and organize multilateral meetings to promote social media marketing. For example, it is possible to launch various social campaigns related to healthcare, the target audience of which will be mainly social media users.

- Healthcare organizations must become more active on social media platforms and conduct direct, personal messaging-based communication with

consumers. It is advisable for all medical institutions to have a social media service and to invest more resources in its activities. Representatives of such a service should improve their image and reach out directly to customers.

- As the culture of self-health monitoring by the population in Georgia is low, social media can be an ideal place to disseminate this kind of information. This will have a double effect. One is that the number of users of the medical institution will increase, and the other is that the level of health self-control by the population of Georgia will also increase. Social media should provide users with health-related tips that will be interesting, authentic, and helpful. We consider it reasonable to create special groups, which will be staffed by doctors, designers, marketers, and social media specialists. Physicians must ensure the preparation of the textual part of the content, and the designer must create visual content that will be consistent with the content of the text. The marketer must provide the designer with the material for the design. All of this should be coordinated by a social media specialist who will eventually place the content on social media platforms and ensure its management. This is an excellent opportunity for the medical facility to set up an appropriate platform and consult patients remotely. Of course, gaining consumers' trust in the first stage will be challenging, but gradually, as the number of patients increases, the degree of confidence will also increase.

- Georgian consumers are not accustomed to writing reviews about the quality of medical services on social media. In many countries, having evaluations is very important for medical institutions. They do their best to avoid negative evaluations. It is a system through which the user forces the medical institution to improve the quality. As a result, the quality of medical services increases, which positively impacts both parties, clinics and customers.

The usage of social media marketing in the healthcare industry is affected by this research in several theoretical ways. First of all, it is essential to recognize that even though social media marketing activities are a very broad issue and have been the subject of much research, there still needs to be more in this field. This means theoretical research needs to be done to establish a connection between medical organizations' social media marketing activities and variables such as customer engagement, trust, and behavioural intention that impact consumer behaviour. The relationship between these variables is established in part by this study. However, we discovered that the social media marketing activity factors we chose based on the research were significant and relevant to the healthcare sector. The study acknowledges the significance of social media marketing initiatives to guarantee the growth of consumer behaviour in the medical

services market, which enhances the amount of information already known in this area. In conclusion, this study provided a multitude of data that may be applied in further investigations to acquire a more profound understanding of the influence of social media marketing on customer behaviour.

From the managerial perspective, this study's primary contributions are as follows: First, managers working in the health industry will benefit from the study's findings as they expand their knowledge of how social media marketing initiatives may be useful tools for connecting with current and prospective customers. Secondly, companies in the health industry might use the research results to inform their business plan preparation. Third, by better understanding their consumers' purchasing perceptions, healthcare providers will be able to create marketing strategies that will assist them in reaching their objectives.

Keywords: Social Media, Health Care, Consumer Behavior, Marketing Research.

JEL Codes: I10, I11, D11, M31

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები საერთაშორისო და საქართველოს ბაზარზე

ნანა კაციტაძე

ასოციირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.katsitadze@tsu.ge

ელისაბედ ბაღიაშვილი

პროფესორი
საქართველოს დავით
აღმაშენებლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Elza_b2008@yahoo.com

მაჩიამ ქუთათელაძე

დოქტორანტი
ივ. ჯავახიშვილის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელმწიფო უნივერსიტეტი
mari_q4@yahoo.com

ნაშრომში გამოკვლეულია სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ახალი ტენდენციები საერთაშორისო და საქართველოს ბაზარზე. მსოფლიოს გლობალური სასტუმრო ქსელების განვითარების უხილავი შედეგების ანალიზისა და მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების დინამიკის მიმოხილვის საფუძველზე, გაკეთებულია ახგუმენტირებული დასკვნები.

გლობალური მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილ სასტუმროთა რაოდენობის ზრდა, ასევე ბიზნესების, სანომხე ფონდისა და სასტუმროთა დატვირთვის მაგების დინამიკა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მსოფლიო ტურისტული ბაზარზე ახსებული გლობალური სასტუმრო ქსელების საქმიანობა, დინამიკურად განაგრძობს აღმასვლას. კიბისის შემდგომ პერიოდში, ახალ გეოგრაფიულ რეგიონებში, გაგრძელდა ტურისტული ელგინაციების განვითარება, ვიზიტორების მხიდან ტურისტული მარშუტებში მოთხოვნის გაზრდის გამო. გამოიკვეთა აზია-წყნარი ოკეანისა და ამერიკა-აფრიკა-ახლო აღმოსავლეთის რეგიონების (ასევე, ქვერეგიონების) მიმართებით საგრძობად უპიჩატესი მდგომარეობა მსოფლიოს სასტუმრო მომსახურების ბაზრის პოტენციალის გადაადგილებასთან მიმართებით.

საქართველოს სასტუმრო მომსახურების ბაზრით დაინტერესებულები ახიან მსოფლიო ოპორტუნის, როგორც ამერიკული და ევროპული, ასევე, აზია-წყნარი ოკეანის ჯგუფის უმსხვირები ქსელები, რაზეც მეტყველებს 2019 წლიდან უცხოური ბიზნესების განთავსება რვენი ქვეყნის რეგიონებში, რომელთა რიცხვის სამომავლოდ გაზრდის საფუძველს იძლევა მიმდინარე და უკვე დაგეგმილი პროექტები. აქედან გამომდინარე, ავტორებს მიჩნიათ, რომ გლობალური ბიზნესების სასტუმროების შექმნა რეგიონებსა და ბიუჯეტურ სექტორში გრძელვადიან პერიოდში შეიძლება აღმორჩედს პრობლემური ადგილობრივი სასტუმრო ბიზნესისთვის.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო ინდუსტრია, ტურიზმი, გლობალური სასტუმრო ქსელები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის - გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების პირობებში, საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერი ვითარება - პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი და სხვა, კომპლექსურად განიხილება. ამ მიდგომას ეყრდნობა ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესებიც, ტურიზმი დინამიკურობით, მრავალფეროვნებითა და მაღალმგრძობელობით გამორჩეული, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის უდიდესი და სწრაფად მზარდი სფეროა, რომელზეც მიბმულია ასევე მსოფლიოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორის, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება (Katsitadze, N., Nacvlshvili, I. 2020; Korganashvili, L., Kharadze, N, 2014).

სასტუმრო კომპანიებს, ემსახურებიან რა ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს, თავიანთი ეფექტური ფუნქციონირებით შეუძლიათ დიდი სარგებელი მოუტანონ როგორც საკუთარ ფირმებს, ასევე - ქვეყანას, სადაც ისინი ოპერირებენ. ბევრ ქვეყანაში ძირითადი შემოსავლის წყაროდ, ტურიზმთან ერთად მასპინძლობის სექტორი, მათ შორის, სასტუმრო ინდუსტრია სახელდება, რაზედაც მეტყველებს მისი ეკონომიკური მაჩვენებლები.

პანდემიამდე, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია (მისი პირდაპირი, ირიბი და იძულებითი ზეგავლენის ეფექტების მხედველობაში მიღებით) აღრიცხავდა “ყოველ მეხუთე ახალ სამუშაო ადგილს, რომელიც იქმნებოდა მსოფლიოს მასშტაბით 2014-2019 წლებში. ასევე, აღნიშნული სექტორი მოიცავდა ყველა სამუშაო ადგილის 10.3%-ს. 2019 წლის მონაცემებით, ტურიზმის წილი მსოფლიოს მშპ-ში განისაზღვრა 10 ტრლნ აშშ დოლარით, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯმა შეადგინა 1,9 ტრლნ აშშ დოლარი.

2021 წელს ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ მსოფლიოს მთლიან მშპ-ში 5.8 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა (21.7%) და შექმნა 289 მლნ სამუშაო ადგილი. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღებით. აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 6.1%, ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან (WTTC, 2022).

2022 წელს „ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის კონტრიბუციამ მსოფლიოს მშპ-ში 7,6% შეადგინა (2019 წელთან შედარებით, 23%-ით ნაკლები). საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯები 2021 წელთან შედარე-

ბით გაიზარდა 81.9%-ით, მაგრამ 2019 წლის მონაცემებს ჩამორჩა 40.4%-ით (WTTC (2023)).

სასტუმრო ინდუსტრიამ პანდემიის შედეგად, ისევე როგორც მომხმარებელზე ორიენტირებულმა ნებისმიერმა სხვა ბიზნესმა, დიდი ზარალი განიცადა. 2020-2021 წლებში სასტუმრო ინდუსტრიის ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა რამდენიმე სავალალო რიცხვი, პანდემიამ გარკვეული დროით ცარიელი დატოვა სასტუმროს ლობი და სასტუმროს ოთახები. თუმცა, პანდემიამ უარყოფით ზეგავლენებთან ერთად გააჩინა დადებით სიახლეებიც, მაგალითად, როგორცაა - ახალი ტიპის მოგზაურების - „ციფრული მომთაბარეები“, რომლებიც სამუშაოს უთავსებენ დასვენებას და მოგზაურობას. ამ და სხვა ახლადწარმოქმნილმა გარემოებებმა გამოიწვია სასტუმროს ინდუსტრიის განვითარებაში სხვადასხვა მიმართულებით ცვლილებები, რომელიც აისახა როგორც მსოფლიო, ასევე ცალკეულ ქვეყნების სასტუმროს ბაზრებზე, რაც მეცნიერთა დაკვირვებისა და შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

სასტუმროების გლობალური ბაზარი

STR გლობალის 2023 წლის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში დაახლოებით 187,000 სასტუმროა 17.5 მლნ ოთახით. პანდემიამდე, ყველა კლასის (ბრენდირებული და არაბრენდირებული) სასტუმროების მომსახურების მიწოდების მაჩვენებელმა 2017 წელს (ბოლო 15 წლის დიაპაზონში) მაქსიმალურ ზღვარს (ზრდა 3.6%) მიაღწია, საერთაშორისო სასტუმრო კომპანიების შემოსავლებმა კი 497, 17 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (Worde Hospitality Report, 2017). პანდემიის შედეგად, 2021 წელს, ეს მაჩვენებელი 218,13 მლრდ-მდე დაეცა.

2023 წელისთვის პროგნოზირებულია სასტუმროებისა და კურორტების გლობალური ბაზრის 12,3%-იანი ზრდა, რაც თანხობრივად 1,5 ტრლნ დოლარს შეადგენს. ასევე, 2023 წელს დარგში შემოსავალმა 4.20% წლიური ზრდის ტემპი უნდა აჩვენოს. 2027 წლისთვის საპროგნოზო ბაზრის მოცულობა განისახლვრეა 483.40 მლრდ აშშ დოლარით. ამავე პერიოდისთვის სასტუმროს ბაზარზე მომხმარებელთა რაოდენობა 1,33 მლრდს უნდა მიაღწიოს. დარგში საშუალო შემოსავალი ერთ მომხმარებელიდან (ARPU) სავარაუდოდ იქნება 0,36 ათასი აშშ დოლარი. 2027 წლისთვის სასტუმროს გლობალურ ბაზარზე მთლიანი შემოსავლის 81% ონლაინ გაყიდვებით იქნება გენერირებული. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი იქნება შეერთებულ შტატებში -106,100.00 მლნ აშშ დოლ (Global Hotel Investment Outlook, 2023).

იმისათვის, რომ სწორად ავხსნათ საერთაშორისო სასტუმრო ბაზარზე დღეს არსებული მდგომარეობა და წარმატების საფუძვლები, საყურადღებოა სასტუმროთა განვითარებაში მომხდარი ცვლილებების და მისი გამომწვევი ფაქტორების შესწავლა. მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, სასტუმროთა საქმიანობაში განხორციელდა კარდინალური ცვლილებები, მხედველობაში გვაქვს მათი, როგორც სტრუქტურული, ასევე, ფუნქციონალური ნიშნით სრულყოფა და განვითარება. ეს მაშინ, როცა XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიო მასშტაბით სასტუმროები უმეტესწილად გვხვდებოდა მომხმარებელთა ინდივიდუალური საოჯახო ტიპის განთავსების (დროებითი საცხოვრებლის) ობიექტების სახით, რაც დღესაც პოპულურია მოგზაურთა შორის და მყარად ინარჩუნებს თავის მარკეტინგულ ნიშას (Katsitadze N., 2018).

სასტუმროების საქმიანობა, როგორც ეკონომიკური ინდუსტრია, ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. სასტუმროთა რაოდენობის ზრდას მოჰყვა მისი ორგანიზების ახალი ფორმების წარმოშობა - მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად გამართული სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, სასტუმროების გაერთიანების ქსელების სახით (Abuladze, K., 2022).

მსოფლიო თანამედროვე პრაქტიკა იცნობს სასტუმრო ქსელების სამ ძირითად ტიპს/კატეგორიას, როგორიცაა:

ა) ინტეგრირებული (კორპორატიული) სასტუმრო ქსელები, რომლებიც აწარმოებენ და ყიდნიან ერთგვაროვან პროდუქტს. სასტუმრო კორპორაციებს გააჩნიათ მრავალრიცხოვანი ბიზნესი, რომელსაც მართავენ პირდაპირ ან ირიბად - ფრანჩაიზინგის ინტეგრაციული სისტემის გამოყენებით ან მენეჯმენტის ხელშეკრულებით. ისინი მუდმივად ზრუნავენ სასტუმროთა რაოდენობის ზრდაზე და სასტუმრო მომსახურების ბიზნესში დომინირებული პოზიცია უჭირავთ. მსოფლიოში დღეისათვის არსებობს 300-ზე მეტი სასტუმრო კორპორაცია.

ბ) ტრანსნაციონალური კომპანიები რომლებიც აერთიანებენ დამოუკიდებელ სასტუმრო ერთეულებს და ეკონომიკურ ლიტერატურაში მოხსენიებული არიან, როგორც დამოუკიდებელი ბიზნესების ჯაჭვი. საერთაშორისო სასტუმრო ბიზნესების ორგანიზების ამ ფორმის განსაკუთრებული ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი ორიენტაცია დამოუკიდებელ კომპანიებში დაჯავშნის საერთო სისტემის, მარკეტინგული მასტიმულირებელი ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი სერვისების დანერგვასა და განვითარებაში.

გ) ქსელები, რომლებიც დაკავებულები არიან კომპანიებში მართვის მომსახურებით (Lockyer, T. 2007; Katsitadze, N., 2018).

სასტუმროთა ქსელის სამივე ძირითად ტიპს გააჩნია თანამედროვე საზოგადოებაში აღიარებული საკუთარი სავაჭრო ნიშანი, ბრენდი, მაგრამ მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ, სასტუმრო კორპორაციებსა და ქსელებს, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში, ძალისხმევა მუდმივად მიმართული აქვთ საკუთარი ბიზნესის პრესტიჟის, საქმიანი რეპუტაციის ამაღლებაზე, რაც შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ ბაზარზე მათი მყარი ლიდერობის მნიშვნელოვანი პირობაა (იხ ცხრილი 1).

2023 წლის გლობალურ რეიტინგში სასტუმროთა ქსელები სასტუმროთა რაოდენობისა და ოთახების ფლობის მიხედვით.

ცხრილი 1.

	საერთაშორისო სასტუმრო ქსელები	სასტუმრო-ების რაოდენობა	ოთახების რაოდენობა	ზრდა %
1	Marriott International (ამერიკული კომპანია)	8,294	1502513	+3,2
2	Jin Jiang Hotels Hilton (ჩინური კომპანია)	12,267	1240507	+3,1
3	Hilton (ამერიკული კომპანია)	7085	1113727	+3,1
4	ING (ამერიკული კომპანია)	6136	902805	+3,6
5	Wyndham (ამერიკული კომპანია)	9059	852510	+4,0
6	Acoor Group (ფრანგული კომპანია)	5445	802269	+3,2
7	N. Wordd Group (ამერიკული კომპანია)	7043	724141	+4,2
8	Choice Hotel (ამერიკული კომპანია)	7487	627804	+8,3
9	BTH Hotel (ჩინური კომპანია)	5888	465829	-2,0
10	OYO Hotel (ინდური კომპანია)	16128	379151	-12,0

წყარო: <https://hotelmarketplace.co/wp-content/uploads/JLL-2023-Global-Hotel-Investment-Outlook.pdf>

მსოფლიო სასტუმრო მომსახურების ბაზარი წლების განმავლობაში განიცდიდა გაჩვეულ ცვლილებებს კონკურენტული ქსელების მიერ დიდხი პოზიციების დაკავებასთან მიმახთებით, ხაც განპირობებუდია თავად ოპეიატორ-ხი კომპანიების ქცევითა და შესაბამისი პოლიტიკის გატარებით საკუთარ ბიზნეს-საქმიანობასთან მიმართებით. გარკვეულმა ნაწილმა საერთოდ დატოვა სასტუმრო მომსახურების ბაზარი, მაგალითად, ისეთმა უმსხვი-ლესმა კომპანიამ, როგორიც იყო „Starwood Hotels“ and „Resorts“-ის ქსელი. ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაპიტალის მფლობელმა სასტუმ-როების ქსელმა - Inter Continental Hotels Group, 2016 წელს 13 მლრდ დო-ლარის ღირებულებით შეისყიდა მისი აქტივები, რომელიც აერთიანებდა სასტუმროების 30 ბრენდს და კურორტების ქსელებს.

2012-2019 წლების გლობალურ რეიტინგში სასტუმროთა ქსელები სასტუმროთა რაოდენობისა და ოთახების ფლობის მიხედვით

ცხიილი 2.

პოზიციები				2012		2019	
2012	2019	2023	კომპანიების დასახელება	სასტუმ-რის რაოდ.	ოთახების რაოდ.	სასტუმ-რის რაოდ.	ოთახების რაოდ.
3	1	1	Marriott International (ამერიკული კომპანია)	3,537	617,834	7,165	1,348,532
-	2	2	Jin Jiang Hotels Hilton (ჩინური კომპანია)			10,200	1,081,230
2	4	3	Hilton (ამერიკული კომპანია)	3,843	633,248	6,110	971,780
1	5	4	ING (ამერიკული კომპანია)	5656	842,759	5,903	883,563
4	6	5	Wyndham (ამერიკული კომპანია)	7,205	613,126	9,280	831,025
5	7	6	Acoor Group (ფრანგული კომპანია)			5,03	739,537
-	9	7	Huazhu Hotels Group (შეიძინა Deutsche Hospitality Group 2023 წლიდან შეიცვალა სახელი -N. Wordd Group) (ჩინური კომპანია)			536,876	7,158

6	8	8	Choice Hotel (ამერიკული კომპანია)	6,023	502460	590,897	7,153
	10	9	BTG Hotel (ჩინური კომპანია)			414,952	4,450
	3	10	OYO Hotel (ინდური კომპანია)			45,600	1,054,000
7	-	-	Starwood Hotels and Resorts შეერთა Marriott International 2016 წ-ს				
8	-	-	Best Western (გაერთიანებული სამეფო) დღეს შედის - BWH Hotels ჯგუფში				
9	-	-	Home Inns“ (+ Motel 168) შეიძინა BTG Hotel (ჩინ) 2015წ-ს				
10	-	-	Carlson Rezidor Hotel Group (შვედური კომპანია) 2016 წლიდან შეიძინა Jin Jiang Hotels Hilton (ჩინური კომპანია)				

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ ინფორმაციაზე დაყრდნობით: 1.<https://hotelmarketplace.co/wp-content/uploads/JLL-2023-Global-Hotel-Investment-Outlook.pdf>;
2.<https://hospitality-on.com/en/developpement/2022-world-hotel-group-rankings-behind-apparent-calm-there-are-fundamental-movements>;

2019-დან 2022 წლების ჩათვლით, მსოფლიო სასტუმრო მომსახურების ბაზარზე გამოჩნდა ახალი ლიდერებიც და შესაბამისად, შეიცვალა ტოპ ათეულში შემავალი ქსელების პოზიციებიც. ასე, მაგალითად: თუკი 2012 წლის მონაცემებით, მსოფლიოს უდიდეს სასტუმრო ქსელების ტოპ ათეულს ძირითადად ამერიკული ოპერატორები (ბრიტანულთან და ფრანგულთან ერთად) წარმოადგენდნენ. 2019 წელს მოწინავე პოზიციებზე გამოჩნდნენ აზია-წყნარი ოკეანის ჯგუფის უმსხვილესი კომპანიები. გლობალურ სასტუმრო ბაზრის ტოპ ათეულში მე-2 და მე-9 პოზიციები დაიკავეს ჩინურმა ქსელებმა -Jin Jiang Hotels და BTH Hotel -მა, ხოლო მე-10 ადგილზე განთავსდა ინდური ქსელი - OYO Hotels & Homes (იხ ცხრილი 1, 2.). 2019 წელს სასტუმროს ოცეულში მოხვდა 7 ჩინური სასტუმროთა ქსელების ჯგუფები .

2012 - 2023 წლების პერიოდში ამერიკული წარმომავლობის Marriott International-მა გაზარდა სასტუმროთა რაოდენობა, მათ შორის საქართველოში და დღეის მდგომარეობით ოპერირებენ, როგორც ქვეყნის დედაქალაქში ასევე რეგიონებში. ეს სასტუმროებია: Tbilisi Marriott Hotel, Paragraph Resort & Spa Shekvetili, Autograph Collection, Courtyard by Marriott, Moxy Hotels Sheraton Metechi Palace, Sheraton Batumi, Courtyard by Marriott Tbilisi, Courtyard by Marriott Batumi (GNTA 2022).

საქართველოს სასტუმრო მომსახურების ბაზრით ასევე დაინტერესდნენ ზემოთ დასახელებული მსოფლიო ტოპ-ათეულის სხვა გლობალური ქსელებიც, რომლებმაც 2019 წლიდან განათავსეს საკუთარი ბრენდები ჩვენი ქვეყნის არაერთ რეგიონში, კერძოდ (გალტ & თაგარტის კვლევები 2022):

- ჩინურმა ოპერატორმა Jin Jiang Hotels-მა გახსნა Golden Tulip Borjomi, და Golden Tulip Design Tbilisi;
- ამერიკული ქსელმა Hilton-მა - Hilton Batumi, და - Hilton Garden Inn Tbilisi;
- ბრიტანულმა InterContinental Hotels Group (IHG)-მა გახსნა Holiday Inn Tbilisi, Holiday Inn Telavi, Crown Plaza Borjomi, Holiday Inn Express Tbilisi Avlabari;
- ამერიკულმა ქსელმა Wyndham Hotel Group-მა გახსნა Wyndham Grand Tbilisi; Ramada by Wyndham Tbilisi Old City“; „Ramada Encore by Wyndham Tbilisi; „Wyndham Batumi;
- ფრანგულმა ქსელმა Accor Group-მა გახსნა Mercure Tbilisi Old Town; Ibis Budget Tbilisi Center. Ibis Tbilisi Stadium, Ibis Styles Tbilisi Center, Pullman Tbilisi Axis Towers;
- Millennium&Cophthorne Hotels (M&C) Millennium Hotels and Resorts (MHR) გახსნა The Biltmore Hotel Tbilisi.

გლობალური ქსელების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნილ სასტუმროთა რიცხოვნობის ზრდა, ასევე, ბრენდების, სანომრე ფონდისა და სასტუმროთა დატვირთულობის მატების დინამიკა, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე არსებული გლობალური ქსელების საქმიანობა (გადატანილი მძიმე პერიოდის - პანდემიის მიუხედავად), აჩვენებს მის მაღალეფექტიანობას სასტუმრო ბიზნესის წარმოებისას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო ბაზარებზე, რასაც განაპირობებს მთელი რიგი გარემოება, როგორიცაა: სასტუმრო ქსელების ერთიან მონაცემთა ბაზა, ერთიანი ფინანსური სისტემა, ერთიანი სარეკლამო პროგრამები და საინფორმაციო მხარდაჭერა, პერსონალის

გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ერთიანი სისტემის ფარგლებში, პროფესიული გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობები, კვლევების ჩატარებისათვის ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიები, ერთიანი დაჯავშნის სისტემა, რაც ხელს უწყობს სასტუმროების მაქსიმალურ დატვირთვას. განვითარების აღნიშნული მიმართულებები საშუალებას აძლევს სასტუმრო კომპანიებს მეტი ეფექტიანობის მისაღებად გადააჯგუფონ თავიანთი რესურსები და მოიზიდონ დამატებითი რესურსები (Lockyer, T. 2007; Katsitadze, N., 2018).

სასტუმრო ბიზნესში დღემდე სამენეჯმენტო კონტრაქტების პოპულარობის მიუხედავად, ფრენჩაიზინგი მაინც რჩება ექსპანსიის პოპულარულ ფორმად მთელ მსოფლიოში. ამერიკული სასტუმრო ბიზნესის განვითარება ძირითადად ეყრდნობა სასტუმრო ქსელების სავაჭრო მარკის იმიჯის უპირატესობების განვითარებას, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტს. (Katsitadze, N., 2018).

სასტუმრო ბიზნესის განვითარების ევროპული მოდელი, ამერიკული საგან განსხვავებით, მეტად ფოკუსირებულია მიზნობრივი სეგმენტის მაქსიმალურ დაპყრობაზე. სასტუმროს ბიზნესის განვითარების ევროპულ მოდელში აქტიურად ვითარდებოდა ე.წ. „მეორადი“ საცხოვრებელი სახლები. ევროპაში გაჩნდა დიდი რაოდენობით ეკონომკლასის სასტუმროები. დაბალბიუჯეტური სეგმენტის დომინირების საფუძველზე Ibis Budget (Accor) კორპორაცია აქტიურად ავითარებს თავის ქსელებს მთელ ევროპაში და დღეს, საქართველოშიც გამოჩნდა. ე.წ. Low Cost მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დაბალბიუჯეტური სასტუმროებში ძირითადად ხორციელდება ნომრის ფართობის და მომსახურების პაკეტების შემცირებით. ევროპულ ბაზარზე არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომები და გადაწყვეტილებები, რაც შეესაბამება ყველა სასტუმროს მოქმედების მიმართულებებს. ისინი მოქმედებენ დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით. ევროპული ბაზრის სასტუმრო კომპანიები, ახდენენ ადაპტაციის სტრატეგიის დემონსტრირებას.

სასტუმრო სექტორის ეკონომიკური ანალიზი (<https://hotelmarketplace.co/wp-content/uploads/JLL-2023-Global-Hotel-Investment-Outlook.pdf>.) აკლენს სასტუმროს ქსელებში ინვესტიციების ეფექტიანობას. დღეისათვის სასტუმროს მსოფლიო ფონდის 1/4 პრაქტიკულად უჭირავს აშშ-ს. ის არის ლიდერი მსოფლიოს ლიდერებს შორის. ბოლო წლების რეიტინგში ჩინეთი მეორე ადგილზეა და სასტუმროს მომსახურების მსოფლიო ბაზრის 8% უჭირავს (Global Hotel Investment Outlook 2023).

გლობალურ ბაზრებზე სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციების გამოვლენაში მნიშვნელოვანია სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ვექტორების დადგენა ტურისტული დესტინაციების გეოგრაფიული ჭრილით. შესაბამისად მიმოვიხილავთ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას რეგიონების მიხედვით. კვლევისათვის აღებული გვაქვს 2013-2019 წლების დიაპაზონი.

2019 წელს ევროპაში, საერთაშორისო ტურისტების ვიზიტების ზრდის დინამიკა 4%-ის ფარგლებში იყო. განსაკუთრებით საფრანგეთი გამოირჩეოდა საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განეული ხარჯების ზრდით (UNWTO, 2020). ამ პერიოდისთვის სასტუმროების დატვირთულობა 72.2%-ს, შეადგენდა, ზრდა წინა წელთან შედარებით - 0,4%, სასტუმროების საშუალოდღიური ფასი (ADR) 113.36 ევრო, მატება +1.8%-ით, შემოსავალი თითოეულ თავისუფალ ოთახზე 81.90 ევრო, მატება - 2% (STR, 2021).

2019 წელს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში დაფიქსირდა 360 მლნ საერთაშორისო ტურისტის ვიზიტი, რაც 14 მლნ-ით აღემატებოდა 2018 წლის მაჩვენებელს. ამავე წელს მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში შეიქმნა 185 მილიონი სამუშაო ადგილი (UNWTO, 2020).

2019 წელს, UNWTO-ს მონაცემების თანახმად, სამხრეთ აზიაში დაფიქსირდა 27,102,764 საერთაშორისო ტურისტის ვიზიტი. მათ შორის: შრი-ლანკაში - 2,027,000 ვიზიტორი, ნეპალში -1,197, 000, მალდივებზე -1, 703, 000, ინდოეთში - 17,914, 000, ბუტანში - 316,000, ხოლო ბანგლადეშში - 323,000.

2019 წელს სასტუმრო მომსახურების ბაზარზე ძალიან კარგი შედეგები დაფიქსირდა ისრაელში, კერძოდ, თელავივში. აქ სასტუმროების დატვირთულობა 3%-ით გაიზარდა და 75.4%-ს მიაღწია. საშუალოდღიურმა ფასმა (ADR) მოიმატა 2.2%-ით, ხოლო შემოსავალმა თითოეულ თავისუფალ ოთახზე (RevPAR) გაიზარდა 2.5%-ით. ისრაელის ტურიზმის სამინისტროს მონაცემებით, 2019 წელს ქვეყანამ 4,55 მლნ ტურისტზე მეტს უმასპინძლა (+11%). სხვა ტენდენცია შეინიშნებოდა აზია-წყნარი ოკეანის სხვა ქვერეგიონებში, სადაც სასტუმროებში დაფიქსირდა KPI-ის (სამუშაოს შესრულების ძირითადი მაჩვენებლები) ნეგატიური შედეგები, კერძოდ, სასტუმროების დატვირთულობა, წინა წელთან შედარებით, შემცირდა - 1.3% -ით და შეადგინა 69.3%. სასტუმროს საშუალოდღიურმა ფასმა იკლო -2.0 %-ით და შეადგინა 98.73 აშშ დოლარი, ხოლო შემოსავალი თითოეულ თავისუფალ ოთახზე (RevPAR) შემცირდა - 3.2% -ით და განისაზღვრა 68.38 აშშ დოლარით.

შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 2019 წელს დაფიქსირდა საერთაშორისო ვიზიტორების 152,571,280 რაოდენობა.

ახლო აღმოსავლეთში განთავსების ობიექტებში დატვითვლობა 2.3%-ით გაიზარდა და ჯამში 66.2% შეადგინა. საშალოდღიური ფასი შემცირდა 7.2% -ით და შეადგინა 143.7 აშშ დოლ, თითოეულ თავისუფალ ოთახზე შემოსავალი შემცირდა -5.1% -ით და განისაზღვრა 95.09 აშშ დოლ-ით (STR, 2021.).

აფრიკაში სასტუმროთა დატვირთვობამ განიცადა ზრდა 1.1% -ით და შეადგინა 61.3%, ამასთან, მოიმატა სასტუმროს საშუალო დღიურმა ფასმა 1.5 %-ით და შეადგინა 109.33აშშ. დოლ, ხოლო შემოსავალი თითოეულ თავისუფალ ოთახზე გაიზარდა 2.6%-ით და განისაზღვრა 67.01 აშშ დოლარით. ამავე პერიოდში აშშ-იც დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია, როგორც სასტუმროთა დატვირთვობის, ასევე, საშალოდღიური ფასის 1.0%-ით და განისაზღვრა 131.21 აშშ. დოლ-ით (STR, 2021).

STR-ის მონაცემებით, აღნიშნულ რეგიონებში ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის ზოგადად განვითარების მზარდ ტენდენციაზე ასევე მეტყველებს: საერთაშორისო ტურისტული ნაკადების, მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში, მათ შორის სასტუმრო ინდუსტრიაში, შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების მაჩვენებლების შთამბეჭდავი მატება, კერძოდ STR-ის მონაცემების თანახმად, ცალკე აღნიშვნის ღირსია, სასტუმროების წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ინდიკატორების პოზიტიური დინამიკა, რამაც კულმინაციას 2019 წელს მიაღწია. აშშ-ში ამ პერიოდში სასტუმრო ინდუსტრიაში 2.3 მლნ ადამიანი იყო დასაქმებული, საიდანაც 8.3 მლნ სამუშაო ადგილი სწორედ სასტუმრო მომსახურების სექტორში მომუშავე პერსონალის ხარჯზე შეიქმნა. სასტუმრო მომსახურების ბაზარზე კარგი შედეგები ფიქსირდებოდა ევროპისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებშიც. რაც შეეხება შემდგომ პერიოდში 2020 წლიდან 2022 წლის ჩათვლით განვითარებულ სიტუაციას ხასიათდებოდა შემდეგი ტენდენციებით: 2020 წელს საერთაშორისო სასტუმრო ინდუსტრიაში კომპანიების დატვირთვა და სანომრე ფონდის შემოსავლიანობა მკვეთრად დაეცა. სასტუმრო მომსახურების სფეროში 2 მლნ ოთახით ნაკლები იყო დაკავებული. 2020 წლის დასაწყისში - აზიის, წყნარ ოკეანეთისა და ევროპის სასტუმროებში გაყიდული ოთახების რაოდენობამ, 2019 წლის იმავე პერიოდში გაყიდული ოთახების რაოდენობის - 32.4%, 37.7% და 22%-ი შეადგინა. აქედან გამომდინარე, მკვეთრი დაცემა განიცადა ნომრიდან მიღებულმა შემოსავლის მაჩვენებელმა (RevPAR). სასტუმროს დაჯავშნის პლატფორმა Hoo-ს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც იძიებდა გლობალურ სასტუმრო სექტორში მოღვაწე სასტუმროების სავარაუდო შემოსავალს აჩვენა, რომ სასტუმროების ინდივიდუალური შემოსავალი 2020 წელს დაეცა -32 %-ით, ხოლო 2021 წელს 17%-ით (STR, 2021).

აფრიკა-ახლო აღმოსავლეთ რეგიონში წინა წელთან მიმართებით, ოთახებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 6 მლნ დოლ-ით ნაკლები, კერძოდ, ჩრდილოეთ აფრიკაში დაფიქსირდა მისი დაბალი დონე -61%, ხოლო ჩინეთში - 36%. ახლო აღმოსავლეთ რეგიონში, 2020 წლის ბოლოს სასტუმროთა დატვირთვამ შეადგინა 46%, ხოლო 2021 წლის დასაწყისში შუა აღმოსავლეთის რეგიონში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი - 58.9%, ჩინეთში - 49.8% და აშშ - 40.1%. საშუალოდღიური ფასი შემოიფარგლა 117\$-ით, ხოლო ერთი ნომრიდან მიღებული შემოსავალი (ARR) 53\$-ით. აზია-წყნარ ოკეანეთში შემოსავალი თითოეულ ოთახზე განისაზღვრა 33\$-ით, ჩრდილო ამერიკაში კი - 44\$-ით.

ევროპის რეგიონში, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ოთახებიდან მიღებულმა შემოსავალმა (Room Revenue) დაახლოებით 100 მლნ დოლ-ით ნაკლები. ეს იყო ყველაზე დაბალი მსოფლიოს მონინავე რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან მიმართებით. ევროპის სასტუმროთა დატვირთვამაც, 2021 წლის დასაწყისში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი -14.9% შეადგინა. რაც შეეხება შემოსავალს თითოეულ ოთახზე, განისაზღვრა 34 აშშ დოლ-ით. ევროპის რეგიონის თითქმის ყველა ქვეყნის სასტუმრო კომპანიებმა განიცადეს კატასტროფული ვარდნა პროფესიულ საქმიანობაში. ამაზე მეტყველებს - ჩეხეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის და ა.შ. სასტუმროთა დატვირთვის მაჩვენებლები, რომლებმაც 10%- იანი ვარდნა განიცადეს.

მაშასადამე, თუ არ ჩავთვლით, პანდემიის პერიოდს, ბოლო ათწლეულში ადგილი ჰქონდა მსოფლიო სასტუმრო ბაზრის პოზიტიური და სწრაფი განვითარების დინამიკას. ამასთან პლანეტის უმსხვილეს 3 რეგიონში, მათი ზრდის განმაპირობებელი ეკონომიკური მაჩვენებლები პანდემიამდე პერიოდში და დღესაც არაერთგვაროვანი და განსხვავებულია.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში სასტუმროთა რიცხოვნობისა და სა-ნომრე ფონდის (საშუალოდ 10 %-იანი) ზრდა მკვეთრად განსხვავდება ევროპის რეგიონსა და ქვერეგიონებში არსებული ანალოგიური მაჩვენებლებისგან, რომელიც 2020 წლის მონაცემებით შეადგენს საშუალოდ 2%-3%-ს. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში შემავალი სამი ქვერეგიონი გამოირჩევა ყველაზე დიდი დატვირთულობით: მალდივებში დატვირთულობამ 62%-ს მიაღწია, ისრაელში 65%, ხოლო დუბაიში - 76%-ს (statista, 2023).

აღნიშნული მიგვანიშნებს შემდეგ გახეშობებზე:

- ტენდენციური ხასიათი მიიღო საერთაშორისო ტურისტულ მომსახურების ბაზარზე ვიზიტორების მხრიდან განსხვავებული მიმართულების ტურისტულ მარშრუტებზე მოთხოვნის ზრდამ და ახალ გეოგრაფიულ ლოკაციებზე აქტუალური ტურისტული დესტინაციების გაჩენამ;

- მკაფიოდ გამოიკვეთა აზია-წყნარი ოკეანისა და ამერიკა-აფრიკა-ახლო აღმოსავლეთის რეგიონების (ასევე, მასში შემავალი ქვერეგიონები) მიმართულებით საგრძნობლად უპირატესი მდგომარეობა, მსოფლიოს სასტუმრო მომსახურების ბაზრის პოლუსების გადაადგილებასთან მიმართებით.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციების მსოფლიო მასშტაბით განხილვისას, მნიშვნელოვანია ბრენდი კომპანიების შეფასების კრიტერიუმებად მიჩნეული მათი მარკეტინგული მსოფლიო ბაზარზე მოპოვებული ხვედრითი წილი და ფინანსური აქტივები, მათ შორის შემოსავლების მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების ანალიზისას ვეყრდნობით მსოფლიოში წამყვანი ბრენდების შეფასების კონსალტინგული ფირმის *Brand Finance*-ის 2021-2022 წლის ანგაჩიშებს, ყველაზე პრესტიჟული და მაღალი ღირებულების (9 მლრდ. დოლ.) სამოგზაურო და ტურისტული ბრენდის ონლაინ დაჯავშნის საერთაშორისო სისტემის Booking.com-ის, Expedia Group-ის ვებსაიტებს - Hotels.com, Travelocity, Hotwire „Kalibri Labs და სხვა. რომელთა მიხედვითაც სასტუმროთა ჯავშნების 27% პირდაპირ სასტუმროს დაჯავშნიდან ხორციელდება, სასტუმროს ვებ-გვერდიდან -25 %, ხოლო 16% -ონლაინ ტურისტული სააგენტოებიდან. აღნიშნული მიმართულებით მოგზაურთა და ტურისტთა აქტივობა წლითინლობით იზრდება, რაც მიუთითებს დაჯავშნის გლობალური სისტემების, როგორც სადისტრიბუციო არხის გამოყენების მაღალ ზრდაზე სასტუმროს გაყიდვების კუთხით.

2022 წლის მეორე ნახევრიდან 2023 წლის დღევანდელ მდგომარეობამდე, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური სასტუმრო ინდუსტრიას კოვიდის შემდგომი ზრდის კარგი ტემპი აქვს, ის მაინც ჩამორჩება წინა პანდემიურ პერიოდს.

მსოფლიო ტურიზმის საბჭოს მიერ განცხადებული იქნა, რომ ტურიზმის 2019 წლის აქტივობის 95% აღდგა და 2023 წლის ბოლოსთვის მსოფლიო მშპ-ში ის 5%-იანი წვლილით იქნება აღდგენილი მიუხედავად ამ მოსალოდნელი ზრდისა, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება მაინც ჩამორჩება წინა პანდემიურ პერიოდს. „მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის მთლიანი გლობალური საბაზრო ღირებულება მაინც რჩება 30%-ით ქვემოთ (1,5 ტრილიონი აშშ დოლარი იყო პანდემიამდე). რა თქმა უნდა, ტურიზმის აღდგენას ხელს უშლის მსოფლიოში გამძაფრებული პოლიტიკური მდგომარეობა და სასტიკი ომები (Global Hotel Investment Outlook, 2023).

საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები

საქართველოს მაგალითზე მართებულია ითქვას, რომ ტურიზმის განვითარების დინამიკა პირდაპირ აისახება სასტუმრო ბაზრის მდგომარეობაზე და ეს პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა, რაც განპირობებულია შიდა ტურისტული ბაზრის სიმცირით, რომლის შედეგადაც სასტუმრო ბიზნესი ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო ტურისტებზე (<https://gnta.ge/statistics/2022>).

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია პანდემიის გამო, ისევე როგორც მთლიანად მსოფლიოში, უპრეცედენტოდ შემცირდა. 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტებმა შეადგინა 1,747,110 (-81,3%), რითაც გაუტოლდა 2011 წლამდე არსებულ მონაცემს. უცხოელების მოგზაურობიდან შემოსავალმა საქართველოში განიცადა 83.4%-ით კლება. მთლიანი დამატებული ღირებულება 2.55 მლრდ ლარამდე შემცირდა, ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიების წმინდა დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი - 8.4%-დან 5.9%-მდე შემცირდა. STR გლობალის თანახმად, 2020 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 21.2% იყო, კლებამ წინა წელთან შედარებით 62.3% შეადგინა (STR, 2021).

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) მონაცემებით, 2019 წელს დარეგისტრირებული იყო 2575, ხოლო 2023 წელს - 3182 ერთეული განთავსების ობიექტი, მაშინ როდესაც Booking.com-ზე განთავსების საშუალებების 14 852 ერთეული იყო დაფიქსირებული. GNTA-ს წარმომადგენლები ამ ცდომილებას ხსნიან ქვეყანაში არსებული სეზონური განთავსების ობიექტების და კერძო სახლების დიდი რაოდენობით, რომლებიც რეგისტრირდებიან სასტუმროთა ონლაინ დაჯავშნის სისტემებში, მაგრამ არ არიან ოფიციალურად დარეგისტრირებული (GNTA, 2019).

პანდემიით განვითარებულმა გარემოებებმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თბილისში მდებარე სასტუმროები. სასტუმროების ნაწილი გადაკეთდა კოვიდ სასტუმროებად, მათ შორის ბრენდირებული სასტუმროების ნაწილიც (შედარებით დაბალი კატეგორიის 24 სასტუმრო გადაკეთდა კოვიდ სასტუმროებად). გასაკვირი იყო ბრენდული სასტუმროების პოლიტიკა პენდემიის კრიზისულ პერიოდში. დიდმა უმრავლესობამ თავის საფასო პოლიტიკაზე დროული რეაგირება არ მოახდინა. ეს მაშინ, როდესაც თბილისის სასტუმროების 75% დაიხურა. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, „საქართველოში, 2020 წლის მარტის ბოლოს,

სასტუმროების დატვირთვის ყოველკვირეული მაჩვენებელი, 2019 წლის იმავე დროის მონაკვეთთან შედარებით 86%-ით შემცირდა. თბილისის სასტუმროებში კი ერთი ოთახის შემოსავლის მაჩვენებელი 88%-ით იყო შემცირებული (Galt & Taggart, 2022).

2020-2022 წლებში ბრენდირებული საშუალო და დიდი ზომის (30+ნომრიანი) სასტუმრო ოთახების ზრდა შენედა და სასტუმროს მშენებლობის ნებართვების შემცირებაც ინვესტორების არასახარბიელო განწყობებზე მიუთითებს. ცნობილია, რომ 2020 წელს „ტურიზმთან ასოცირებული ინდუსტრიებიდან შექმნილი დამატებული ღირებულების (1.1 მლრდ ლარი) შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ განთავსების საშუალებებზე მოდიოდა, კლება დაფიქსირდა 786 მლნ ლარით (50.4 %) (Galt & Taggart, 20220). ასევე შემცირდა სასტუმროების პროექტების საშუალო ზომაც (იხ. ცხრილი 3).

საშუალო და დიდი ზომის (30+ ოთახი) სასტუმროების გახსნა წლების მიხედვით

ცხრილი 3.

	2017	2018	2019	2020	2021	9 თვე 2022
სასტუმროთა ხაოდელობა	23	30	32	18	20	19
ოთახები, წ/წ ზღვა	14%	12%	15%	9%	6%	8%

წყარო: Galt & Taggart, (2022).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ბრენდირებული სასტუმროს პროექტი შეწყდა პანდემიის გამო, დაგეგმილი პროექტების სოლიდური რაოდენობა მაინც დარჩა. ცხრილი 3-დან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ბრენდებისთვის მიმზიდველია არა მხოლოდ, თბილისი და ბათუმი, არამედ საქართველოს რეგიონებიც. ინვესტორებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია მთიანი რეგიონებიდან ზამთრის და ბალნეოლოგიური კურორტები, როგორცაა აბასთუმანი, სადაც 2022 წელს გაიხსნა 440 საწოლის და 210 სანომრე ფონდის მქონე სასტუმრო, ხოლო 2023 წლისთვის დაგეგმილია 150 სანომრე ფონდის მქონე სასტუმროს გახსნა (Galt & Taggart, 20220).

დღეისათვის ბრენდული სასტუმროები, რომლებიც აქტიურად შედიან ბიუჯეტურ ბაზარზე, მაგალითად, Ibis-ს ქსელის სასტუმროთა ჯგუფი, რომლის განვითარების სტრატეგიაში მოიაზრება მსოფლიო მასშტაბით გაფართოვება ახალ ბაზრებზე, აქტიურად შემოვიდა საქართველოს განთა-

ვსების ბაზარზეც. დღეისათვის მისი ბრენდის სასტუმროები ოპერირებენ თბილისსა და ბათუმში, ხოლო 2023 წლისთვის წყალტუბოში დაგეგმილია 149 სანომრე ფონდის მქონე სასტუმროს გახსნა. ამდენად, საერთაშორისო ქსელების სასტუმროები იკავებენ ბაზარის იმ სეგმენტს, რომლებიც უჭირავს ადგილობრივ მცირე ბიზნესს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მათთან კონკურენცია პრობლემური აღმოჩნდეს.

მაღალია დაინტერესება ზამთრის და ბალნეოლოგიურ კურორტებზე ინვესტორების მხრიდან, რასაც ადასტურებს აბასთუმანსა და ბორჯომში მშენებარე სასტუმროები და სამომავლოდ ასაშენებელი სასტუმროების პროექტების არსებობა (იხ ცრილი 4).

**მშენებარე და დაგეგმილი სასტუმროები
2022-2024 წწ.**

ცხილი 4.

მშენებარე და დაგეგმილი სასტუმროები 2022-2024					
საერთაშორისო ბრენდი	რეგიონი	ქალაქი	დასრულების წელი	ოთახების რაოდენობა	ადგილების რაოდენობა
Babylon Tower	აჭარა	ბათუმი	2022	168	336
Swiss-Belhotel	აჭარა	ბათუმი	2022	186	360
Holiday Inn Express	თბილისი	თბილისი	2022	121	240
Holiday Inn Express	თბილისი	თბილისი	2022	110	220
Marriott Autograph Collection-Panorama Sololaki	თბილისი	თბილისი	2022	210	420
Paragraph Hotel Freedom Square	თბილისი	თბილისი	2022	220	440
Swissotel	თბილისი	თბილისი	2022	150	300
Royal Abastumani	სამცხე-ჯავახეთი	აბასთუმანი	2022	220	440
Ibis Style Batumi	აჭარა	ბათუმი	2022	107	214
Novotel Living Batumi	აჭარა	ბათუმი	2022	167	334
Ramada Tbilisi	თბილისი	თბილისი	2022	125	190
Radisson Blu Gudauri	მცხეთა-მთიანეთი	გუდაური	2023	157	300
Tabori Ridge Recreation & Golf Resort	თბილისი	თბილისი	2023	183	366
Best Western Plus Likani Resort	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	2023	60	120
Paragraph Wellness Resort and Spa Abastumani	სამცხე-ჯავახეთი	აბასთუმანი	2023	150	300
Autograph Collection Signagi	კახეთი	სიღნაღი	2023	130	160
Offices & Hotels at Erekle II Square	თბილისი	თბილისი	2023	150	300
Hotel Sololaki Hills	თბილისი	თბილისი	2023	190	380
Ibis Hotel Tbilisi	თბილისი	თბილისი	2023	153	300
Ibis Hotel Tskaltubo	იმერეთი	წყალტუბო	2023	149	300
Radisson Racha	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ონი(უწერა)	2023	85	170
Hilton Tbilisi	თბილისი	თბილისი	2024	200	350
Paragraph Resort Ganmukhuri	სამეგრელო-ზემო სვანეთი	განმუხური	2024	160	320
Wellness Resort and Spa Mtsvane Kontskhi	აჭარა	ბათუმი	2024	120	240
Paragraph Golf & Spa Resort Tabori Hill	თბილისი	თბილისი	2024	177	354

წყარო: გუიზმის ეკონომიკური ადმინისტრაცია. გაღვ & თავაჩის კვლევები, 2022წ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში საერთაშორისო ქსელების Hilton, Marriott, „Sheraton, Radisson და Hilton Garden Inn“, „Radisson Park Inn“, „Holiday Inn Express და სხვა პარალელურად, წარმატებით ოპერირებენ „ავთენტიკური ქართული ბრენდები - „ინ ჯგუფი“, „აჭარა ჯგუფი“ და ექსკლუზიური სასტუმროების საერთაშორისო კოლექციის Autograph-ის პირველი სასტუმრო საქართველოში „Paragraph Resort & Spa Shekvetili. 26,897 ოთახითა და 57,874 საწოლით (Galt & Taggart, 20220).

დღეისათვის საქართველოშიც, ისევე როგორც უმეტეს ტურისტულ ქვეყანაში, ტურიზმის აღდგენა დადებითი დინამიკით ხასიათდება. 2023 წლის მე-3 კვარტალში ტურისტულმა ვიზიტებმა აჩვენა 90%-იანი ზრდა, ხოლო ამავე წლის I-III კვარტალში მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და დააფიქსირა რეკორდული მაჩვენებელი - 3,251,651,900 აშშ დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდს 25.9%-ით აღემატება (+668,812,328 აშშ დოლარი). 2022 წელთან შედარებით, მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია 734,468,385 (+29.2%) აშშ დოლარით (Galt & Taggart, 20220).

შემოსავლების უფრო სწრაფი აღდგენა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: 1) მიგრანტების ეფექტი; 2) ინფლაცია; 3) ვიზიტორების სტრუქტურა (ერთდღიანი ვიზიტორების შემცირება) (Georgian National Bank, 2022).

საქართველოს მასშტაბით, სასტუმრო ბაზრის განვითარების ტენდენციის გასაანალიზებლად, საინტერესოა სასტუმროს სერვისის მიმწოდებლების რეგიონული განაწილება. განთავსების ობიექტების რაოდენობი 2023 წლის მდგომარეობით, 3176 ერთეულის ფარგლებშია, ლიდერ პოზიციას იკავებს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი - 598 განთავსების საშუალებით, მე-2 ადგილს - თბილისი 539 ერთეულით, ხოლო მესამე პოზიციას იკავებს აჭარა 486 ერთეულით. თუმცა, თბილისი საწოლი ადგილებისა (31489) და ნომრების/ოთახების საერთო რაოდენობით (14292) უსწრებს ყველა დანარჩენ რეგიონს. განთავსების ობიექტების კატეგორიასთან მიმართებით, დომინანტ მდგომარეობაშია საოჯახო ტიპის მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები, რომელთა რიცხვი შეადგენს 1275 ერთეულს, მე-2 პოზიციას იკავებს სასტუმრო კომპანიები (1218 ერთეული), ხოლო მე-3 ადგილი უჭირავს სასტუმრო სახლებს (454 ერთეული), რომლებიც საგრძნობლად ჩამორჩებიან რაოდენობრივად ლიდერ პოზიციებზე მყოფ განთავსების სხვა საშუალებებს (იხ. ცხრილი 5).

**განთავსების ობიექტების და მასში შემავალი კატეგორიების განაწილება
საქართველოში რეგიონული წრით
2023 წელი**

ცხიდი 5.

რეგიონი	განთავსების ობიექტების რაოდენობა	განთავსების ობიექტებში ნომრების/ ოთახების საერთო რაოდენობა	განთავსების ობიექტებში საწოლი ადგილების საერთო რაოდენობა
სულ	3176	51850	124034
აჭარა	486	13031	31241
გურია	115	2169	5534
თბილისი	539	14292	31489
იმერეთი	271	3350	8108
კახეთი	305	3208	7791
მცხეთა-მთიანეთი	314	3161	7707
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	81	567	1613
სამეგრელო - ზემო სვანეთი	598	3841	9626
სამცხე-ჯავახეთი	385	7216	18272
ქვემო ქართლი	28	480	1196
შიდა ქართლი	54	535	1457
მათ შორის, განთავსების ობიექტების რაოდენობა ტიპების მიხედვით			
კატეგორია	განთავსების რაოდენობა	ოთახების რაოდენობა	საწოლი ადგილების რაოდენობა
სასტუმრო	1 218	35909	81250
საოჯახო სასტუმრო	1275	8141	21615
სასტუმრო სახლი	454	3239	8780
სხვა	229	4561	12389
სულ	3176	51850	124034

წყარო: GNTA (2022). <https://gnta.ge/ge/>

აშკარაა, რომ საქართველოს ბაზარზე, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, გახრდილია მოთხოვნა სასტუმროს ალტერნატიული განთავსების საშუალებებზე, რომლის შედეგად პოპულარული ხდება აპარტამენტების და ჰოსტელის ტიპის ობიექტები, რაზეც მათი ზრდის მაჩვენებელი მიუთითებს. ბოლო პერიოდში ისინი აქტიურ კონკურენციას უწევენ სასტუმროებს. ტურისტების არჩევანიდან გამომდინარე, განთავსების ტიპებში არსებული სანოლდების რაოდენობით, სასტუმროები ლიდერობს. სასტუმროები (საოჯახო სასტუმროების ჩათვლით) თითქმის ერთნაირია, მაშინ როცა სანოლდონდი გაცილებით მეტია სასტუმროებში და ის მთლიანი სანოლდების 66%-ს შეადგენს.

საქართველოს სასტუმროებში ნომრის საშუალო ღირებულება 2023 წლის აგვისტოს ჩათვლით, ჰეგიონული ქვიდით, PMC კვლევითი ცენტრის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, 2023 წლის ივლისის მდგომარეობით, გამოიკვეთა შემდეგი სუხათი (იხ. ცხხიდი 6):

საქართველოს სასტუმროებში ნომრის საშუალო ღირებულება (2023 წელი)
ცხხიდი 6.

სასტუმრო კომპანიების ნომრის საშუალო ღირებულება (ლარი)							
3*, 4*, 5* სასტუმროები						საოჯახო ტიპის სასტუმროები	
3*		4*		5*			
ივლისი	აგვისტო	ივლისი	აგვისტო	ივლისი	აგვისტო	ივლისი	აგვისტო
174 ლარი	181 ლარი	267 ლარი	278 ლარი	498 ლარი	542 ლარი	132 ლარი	130 ლარი
მათ შორის, საქართველოს რეგიონებში ნომრის საშუალო ღირებულება (ლარი)							
PricewaterhouseCoopers-ის მიეი საქართველოს ინვესტოტოთა საბჭოსთან თანამშრომლობით რატაჰებულმა კვდევამ გამოავდინა საგანგაშო სტატისტიკა 2020 წლის მაიტიისა და აპილის ტვეში პანდემიის დასაწყისში, სასტუმროსა და ჰესტოტინების სექტორის 50%-ზე მეტის შემოსავალმა საგხძნობდად იკდო, ასევე, დასაქმებულთა შემციხების ყვედაზე მალადი, 46%-იანი მაჩვენებელი სასტუმროებსა და ჰესტოტინებში დაფიქსიხდა. ეს მაჩვენებლები ასახავს პანდემიის მძიმე ეკონომიკური გავდენას სასტუმრო ინდუსტრიასა და მასში დასაქმებულებზე. ბევი სასტუმროს გაუჭიხდა სტაბილუხი დამსაქმებლის სტატუსის შენახრუნება ამ ხთურ პეხიოდში. პანდემიამ მძიმე დაიყვიდა მიაყენა სასტუმრო ინდუსტრიის, როგორც საიმედო დამსაქმებლის ჰეპუტაციას. თუმიცა, როდესაც ტუჩიზმის სექტორმა ნედ-ნედა აღდგენა დაიწყო, სტუმატომოყვა-ჰეობისა და მომსახურების სფეროს დამსაქმებლები ნდობის აღდგენისა და პანდემიის დხოს დაკაჰური გამოცდილი პეხსონადის ხედახალი დაქიხავების ხთური ამოცანის წინაშე დადგნენ. აქედან გამომდინახე, პოსტპანდემიური პეხიოდში ეხთ-ეხთი მთავახი გამოწვევა გახდა პიოფესიონადი კადეების

გადინება. ბევრ თანამშრომელს, გუჩიზმის სექტორში ახლებური ახასტაბიღუ-
ხობის ან უფხო მალად ხედფასებზე გაზხდირი მოთხოვნის გამომ, ახ სუხდა
სასტუმროს ინდუსტრიაში დაბხუნება. აქედან გამომდინახე წახმოიშვა ახადი
პრობდემა - მომსახუხების ხახისხის დაქვეითება, ხაც პიხდაპიხ კავშიხშია
კვადიფიციური კადხების დაკახგვასთან, პეხსონადის გადინებასა და ადამია-
ნუხი ხესუხსების შემციხებასთან.

სასტუმროს ინდუსტრია მთელს მსოფდროში ავდენს ხამდენიმე განსხვა-
ვებურ მახასიათებელს, მათ შოხის - ახაეხთგვახოვნებას სასტუმროების
ზომისა და ბეხენდის კუთვნირების თვადსაზხისით, ასევე სეზონუხოობა, ად-
მიანუხი ხესუხსების მოქნიდობა, ახაპხოფესონონადი თანამშრომდების მა-
ლადი პროცენტი და თანამშრომდეთა ბეხუნვის მალადი დონე. მომხმახებდის
კმაყოფილება და, საბოლოო ანგახიშით, სასტუმროს შემოსავადი დამოკიდე-
ბუდია მომსახუხების ხახისხზე, ხაზეც დიდ გავდენას ახდენენ თანამშრომდე-
ბი. სტუმახთმოყვახეობის ინდუსტრიაის მთავახი პროდუქტი მომსახუხებაა,
ხოლო მომხმახებდის კმაყოფილება და დოიადუხოობა დამოკიდებუდია სასტუმ-
როს თანამშრომდების მომსახუხებაზე. მომსახუხების ხახისხის შეფასება
ახლებითად ხთუდია, ხადგან ის ახამაგეხიადუხია და მიწოდება და მოხმახება
ეხთდუოდად ხდება. მომსახუხების ხახისხი ეყხდნობა ხოგოხც მომხმახებ-
დის, ასევე სეხვისის მიმწოდებდის სუბიექტუხ შეფასებას. შესაბამისად, ად-
მიანუხი ხესუხსები, ასხუდებს მნიშვნდროვან ხოდს სტუმახთმოყვახეობის
ინდუსტრიაში რეგანიზაციების წახმატებაში. ამიგომ, პიროხიგეგუდია თა-
ნამშრომდების მოგივაცია მომსახუხების მალადი ხახისხის შესანახუნებ-
დად. მეოხე მხიივ, სასტუმროს ინდუსტრიაის გახეფაქტოხები, ასევე გავდენას
ახდენს თანამშრომდების სამუშაო პირობებსა და კახიეხურ პეხსპექტივაზე.
სასტუმროს ინდუსტრია ცნობიდია შედახებით დაბადი ხედფასებით. უფხო მე-
ტიც, სასტუმროები ფუნქციონირიხებენ შემციხებუდი პეხსონადით ახასეზო-
ნუხ პეხიოდში. ამ დროს კი მციხდება თანამშრომდეთა ხაოდენობა და იზხდება
ახლებუდი თანამშრომდების დატვიხთვა და სამუშაო საათები. ამ პირობდემის
გადასაქხედად სასტუმროებმა წამოიწყეს სხვადასხვა პროცედუხა, მათ შოხის
- დამატებითი შვებუდება, ფქსიხებუდი ყოვედდლიუხი სამუშაო საათები, ზე-
განაკვეთუხი სამუშაოს ანაზლაუხება და წამახადისებუდი ბონუსები.

COVID-19-ის პანდემიისას, ადამიანუხი ხესუხსების კიტიკუდი ხოდი სა-
სტუმროების ინდუსტრიაში კიდევ უფხო გამოიხატა, ხოდესაც გამოწვევებ-
თან სასტუმროების ბეხდოდის პროცენსში, გამომინდა გამოცდირი, პროფესიო-
ნადი თანამშრომდების მნიშვნდრობა.

აღნიშნუდი პრობდემის მაგადითზე, აქახის ხეგიონში რაგახდა კვდევა
პანდემიის დროს სასტუმრო ინდუსტრიაში საკადრო გამოწვევების დინამიკის

გასაგებად. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სასტუმროს სეზონური სიხითულებები შეექმნა, ზოგიერთმა მოახეხა პეისონადის შენახიუნება.

პანდემიის დროს სასტუმროებში პეისონადის შენახიუნების შესაძლებლობა ძალიან განსხვავებული იყო. სასტუმროებს, რომლებსაც შეეძლოთ უსაფრთხოების, ფინანსური სტაბილურობისა და საერთაშორისო გამოცდილების საქმიანობაში გადმოტანა, უფრო მეტი შანსი ჰქონდათ შეენახიუნებინათ პეისონადი. ქსედი სასტუმროებს, რომლებიც საერთაშორისო ბიზნესების ნაწილია, გაჩვეული უპიხატესობები ჰქონდათ დამოუკიდებელ სასტუმროებთან შედარებით, ხაც მოიცავდა ფინანსური ხესუსებზე წვდომას და მენეჯმენტის სტანდარტიზებულ პრაქტიკას. ეს კი - ქსედი სასტუმროებს საშუალებას აძლევდა მნიშვნელოვნად შეეწყოთ ხედი თანამშრომლების სტაბილურობისთვის.

პანდემიამ, ასევე წაიშალა პირობები თანამშრომლების მნიშვნელობა, ადამიანური ხესუსების მართვისა და სასტუმროების წაიშლებული მუშაობისთვის. პანდემიიდან გამოსვლისას ბევრი სასტუმროს შეექმნა პეისონადის გადაიხადების პირობა. ამის საპიხისპიხოდ, ქსედი სასტუმროები, რომლებმაც შეძლეს თანამშრომლების შენახიუნება, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ხადგან დროუდად და შედარებით მატივად შეძლეს სამუშაო პირობების აღდგენა.

საქართველოში, ტურიზმის სექტორის აღდგენასთან ერთად, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ სასტუმროების მენეჯერებმა და მომსახურების სფეროს პირებიც შექმნიდებმა ყუიადლება უნდა გაამახვილონ სამუშაოს უსაფრთხოების გაძლიერების, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და თანამშრომლების პირობებიანი განვითარების ინვესტიციებზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანად გააძლიერებს სასტუმრო ინდუსტრიის გამძლეობას, ახად, ხელს შეუწყობს ქვეყნის უფრო ფართო მასშტაბით ეკონომიკური აღდგენას. პანდემიის გამოწვევებზე გამოცდილებით და ადამიანური ხესუსების მართვის ეფექტური სტრატეგიების განხორციელებით, საქართველოში ტურიზმისა და სტუმართმყოფიების სექტორის შეუძლია კვდავ აღდგეს და აყვავდეს.

საკვანძო სიყვებო: Covid 19-ის პანდემია, ტურისტული ინდუსტრია, დასაქმება, სასტუმროების ქსედი, კვადიფიციური პეისონადი.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კომპანიებისთვის და თანამედროვე ტენდენციები

მეგი სურმანიძე

დოქტორი
ბათუმის შოთა ჰუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
megisurmanidze128@gmail.com

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა წახმოდგენს თანამედროვე ბიზნესის საზოგადოებასთან დაახლოების, საზოგადოებაზე ზეგავლენისა და საკუთარი საქმიანობის, პირობებისა თუ მომსახურების პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებას.

წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია კომპანიების ცნობიერება და საქმიანობა ეკონომიკური, ეთიკური თუ სოციალური პასუხისმგებლობის ქილით. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ახის კომპლექსური საკითხი, ხოლო პირობების კომპანიებისთვის, რომლის გაცნობიერებაც უნდა გამოიყენებოდეს კომპანიების უპასუხისმგებლო ქცევას განპირობებულ ფინანსური მიზნებით.

კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიების მიერ საკუთარ საქმიანობასა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის აღება აუცილებელია, ხაზით ბიზნესისადმი საზოგადოების ნდობა და კეთილგანწყობა განპირობებულია ხაზით ფაქტორით - კომპანიების საქმიანობის გამჭვირვალობა, სტრატეგიული დოკუმენტის საჯაროება, დასაქმების ხელშეწყობა, პირობების შექმნისა და მომსახურების გაწევის შესახებ დეტალური ინფორმაციის საჯაროება.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნესი, ფინანსური მიზნები, გამჭვირვალობა, საზოგადოება, დასაქმება.

შესავალი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია კომპანიების მიერ მათი ქმედებების, გადაწყვეტილებების, ინვესტიციების, წარმოების, დასაქმების მნიშვნელობის და გავლენების გაცნობიერებასთან. პასუხისმგებლობების გააზრების და გაცნობიერების პროცესში კომპანიები უნდა ხვდებოდნენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქმიანობის ნორმალიზება, კონტროლი, უსაფრთხოება, იმისთვის, რომ გარემოს, სამომხმარებლო საზოგადოებას ან კომპანიაში მომუშავე გუნდის

ნევრებს ზიანი არ მიადგეს. საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელოვანებას, ასევე განაპირობებს საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებელი კომპანიები, რომლებიც ნებისთ თუ უნელიედ, ზიანს აყენებენ ბუნებას, ინვევენ ეკოლოგიურ დაბინძურებას, არ ითვალისწინებენ შრომის უფლებებს, დასაქმებულებს ამუშავებენ სტრესულ და ტოქსიკურ გარემოში, ენევიან არალეგალურ საქმიანობებს, მალავენ შემოსავლებს, გვერდს უვლიან გადასახადების გადახდას და აშ. კვლევის მიზანია თანამედროვე ბიზნეს ინდუსტრიისთვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის განსაზღვრა. კვლევის ამოცანაა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული მნიშვნელოვანი წყაროებისა და კვლევების ანალიზი, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილების განხილვა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობების თანამედროვე ტენდენციების შეფასება, ბიზნესის სოციალური აქტივობისა და პასუხისმგებლობის განაწილების შესწავლა.

ახსებული მდგომარეობა: ყველა სახის საწახმო ნაწილობრივ მაინც უნდა იყოს ჩაითული საზოგადოებისთვის საკეთილდღეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, უნდა ცდილობდეს მოაგვახოს სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, გააუმჯობესოს და ხედი შეუწყოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, დაფინანსების პროგრამების გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველთა დაცვას, ეკოლოგიური პრობლემების მოგვახებაში თანამონაწილეობას და სხვ. კომპანიებისთვის სოციალური აქტივობა გჩენდა იქცა, რომელიც დაეხმობა აისახება მათ ჰეპუტაციაზე, ეხმარება მათ პიახსა და ჰეკ-დამაში, ამახვივებს მომხმარებლების ნდობის მოპოვებას საქართველოში, გაეროს შეთანხმების გლობალურმა ქსელმა, სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჯგუფმა განახორციელეს კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ. კვლევის შედეგების გათვალისწინებით საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ ქველმოქმედება, არამედ დასაქმება, კომპანიების მიერ საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვა, კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობა, სანდოობა და სხვა. 2021 წელს საბერძნეთში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტების უდიდესი ნაწილის ნდობასა და დამოუკიდებულებებს განაპირობებს კომპანიების სოციალური საქმიანობა.

კვლევის სიახლე: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არ უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ქრილით, კომპანიები უნდა იაზრებდნენ სოციალურ პასუხისმგებლობას

კომპანიის შიგნით არსებულ პირობებზე გუნდის წევრებისთვის ადეკვატური სამუშაო პირობების, კორპორაციული ეთიკის, კორპორაციული პასუხისმგებლობის, სტრატეგიული დაგეგმვის და სტრატეგიის გამჭვირვალობის ქრილით. მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე კომპანიები აყალიბებენ კორპორაციულ კულტურას, კორპორაციულ ეთიკას, ქცევის კულტურას, რომელიც მეტყველებს კომპანიების პასუხისმგებლობის გრძნობაზე, ძლიერი კომპანიები ქმნიან ადეკვატურ სამუშაო პირობებს, გრაფიკს, ანაზღაურებას, სადაზღვევო, სადეკრეტო სისტემებს დასაქმებულებისთვის.

სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე ტენდენციები

ნებისმიერი კომპანიის ბიზნესსაქმიანობა საჭიროებს რეგულირებას, კონტროლს, გარკვეული ზომების დაცვას იმ მიზნით, რომ საზიანო არ აღმოჩნდეს ადამიანებისთვის ან გარკვეული ეკოლოგიური კატასტროფა არ გამოიწვიოს. „CSR-კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნების დახმარებით კომპანიები აერთიანებენ საზოგადოებრივ, სოციალურ და გარემოს კავშირებს ბიზნესის საოპერაციო ნაწილში და მათი მენილევებისა და მოხალისეების საბაზისო ინტერაქციაში” (2002, 347 საბოლოო: 5). ბიზნესი, გარკვეული სოციალური თუ ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციები, იაზრებენ მათ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას, რომ აწარმოონ პროდუქტი, მომსახურება, სოციალური საქმიანობა ისე, რომ არ მიაყენონ ზიანი ბუნებას, არ დააზარალონ საზოგადოების ინტერესი, მოთხოვნები, არ გამოიწვიონ გარკვეული ნეგატიური შედეგები. თანამედროვე ბიზნესიც და საზოგადოებაც მიეჩვია იმას, რომ საქმიანობა უფრო მალე მოიხვეჭს ცნობადობას და მომხმარებლების ნდობას დაიმსახურებს თუ იქნება აქტიური სოციალურ - საქველმოქმედო საქმიანობაში. ამგვარად, ბიზნესი ხშირად თავისივე შემოსავლების თუ კაპიტალის გარკვეულ, ხშირად დიდ ნაწილს სოციალურ აქტივობაში, ქველმოქმედებაში ხარჯავს. ეს არის ხარჯი, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით საქონლის გაყიდვის და ფინანსური მოგების მიღების მიზნით არ არის განეული, თუმცა, სასიკეთოდ აისახება საზოგადოებრივ კეთილგანწყობაზე, ნდობასა და კომპანიის რეპუტაციაზე. დაპლის აზრით (1972, 18) ყველა დიდმა კომპანიამ უნდა იფიქროს და იაზროვნოს ისე როგორც სოციალურმა საწარმომ. უნდა ახსოვდეს, რომ არის ეკონომიკური საქმიანობის ობიექტი, რომლის საქმიანობაც და გადანყვეტილებებიც სამართლიანია იმდენად, რამდენადაც ისინი ემსახურებიან საზოგადოებას ან სოციალურ მიზნებს”.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, დანერგვას ყოველთვის როდი აფასებდნენ ინოვაციური კუთხით, ზოგიერთი ექსპერტი, ბიზნესსაქმიანობის მთავარ სოციალურ საზრუნავად განიხილავდა მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებას, პროდუქტისა და მომსახურების შექმნას და გადასახადების გადახდას. „ბიზნესს აქვს მხოლოდ ერთი სოციალური პასუხისმგებლობა“, 1970 წელს გამოცემულ სტატიაში მილტონ ფრიდმანი სწორედ ასე განიხილავს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას .

„დღესდღეისობით კორპორაციული პასუხისმგებლობა გასცდა შორს გასული ეპოქის კორპორაციულ ფილანტროპიას, რომელიც ძირითადად საქველმოქმედო საქმიანობაზე თანხის გაღებას მოიაზრებდა, ფინანსური წლის ბოლოს. სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიის მუდმივ პასუხისმგებლობას გარემოზე, უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნაზე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე და ეფუძნება იმის გაცნობიერებას, რომ კომპანიის იმიჯი დამოკიდებულია არა მხოლოდ პროდუქციის ფასსა და ხარისხზე, არამედ იმაზეც თუ როგორ ურთიერთობს კომპანია თავის თანამშრომლებთან, საზოგადოებასთან და გარემოსთან“ (ბრაუნი, 2010).

„კონცეფცია, რომლის თანახმადაც, კომპანიები ნებაყოფლობით ითვალისწინებენ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს მათ ბიზნესსაქმიანობასა და მათ ურთიერთობაში, მათი საქმიანობის შედეგებით დაინტერესებულ ყველა მხარესთან“ (Commision Green Paper, 2001), გულისხმობს:

1. ბიზნესი, გარდა ფინანსური პასუხისმგებლობისა, პასუხისმგებელია გარემოს დაცვაზე,
2. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის სტრატეგიის ძირითადი ნაწილი, ინოვაციური კომპანიები ნერგავენ ყოველდღიურ საქმიანობაში და კომპანიების სამოქმედო სტრატეგიულ გეგმებში,
3. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს ასევე კომპანიებში არსებულ სამუშაო პირობებს, ჯანსაღ კორპორაციულ კულტურას და ურთიერთობებს.

ბიზნესის სოციალური, ანუ კორპორაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბიზნესის მორალურ სახელმძღვანელოს, რომელიც მას კეთილსინდისიერი საქმიანობისკენ მოუწოდებს. XX საუკუნიდან ბაზარზე განხორციელდა სასიკეთო ცვლილებები, განახლებადი ენერჯის წყარომ, ქარის ელექტროსადგურებმა დაიწყო საწვავის ჩანაცვლება. ქარის ელექტროსადგურის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს მისი ამოუწურავი და განახლებადი რესურსი, უსაფრთხოება, სისუფთავე, ინსტალაციის სიმარტივე და ეკონომიურობა. განახლებადი ენერჯის წყაროების უპი-

რატესობები ამოუწურავი რესურსებია. რაც შეეხება ნავთობს, ნახშირს - ამოწურვად წიაღისეულს მიეკუთვნება. განსაკუთრებულ მახასიათებელს სისუფთავე წარმოადგენს, ის არ არის საზიანო ბუნებისთვის ეკოლოგიური თვალსაზრისით. ის არ ქმნის ტოქსიკურ ნარჩენებს, არ წარმოშობს ლეტალურ რისკს ადამიანის სიცოცხლისთვის (Crowther, & Guler, 2021).

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის კომპანიები, რომლებიც გარემოს ყველაზე მეტად აბინძურებენ. 2020 წელს ეკო ექსპერტების მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, რომელიც კლიმატის ინსტიტუტის ანგარიშისა და პოლიეთილენის გამოყენების ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე არის შემუშავებული, დადგინდა, რომ მსოფლიოს 9 კომპანია აყენებს ბუნებას ეკოლოგიურ ზიანს. „Peabody Energy“- არის კომპანია, რომელიც იწვევს ჰაერის დაბინძურებას. კომპანია ასევე აფინანსებს საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი რეგულაციებისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ეკოლოგიური ზიანის გამომწვევ კომპანიებს შორის ასევეა „Kuwait Petroleum Corporation“-ი, რომელიც აწარმოებს ნავთობს, მსოფლიოში წარმოებული ნავთობის 7% მოდის აღნიშნულ კომპანიაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპანიები დაბინძურება გამონაბოლქვის სახით მოსახლეობის ერთ სულზე 2,231,818–2,133,248 ტონას აღწევს, მაინც არ აღიკვეთება მათი საქმიანობა კოლოსალურად დიდი ფინანსური მოგების გამო (Howell B., 2023).

კომპანიები, გარემოს ყველაზე მალალი დაბინძურების კოეფიციენტით მსოფლიოში

წილები	კომპანია	მილიარდი ტონა ნახშირორბენის ექვივალენტი 1995 წლიდან	თანამშრომლების საერთაშორისო რაოდენობა	ტონა ნახშირორბენის ექვივალენტი ერთ სულ მოსახლეზე
1	Peabody Energy	15.39	6600	2,231,818
2	Kuwait Petroleum Corp	13.48	6319	2,133,248
3	კობოკოვლიანი	15.23	10400	1,464,423
4	შეგობი	43.35	48155	900218
5	Saudi Aramco	59.26	79000	750126
6	ExxonMobil	41.90	74900	559412
7	BP	34.02	70100	485306
8	ოიანის ეროვნული ნავთობის კომპანია	35.66	87500	407542

წყარო: Howell B, 2023, „The top 9 most polluting companies“

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის აღნიშნულ პრინციპებთან ერთად (გამჭვირვალობა, განვითარებადობა, პასუხისმგებლიანობა) მისივე პასუხისმგებლობის ფორმაა ეთიკური პასუხისმგებლობაც, თანამედროვე კომპანიები ქცევის ეთიკის კონტროლის მიზნით გამოყოფენ ცალკეულ პოზიციებსა და პოზიციებზე მომუშავე ადამიანებს, აკისრებენ მათ კორპორაციული, ეთიკური ქცევის მონიტორინგის და კონტროლის პასუხისმგებლობას.

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მნიშვნელოვანი ასპექტები, რაც მოიცავს ეთიკის ძირითად პრინციპებს - დამოუკიდებლობის, სანდოობის, კონფიდენციალურობის, მომხმარებლის ინტერესების პრიორიტეტულობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის და კოლეგიალობის სახით. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 15.04.2006).

ეთიკის კოდექსი ყველა სპეციალობისა და პროფესიის წარმომადგენლისთვის ატარებს მნიშვნელოვან პრინციპებს და არეგულირებს საქმიანობას, ფორმას, ქცევებს. შიდა აუდიტის სამსახურის შემთხვევაში ეთიკის პრინციპები მოიცავს ობიექტურ დამარწმუნებელ მომსახურებას, პატიოსნებას, კონფიდენციალურობას და კომპეტენტურობას:

ამონახიდი: „2.1. მონაწილეობა არ უნდა მიიღონ რაიმე ისეთ ქმედებებში ან ურთიერთობებში, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათი შეფასების მიუკერძოებლობაზე ან აღქმული იყოს ასეთად. ასეთ მონაწილეობად აღიქმება ისეთი ქმედებები და ურთიერთობები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ორგანიზაციის ინტერესებს”.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სახეობები

ფილანთროპიული პროგრამები, კორპორაციული მოქალაქეობა	ფილანთროპიული პასუხისმგებლობა
ბიზნესეთიკა, გარემოს დაცვა, მომხმარებლებზე ორიენტირებულობა	ეთიკური პასუხისმგებლობა
კანონმდებლობა	ლევალური პასუხისმგებლობა
სერვისისა და პროდუქტის ღირებულებების პროვიზია სოციუმისთვის	ეკონომიკური პასუხისმგებლობა

წყარო: Sheeran, Peter W. (2001) "Business Ethics, Value and Education"

ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის დამოკიდებულებების ანალიზი საზოგადოების, დასაქმებულების და კორპორაციული პასუხისმგებლობის წინაშე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ირღვევა, თუ:

- კომპანია, ბიზნესი მომხმარებლებს უწევს მომსახურებას დაბალი ხარისხით, ან ეპყრობა უპასუხისმგებლოდ,
- თანამშრომლებს კომპანია ექცევა უსამართლოდ,
- კომპანია უგულებელყოფს ორგანიზაციული ქცევის შესაძლო შედეგებს, არ უწევს მათ პროგნოზირებას.

სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესში ნაწილდება მენეჯერებზე, თანამშრომლებზე, ინვესტორებზე, მომმარაგებლებზე, მენილეებზე. ჯგუფების თუ სოციუმის გავლენით შეიძლება შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, შეიცვალოს მომსახურების სტანდარტები, პროდუქციის ბაზარი, შეიცვალოს ან გენერირდეს ორგანიზაციის მიზნები, განახლდეს კორპორაციული მიზნები, სტრატეგია, ქცევის ფორმები და სხვა.

ორგანიზაციაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე საქართველოს კომპანიებში განხორციელებული კვლევა, რომლის დროსაც გამოკითხულ იქნა 50 დასაქმებული, 62% – მამრობითი, 38% მდედრობითი, რესპოდენტთა 57% ცდილობს იყოს აქტიური იმ საქმიანობაში, რაც ეხება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, რესპოდენტთა უდიდესი ნაწილი - 77% ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არის რამდენიმე მახასიათებელი ერთად: იმიჯზე ზრუნვა, გაყიდვების ზრდა, მომხმარებელთა ლოიალობა და ნდობის მოპოვება.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ასახვა სტრატეგიებში და კომპანიების სარგებელი

კომპანიები, რომლებიც ნერგავენ კორპორაციულ კულტურას, ეთიკას, წესებს, ადგენენ მოკლე და გრძელვადიანი განვითარების გეგმებს, ხელძღვანელობენ საერთაშისო სტანდარტებით, ისახავენ საერთო მიზნებს და პროცესში დასაქმებულები სრულად გაცნობიერებული ჰყავთ, რომლებსაც კორპორაციულ კულტურის გაძლიერების მიზანი აქვთ, აღნიშნავენ ყველა მცირე და დიდ მიღწევას და გამოხატავენ მადლიერებას გუნდის წინაშე, გაცილებით წარმატებულად ოპერირებენ ბაზარზე, ვიდრე კომპანიები, რომლებიც ჩამოთვლილი საქმიანობით არ არიან დაკავებულნი. განვითარებული და ლიდერი კომპანიების სტრატეგიებში სოციალური მიზნები გათვალისწინებულია, ასევე გათვალისწინებულია მოგებიდან გარკვეული თანხების სოციალურ საქმიანობებში ინვესტირე-

ბა. საქართველოს ბანკის 2020 წლის სტრატეგიულ დოკუმენტში ფიქსირებულია კომპანიის რამდენიმე ამოცანა და მიზანი:

- ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლება და ფინანსური კეთილდღეობის ზრდა;

- ხარისხიანი განათლების და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომხმარებლებისა და თანამშრომლებისთვის უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნა და ხელშეწყობა;

- სამუშაო ადგილზე თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა;

- მენარმე ქალთა გაძლიერება;

- სამეწარმეო კულტურის შექმნის ხელშეწყობა და ადგილობრივი მიკრო, მცირე და საშუალო სამეწარმეობის სტიმულირება;

- საქართველოს ეკონომიკის ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სექტორების დაფინანსება;

- თანამშრომელთა უფლებების და შესაძლებლობების გაზრდა და სანდო ღირებულებებზე დაფუძნებული სამუშაო ადგილების შექმნა.

თიბისი ბანკის 2021 წლის მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს შორისაა:

- სტაბილური ზრდა;

- შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია;

- მოწინავე ციფრული შესაძლებლობების გამოყენება, მომხმარებელთა მომსახურების საუკეთესო ხარისხი.

ამგვარად, კომპანია მეტწილად ორიენტირებულია ფინანსურ მდგრადობაზე, სტაბილურ ზრდასა და მომხმარებლებისთვის ციფრული მომსახურებების დანერგვაზე.

ჯანსაღი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიაში უზრუნველყოფს:

- კორპორაციის მართვას და ეთიკას;

- ადამიანის უფლებების სრულ უზრუნველყოფას და დაცვას კანონმდებლობის გათვალისწინებით;

- შრომითი საქმიანობის ძირითადი უფლებების და სტანდარტების დაცვას;

- საქვემოლქმედო საქმიანობის განხორციელებას, კომუნიკაციას თემთან, სოციალური საჭიროებების მიხედვით ინვესტიციების განხორციელებას;

- კორუფციასთან ბრძოლას, ანტიკორუფციული მდგრადი სისტემის განვითარებას და კომპანიაში დანერგვას;

- პროდუქციასა და მომსახურებაზე პასუხისმგებლობის აღებას, მომხმარებლების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებას;

- გამჭვირვალობის პოლიტიკის დანერგვას საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, ანგარიშგებას საქმიანობის სოციალური გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ.

განვიხილოთ მსოფლიოში ყველაზე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე რამდენიმე კომპანიის მაგალითი, მათ შორისაა: BOSCH, NETFLIX, FORD და აშ. BOSCH- ცნობილია როგორც ემისიების შემცირებისა და კლიმატის მხარდამჭერი კომპანია, რომელიც აქტიურად უზრუნველყოფს ელექტროძრავების გამოყენებას, მათ შორის ველოსიპედებში. NETFLIX-ი უზრუნველყოფს თავის თანამშრომლებს 52-კვირიანი დეკრეტული ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის გამოყენებაც თანამშრომლებს შეუძლიათ ბავშვის დაბადებიდან მცირე ასაკში ყოფნის პერიოდამდე. COCA COLA - უზრუნველყოფს მცენარეული შემცველობის შეფუთვებს და პირველია ვინც დააანონსა ბუნებისთვის უვნებელი ბოთლების დამზადება, ეკოლოგიურად უვნებელი შემცველობით.

მაღაზიების ქსელი „The body shop“ არის კომპანია, რომელმაც უარი განაცხადა კოსმეტიკური საშუალებების ცხოველებზე დატესტვაზე, ცდების ჩატარებაზე, რითაც მან მოიპოვა საზოგადოების ყურადღება, ნდობა მხარდაჭერა. ქართულ კომპანიებს შორის კორპორაციული პასუხისმგებლობით გამოირჩევა „ტენე“, რომელიც პოლიეთილენის შემცველობის ნაცვლად, 100%-ით ბიოდეგრადირებულ, მეორად პლასტმასს იყენებს, ამზადებს კაბელებს, სატენებს, რაც ნიადაგში მოხვედრის შემთხვევაში ქიმიურ და ტოქსიკურ ნივთიერებებს არ გამოყოფს.

დღესდღეისობით, არა მხოლოდ დარგის სპეციალისტები, არამედ სამომხმარებლო საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებასა და ბუნებაზე ზრუნვა კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე პოზიტიურად აისახება, 1999 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა 90% ფიქრობს, რომ კომპანია მოგების მიღებისთვის სოციალურ მიზნებსაც უნდა ისახავდეს. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 25000 რესპონდენტი, გამოკითხულთა 60%-ისთვის კომპანიაზე წარმოდგენა იქმნება სოციალური პასუხისმგებლობით, ხოლო 40%-ს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არ ითვალისწინებენ სოციალურ პასუხისმგებლობას და ამას საჭაროდაც აფიქსირებენ.

საქართველოში, გაეროს შეთანხმების გლობალური ქსელის, სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ.

კვლევა განხორციელდა თბილისში, გამოკითხულთა 72%-ისთვის ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას მაღალი, ძალიან მნიშვნელოვანი და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი აქვს. რესპოდენტთა 93% დარწმუნებულია, რომ კომპანიები ნებაყოფლობით პასუხისმგებლობას უნდა ღებულობდნენ საზოგადოებრივი და სოციალური საჭიროებების მოგვარების დროს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რესპოდენტებმა ასევე კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილად დაასახელეს: ადგილობრივი მუშახელის დასაქმება უცხოეთიდან ჩამოყვანილი იაფი მუშახელის ნაცვლად, საქვემოქმედო კამპანიების და პროექტების დაფინანსება, ბიზნესპარტნიორების და აქციონერების წინაშე პატიოსნება და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება წარმოების და პროდუქტის დამზადების პროცესში.

კვლევის მიხედვით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ლეგიტიმურ სფეროებად დასახელდა:

1. ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებზე ზრუნვა – 54%;
2. ადგილობრივი თემებისთვის სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა–54%;
3. ბიზნესის ქველმოქმედება – 41%.

რესპოდენტების მიერ კომპანიის რეპუტაციის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის დასახელდა: პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი–62%; ადგილობრივების დასაქმება უცხოელი მუშახელის ჩამოყვანისა და დასაქმების ნაცვლად – 26%; საზოგადოებასთან ურთიერთობა და პიარი–19%, ხელმძღვანელების კომპეტენციები და რეპუტაცია - 14%, საკუთარ თანამშრომლებზე ზრუნვა - 10% და ა.შ.

ბიზნესსა და სოციუმს შორის კავშირის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე მექანიზმებს შორისაა სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლების დამოკიდებულებებსა და განწყობებზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განვიხილოთ საბერძნეთში, 2021 წელს ნოემბერ–დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგები, კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ანკეტირების მეთოდი, გამოიკითხა 330 რესპოდენტი, მათ შორის 132 (40%) მამაკაცი, 198 - (60%) ქალი. კვლევა მიზნად ისახავდა მომხმარებლებისთვის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის დადგენას, კვლევამ ცხადყო, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი მომხმარებლებისთვის კომპანიისა და მისი საქმიანობის შეფასების ასპექტით, მომხმარებლების უმრავლესობა ენდობა სოციალურად აქტიურ კომპანიებს, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებასა და ბუნებაზე.

დასკვნა

გარემოსა და საზოგადოებისთვის საქმიანობით ზიანის მიმყენებელი კომპანიების არსებობას ხელს უწყობს პროტექცია და სახელმწიფოების ინტერესები, მიიღონ რაც შეიძლება მეტი ფინანსური სარგებელი. გამოსავალი კანონმდებლობის გამკაცრებასა და პროტექციული თუ ნეპოტისტური სისტემების აღმოფხვრაშია.

კომპანიების რეპუტაციულ პროგრესს განაპირობებს ბიზნესის პასუხისმგებლობების სრულყოფილი გაცნობიერება და დაცვა, როგორც დასაქმებულებისათვის, ასევე გარემოსა და სამომხმარებლო საზოგადოებისათვის.

კომპანიების რეპუტაციის ამაღლების პროცესში მნიშვნელოვანია მხარეების მიერ პასუხისმგებლობის სრულყოფილად გააზრება, ბიზნესპროცესებში პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, მცირე თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებს, ამიტომ, CSR-ს ქმნის გუნდი და საზოგადოება.

კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური დანიშნულების ინვესტიციები არ უნდა გადაიქცეს მხოლოდ რეპუტაციასა და კეთილგანწყობის მოპოვებაზე ორიენტირებულ ფილანთროპიულ საქმიანობად, ბიზნესი ხშირად უნდა იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე.

კომპანიები, რომლებიც არ ზრუნავენ კომპანიის შიგნით მომუშავე ადამიანებზე, მათ სამუშაო პირობებზე, ადრე თუ გვიან დადებიან ფინანსური და საკადრო კრიზისის წინაშე, ამასთან, ზიანი მიადგება მათ საზოგადოებრივ რეპუტაციასაც.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, სახელმწიფოს შესაბამისმა ეკონომიკურმა, გარემოს დაცვის, შრომის დაცვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ კონტროლის მექანიზმების გამკაცრება და კომპანიების მიმდინარე ფინანსური, სანარმოო, საკადრო, საქველმოქმედო საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება გულისხმობს ასევე კომპანიებში კორპორაციული კულტურის, ქცევის ეთიკის და სტრატეგიული განვითარების გეგმის, დოკუმენტის სახით ჩამოყალიბებას, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე კომპანიები ასაჯაროებენ ფინანსურ, სტრატეგიულ დოკუმენტებს, ინფორმაციას, რადგან საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა არის ერთერთი ფაქტორი მომხმარებლების ნდობის მოპოვების პროცესში.

ბიზნესსა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი - ბიზნესის პასუხისმგებლობაა, მისი გაცნობიერებით შესაძლებელია საზოგადოების სიყვარულის და პატივისცემის მოპოვება, მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია კომპანიის მიერ საქონლის წარმოების შესახებ ინფორმაცია, კომპანიის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა და სამუშაო პირობები, კომპანიების მიერ დასაქმებულებსა და მომხარებლებზე ზრუნვის საქმიანობა და კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციები საზოგადოებრივი, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

ლიტერატურა:

- Barlas A., Vallakosta A. (2023). - The Effect of Corporate Social Responsibility on Customer Trust and Loyalty- Published: MDP, Sustainability Journal, Vol 15 (2), file:///C:/Users/Acer/Downloads/sustainability-15-01036-v2.pdf (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- Cooper S., Crowther D. (2001). Shareholder or Stakeholder Value? The Development of Indicators for the Control and Measurement of Performance, London, CIMA, PP 30, https://my.uopeople.edu/pluginfile.php/57436/mod_book/chapter/121631/BUS5-116.Crowther.Aras.CSR.pdf%3E (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- Crowther D., Guler A. (2021). Corporate Social Responsibility. https://my.uopeople.edu/pluginfile.php/57436/mod_book/chapter/121631/BUS5116.Crowther.Aras.CSR.pdf%3E (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- European Parliament (2001). GREEN PAPER Promoting a European Framework for Corporate Social Responsibilities, Commission of the European communities, Brussels, file:///C:/Users/Acer/Downloads/GREEN_PAPER__Promoting_a_European_framework_for_Corporate_Social_Responsibility%20(1).pdf (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- Howell B. (2023). „The Top 9 Most Polluting Companies”, <https://www.theecoexperts.co.uk/blog/most-polluting-companies> (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- Kytly Beth, Paramveer Singh (2005). Corporate Social Responsibility as Risk Management: A Model for Multinationals (PDF). Social Responsibility Initiative Working Paper No. 10.. Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/9a6ba814-13a9-48a4-9532-04bd21f12e3d/content> , (ნახვა ბოლოს 07.12.2023)
- The Millenium Poll on Corporate Social Responsibility (1999). Conducted by Enviromics International LTD, The of Wales Business, Leaders Forum & Conference Board. https://globescan.com/wpcontent/uploads/2018/01/GlobeScan_MillenniumPoll_1999_FullReport.pdf, (ბოლოს ნახვა 06.12.2023).
- Sheeran Peter W. (2001). “Business Ethics, Value and Education” Journal: BHERT news, Issue 10. <http://web.archive.org/web/20090914054405/http://www.bhert.com/publications/newsletter/B-HERTNEWS10.pdf> (ბოლო ნახვა 06.12.2023).

- შიდა აუდიტის ინსტიტუტი (2009–2011). ეთიკის კოდექსი <https://www.theiia.org/globalassets/documents/standards/code-of-ethics/code-of-ethics-georgian.pdf> (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- თიბისი ბანკი (2021). მმართველობითი ანგარიში და ფინანსური ანგარიშგებები <https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/616784/TBC+Report+2021+JSC+ge.pdf/1462d7a8-fd85-425d-b0ea-8eccb6ac863e> (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- საქართველოს ბანკი (2020). მართველობითი ანგარიშგება https://www.gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (2006). ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. <https://www.gba.ge/pdf> (ბოლო ნახვა 06.12.2023).
- ხოფერია ლ. (2012). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. სახელმძღვანელო, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, გამომცემლობა: პეტიტი. https://csrgeorgia.com/uploads/publications/CSR_manual_geo.pdf (ბოლო ნახვა 06.12.2023)
- <https://tene.ge/>

References:

- Barlas A., Vallakosta A. (2023) - The Effect of Corporate Social Responsibility on Customer Trust and Loyalty- Published: MDP, Sustainability Journal, Vol 15 (2), file:///C:/Users/Acer/Downloads/sustainability-15-01036-v2.pdf (last seen 06.12.2023).
- Cooper S., Crowther D. (2001). Shareholder or Stakeholder Value? The Development of Indicators for the Control and Measurement of Performance, London, CIMA, PP 30. https://my.uopeople.edu/pluginfile.php/57436/mod_book/chapter/121631/BUS5116.Crowther.Aras.CSR.pdf%3E (last seen 06.12.2023).
- Crowther D., Guler A. (2021). Corporate Social Responsibility. https://my.uopeople.edu/pluginfile.php/57436/mod_book/chapter/121631/BUS5116.Crowther.Aras.CSR.pdf%3E (last seen 06.12.2023).
- European Parliament (2001). GREEN PAPER Promoting a European Framework for Corporate Social Responsibilities, Commission of the European communities, Brussels, file:///C:/Users/Acer/Downloads/GREEN_PAPER__Promoting_a_European_framework_for_Corporate_Social_Responsibility%20(1).pdf (last seen 06.12.2023).
- Howell B. (2023). „The Top 9 Most Polluting Companies”, <https://www.theecoexperts.co.uk/blog/most-polluting-companies> (last seen 06.12.2023).
- Kytte Beth, Paramveer Singh (2005). Corporate Social Responsibility as Risk Management: A Model for Multinationals (PDF). Social Responsibility Initiative Working Paper No. 10.. Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University <https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/9a6ba814-13a9-48a4-9532-04bd21f12e3d/content> (last seen 06.12.2023).

- The Millenium Poll on Corporate Social Responsibility (1999). Conducted by Enviromics International LTD, The of Wales Business, Leaders forum & conference board. https://globescan.com/wpcontent/uploads/2018/01/GlobeScan_Millennium-Poll_1999_FullReport.pdf (last seen 06.12.2023).
- Sheeran Peter W. (2001). "Business Ethics, Value and Education" Journal: *BHERT news*. Issue 10. <http://web.archive.org/web/20090914054405/http://www.bhert.com/publications/newsletter/B-HERTNEWS10.pdf> (last seen 06.12.2023).
- Internal Audit Institute (2009–2011). etikis kodeqsi ["Code of Ethics". The Institute of Internal Auditors.] in Georgian <http://web.archive.org/web/20090914054405/http://www.bhert.com/publications/newsletter/B-HERTNEWS10.pdf> (last seen 06.12.2023).
- TBC Bank (2021). mmartvelobiti angarishi da pinansuri angarishgeba [Management Report and Financial Statements.] in Georgian <https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/616784/TBC+Report+2021+JSC+ge.pdf/1462d7a8-fd85-425d-b0ea-8ecb6ac863e> (last seen 06.12.2023).
- Bank of Georgia (2020). mmartvelobiti angarishgeba [Management Reporting.] in Georgian https://www.gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf (last seen 06.12.2023).
- Lawyers' Association of Georgia (2006). advokatta propesiuli etikis kodeksi. [Code of Professional Ethics of Lawyers.] in Georgian <https://www.gba.ge/pdf> (last seen 06.12.2023).
- Khoferia L. (2012). korporatiuli sotsialuri pasukhismgebloba. [Corporate Social Responsibility. Handbook, Strategic Research and Development Center of Georgia, Publisher: *Petit*.] in Georgian <https://tene.ge/> (last seen 06.12.2023).

Importance of Social Responsibilities of Business for Companies and Modern Trends

Megi Surmanidze

*Doctoral student
Batumi Shota Rustaveli State University
megisurmanidze128@gmail.com*

The article deals with the social responsibilities of business, its global role and importance, which in the modern business environment is a factor with significant influence, changing the company's reputation. The author's goal is to define the importance of business social responsibilities in business and to present its effects as clearly as possible.

The article presents views on the social responsibilities of business: “CSR- corporate social responsibility refers to the economic, legal, moral, ecological, sociological and psychological environment” (Bernard, 198), taking into account this view, companies’ responsibility for society should not be limited to economic ones. by activity.

The article compares the views of the last century about the social responsibility of business and the views of modern specialists, a quote is given: “Business has only one social responsibility.” In the article published in 1970, Milton Friedman discusses the social responsibility of business in this way. The progress is clear both by the experts in the field of business and social responsibilities, as well as by the business operators themselves of their own social role and purpose, in the article, the author tries to present beneficial changes in terms of understanding social responsibilities, and finally to present the social activity by business as an obligation.

The article analyzes the researches on the social responsibility of business, including the research carried out by the Global Network of the United Nations Agreement in Georgia, the Center for Strategic Studies and Development, where several important aspects of social responsibility are discussed, the research aimed to study the attitude of the society towards the social responsibility of business. During the research, taking into account the results of the conducted research, the social responsibility of the business and the level of awareness by the company is a determining factor of its reputation and reliability. As for the forms of social responsibilities, they are equally important for the implementation of social responsibilities for business, social responsibilities exist inside and outside the company, Companies should understand their responsibilities towards consumers, partner society, and people employed in the company.

In the social responsibilities of business discussed in the article, the process of delegating responsibilities is important, the author tries to present the process from documenting the realization of social responsibilities during business to its implementation, companies with high social responsibility carry social, economic, moral, psychological responsibility as a team, as well as consumers, persons with special social needs, the environment and nature, as well as create appropriate corporate ethics, norms, corporate culture and, accordingly, corporate responsibility And also aware of the persons and parties responsible for their activities, in modern companies high responsibilities are placed on executives, managers, partners, suppliers, employees, investors, government and other parties.

The author names the world's largest companies that extract natural ore, resources and do not carry out their activities in a safe manner, thus they cause environmental disasters, for example, "Peabody Energy" is a company that causes air pollution with its activities. Among the companies causing environmental damage is the Kuwait Petroleum Corporation, which produces oil. The article also discusses the importance of strategic planning and the need to publicize the strategic development document as part of the transparency of the companies' activities. The research carried out by the United Nations also shows that respondents trust companies that do not hide information about their financial situation, revenues, strategic goals and plans. Focusing on the strategic plan in the article, the author emphasizes one of the important features of realizing social responsibility: transparency as a prerequisite for credibility.

In the process of analyzing business social responsibility, corporate ethics and corporate culture are separated, business social responsibility means team members being responsible for their behavior and decisions, thus companies with a high sense of social responsibility create a corporate ethics document that dictates basic rules and norms of behavior to employees.

Keywords: Social responsibility; Business; Financial goals; Transparency; Community, Employment.

JEL Codes: M10, M14, O16

ჩვენი იუბილარები ANNIVERSARIES

პროფესორი ანზორ აბრალავა - 65



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ გრიგოლის ძე აბრალავა დაიბადა 1958 წელს ქ. ზუგდიდში, პედაგოგების ოჯახში. 1975 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლა, 1980 წელს კი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობით, ხოლო 1991 წელს – თბილისის მენეჯერთა სკოლა.

ანზორ აბრალავამ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1980 წელს თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში, სადაც სხვადასხვა დროს მუშაობდა ინჟინრად, უფროს ინჟინრად, განყოფილების უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, გენერალური დირექტორის მოადგილედ, კონსულტანტად, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორად, პარალელურად აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში.

1991 წელს არჩეული იყო ქ. თბილისის ისნის რაიონის საკრებულოს წევრად და გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც უფლებამოსილება შეუწყდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. გარკვეული წლების განმავლობაში იგი განიცდიდა დევნა-შევიწროვებას პოლიტიკური შეხედულების გამო, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი და მხარდამჭერი.

1999წ. არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც 2004 წლამდე პარლამენტში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: ხელმძღვანელობდა ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს, ასევე იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და ევროპისა და კავკასიის ქვეყნებში საპარლამენტო კომისიის წევრი, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლა-

მენტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის – „XXI საუკუნე“ თავმჯდომარის მოადგილე.

2004 წელს იგი კვლავ აირჩიეს პარლამენტის წევრად, თუმცა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად შეუწყდა უფლებამოსილება და განმეორებით კვლავ გახდა დევნა - შევიწროვების ობიექტი, ვინაიდან ღიად უპირისპირდებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

მიუხედავად მის მიერ განვლილი რთული პოლიტიკური გზისა, ბატონ ანზორს არასდროს გაუწყვეტია კავშირი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან, რასაც იგი 1992 წლიდან ეწევა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

1999 წელს ა. აბრალავამ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, სპეციალობით - მაკროეკონომიკა, 2005 წელს კი – ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, სპეციალობით – ეკონომიკური თეორია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია.

ბატონი ანზორი 2006 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, 2007 წლიდან კი – ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი, სადაც კითხულობს ლექციებს თეორიულ ეკონომიკასა და მენტში. 2020 წლიდან იგი ასევე არის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მნიშვნელოვანია მისი მეცნიერული კვლევის სფერო: ეკონომიკის გლობალური და ინოვაციური განვითარების, ბიზნესის ჰუმანიზაციის, სოციალიზაციისა და მასთან დაკავშირებული პრობლემები. მას გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი ნაშრომი (მათ შორის 5 მონოგრაფია), როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე მაღალრეიტინგულ გამოცემებში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ“, „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“, „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“, „რეგიონული ეკონომიკა“ (ავტორთა ჯგუფთან ერთად). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 21 სადისერტაციო სადოქტორო ნაშრომი.

იგი არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკონომიკური, ბიზნესის და სხვა დარგობრივი აკადემიის წევრი. ასევე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის წევრი.

პროფ. ა. აბრაღავამ დააფუძნა საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „ეკონომიკისა და პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი“, „ეროვნული პლატფორმა“, „სრულიად საქართველო“.

1980-იანი წლებიდან დაწყებული, იგი ძალიან საინტერესოდ და ინტენიურად მსჯელობს პრესასა და სატელევიზიო სივრცეში აქტუალურ ეროვნულ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

მისი მეუღლე, ჩვენი კოლეგა - რუსუდან ქუთათელაძე, ეკონომიკის დოქტორი, ასევე ტექნიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანია.

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ბატონ ანზორს იუბილეს, უსურვებს მას ჯანმრთელობას და მორიგ წარმატებებს თავის სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***ჟურნალ „ეკონომიკისა და ბიზნესის“ რედაქცია,
სარედაქციო კოლეგია***

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე
Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

